

# იუსტიციის



**ანა დ'ანი**  
**სახელი ჯიქოს**  
**სანაცვლო**

**ილია**  
**მედი**  
**ბილი**

**ბანი**  
**კინიბაძის**  
**ბილი**  
**თილისისის**

ქვეყნის ბილი ქვეყნის  
ანა ანონონსკია  
დიდი მოუბაძი  
12 ნიბნად  
ნიბნი IV  
ფასი 3 ლარი  
ნიბნი „ისტორიანთა“ ერთად – 5 ლარი

ფასი II  
ქვეყნი –  
ქვეყნი  
მედი ქვეყნი  
ქვეყნი ილია

ილია ბილი  
ანიბიბი

ილია ბილი:  
ბილი ანიბიბი  
ანიბი ბილი...

ბილიბი  
ბილი  
ბილიბი  
ბილიბი  
ბილიბი  
ბილი ბილი?



**სახიჩვი**

**ახალი აბჯაი**  
 ხეივანის მუზის ქანდაკება „მაკინოზებელი“  
 თვალვებით ..... 6  
 მიწისქვეშა პირამიდები – ეტრუსკების  
 საიდუმლო ..... 7  
 ბიბლიური კანიაფას ოჯახის  
 კვლევასაღები ..... 9  
 პერპერპონის ოქრო ..... 10  
 ვისთვის აიგო ტაოტიუკანი? ..... 11

**ახობრა**  
 ბაბრატის ტაპარი მსოფლიო კულტურული  
 საბანძური აღარ არის?! ..... 12

**ილი ქაითველი**  
 რომი აღმართული ქართული მუზის  
 კვლი – ფარსან II კვლი ..... 16

**ქაითველი ბუხილი**  
 ბიორბი კვინიტაქე – ქართული გენერალი  
 რუსეთ-საქართველოს 1921 წლის ომის  
 ღროს ..... 22

**ვისთან ბანოხეს ყოველი...**  
 ლაბრენტი ბერინას აღსასრული ..... 27

**საეახსხინო ეაქ**  
 ჯოჯოხეთური ქრონიკები – ამერიკული  
 მონათმფლობელების ისტორიიდან ..... 32



40



74



44



58



50



64



79

**სახიჩვი**

**სინა-დახბაუანი**

უინემორი – სიმლიერისა და ფუფუნების  
სასახლე ..... 41

**იპაჩახოხის შთამომავლები**

ბრაფი ვალეზსკი – ნაოლეონ გონაპარტის  
ვაჟი ..... 44

**ჰოლიტიანი და „მელიტიანი“**

შანა ლარკის სასამართლო პროცესი ..... 50

**აქაესიის ხანები**

დიდოელები საკუთარ თავს ცეზებს –  
არწივებს უწოდებენ ..... 58

**ახალი აბაზი**

ყველაზე ძველი ნეოლითური მშენი ..... 63  
შეველესი კვილის გუნდი 6 500 წლისაა! ..... 63

**საოხის ისტორია**

როგორ შეიქმნა კალათბურთი ..... 64

**იპილიაჩი**

საქართველოს 25-საუკუნოვანი სამონეტო  
ისტორიის მმეპტიანე ..... 71

**სოფია**

ოთარ რამიშვილი – ჩემი დანაპირაჟი უკვე  
დაჰუკარი ..... 74

**აქილი**

მკა ანდრონიკაშვილი: საიდუმლოდ  
ღარჩენილი წარსულიდან გვერე რამ  
მინტერესებს ..... 79

**„ისტორიანი“ ბავშვებისთვის**

500 ფაქტი ისტორიიდან ..... 82  
სკანვორდი ..... 90

## ხელახლობის სვეტი

რამდენიმე დღის წინ მთელმა საქართველომ იხე-  
მა ბაგრატის ტაძრის აღდგენა. მისმა უწმინდესო-  
ბამ, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრი-  
არქმა ილია II-მ საზეიმო წირვა აღვლინა კათედ-  
რალში. ათიათასობით ადამიანი შეკრებილიყო ტა-  
ძარსა და მის ეზოში. უნებლიეთ გაგახსენდებოდათ  
ათასი წლის წინანდელი მოვლენა, როცა 1003 წელს  
ბაგრატ III-მ აკურთხებინა ქუთაისის ტაძარი. მე-  
მატიანე წერდა: „აკურთხა ეკლესია ქუთაისისა გან-  
გებითა დიდითა მიუწევლომელითა, რამეთუ შემოკ-  
რიბნა მახლობელნი ყოველნი ხელმწიფენი და კა-  
თალიკონნი, მღვდელთმოდღუარნი და ყოველთა მო-  
ნასტერთა წინამძღუარნი და ყოველნი დიდებულნი  
ზემონი და ქუემონი, მამულისა და სამეფოსა მისისა  
მყოფნი, და სხუათა ყოველთა სახელმწიფოსანი“.

ბაგრატის ტაძარი იმთავითვე იქცა ერთიანი სა-  
ქართველოს სიმბოლოდ. საუკუნეების განმავლო-  
ბაში ამ უპირველეს კათედრალში ეკურთხებოდნენ  
ერთიანი საქართველოს მეფეები, მოგვიანებით კი  
— ლიხთიმერეთის მონარქები.

XVII საუკუნეში ოსმალებმა, ხოლო XVIII სა-  
უკუნის მეორე ნახევარში რუსებმა ტაძარს დიდი  
ზიანი მიაყენეს. უგუმბათოდ დარჩენილ და ნახევ-  
რად დაქცეულ ტაძარში წირვა-ლოცვა, ფაქტობ-  
რივად, შეწყვეტილი იყო...

თავისთავად, ტაძრის აღდგენა მნიშვნელოვანი  
მოვლენაა, თუმცა უნდა ითქვას, რომ ახალი ელე-  
მენტები ამძიმებს ტაძარს. ჩრდილოეთ კედელზე  
მიდგმული ე.წ. ლიფტის ბლოკი აშკარად ამოვარ-  
დნილია საერთო სივრციდან. არ უნდა დაგვაიწი-  
ყდეს, რომ ბაგრატის ტაძარი შუა საუკუნეების კა-  
თედრალია და თანამედროვე არქიტექტურული ელე-  
მენტების დამატება ადრინდელ სახეს უკარგავს მას.  
ასევე, შიდა სივრცე ლითონის კონსტრუქციით არის  
გადაწყვეტილი, რომელიც სრულიად სხვა იერს აძ-  
ლევს ტაძრის დარბაზს. სასურველია, ეს ელემენ-  
ტები შეიცვალოს. თანამედროვე რესტავრაცია არ  
გულისხმობს თანამედროვე სამშენებლო ელემენ-  
ტების გაჩენას. ვფიქრობ, ჩემი აზრით, ეს აბსოლუ-  
ტურად ზედმეტი „სიახლეები“ დროულად უნდა გა-  
მოსწორდეს.

ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის პრობლემურ  
თემასთან ერთად „ისტორიანის“ ამ ნომერში მკით-  
ხველს კვლავინდებურად მრავალფეროვან და სა-  
ინტერესო მასალას ვთავაზობთ.



ბაგრატის ტაძრის რესტავრაციის  
პრობლემურ თემასთან ერთად  
„ისტორიანის“ ამ ნომერში მკითხველს  
კვლავინდებურად მრავალფეროვან და  
საინტერესო მასალას ვთავაზობთ...

### ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი „ისტორიანი“

მთავარი რედაქტორი  
**ჯაბა სამუშია**

რედაქტორი  
**გელა გურგენიძე**

სტილისტი-რედაქტორი  
**ელენე სალარიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
**რეზო თხილიშვილი**

სარედაქციო კოლეგია:  
**ალექსანდრე ბოშიშვილი**  
**ოქროპირ ჯიქური**  
**ნინო ჯაფარიძე**

კორექტორები:  
**ნანა მაჭავარიანი**  
**ნინო აბესაძე**

რედაქციის მისამართი:  
თბილისი, იოსებძის ქ. №49  
**ტელ.: 238-13-72, 238-02-45**

სარეკლამო განყოფილება  
**ტელ.: 237-78-07, 238-78-70**  
**e-mail: istoriani@palitra.ge**

**ჟურნალი გამოდის თვეში ერთხელ**

რედაქციის ნებართვის გარეშე  
მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია

ჟურნალის გამწვანისთვის მიმართეთ პრესისა და  
წიგნების გავრცელების სააგენტოს „ელვა.ჯი“.  
**ტელ.: 238-26-73, 238-28-74, 214-09-91**

# ხეთების მეფის ქანდაკება „მაჰინოზებელი“ თვალებით



ხეთების მეფის — საბილულიუმა I-ის ქანდაკება

თურქეთის აღმოსავლეთში, ჰატაის პროვინციაში, საერთაშორისო არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ტორონტოს უნივერსიტეტის პროფესორის ტიმოთი ჰარისონის ხელმძღვანელობით სავარაუდოდ ხეთების მეფის — საბილულიუმა I-ის ქანდაკება აღმოაჩინა.

დაახლოებით 3 ათასი წლის წინ საბილულიუმა I მცირე აზიაში ხეთების მძლავრი სამეფოს ძლევამოსილი მმართველი იყო, რომლის

*აღმოჩენის ადგილი*



ძალაუფლება თანამედროვე თურქეთისა და სირიის თითქმის მთელ ტერიტორიაზე ვრცელდებოდა.

ნაცრისფერი ბაზალტის მეტრ-ნახევრიანი ქანდაკება ტონა-ნახევარს იწონის. მას ცალ ხელში შუბი უჭირავს, მეორეში კი ძნა. პირველი სიმბოლო დამპყრობი მონარქის მეტრძოლს სულს გამოხატავს, მეორე კი მისი ქვეშევრდომების მშვიდობიან შრომას.

უცნობი მოქანდაკე-ქვისმთლელის მიერ შესანიშნავად გამოკვეთილი მასიური ქანდაკება მეტად შთაბეჭდავია. სპეციალისტთა აზრით, მისი თეთრი ქვითა და შავი ბაზალტით შესრულებული ფართოდ გახედილი თვალები დღესაც „მაჰინოზებელი“ გავლენას ახდენს. თურქეთის კულტურისა და ტურიზმის მინისტრი ერთდორულ გიუნაი ნაპოვნით აღტაცებულია. მისი თქმით, მსოფლიოში არსადაა უძველესი ხეთების ასეთი შესანიშნავი სკულპტურა. საბილულიუმა I-ის ქანდაკება ერთი წლის განმავლობაში ჰატაის მუზეუმში იქნება გამოფენილი.

*მომზადებულია LiveScience-ის მასალების მიხედვით*

# მიწისქვეშა პირამიდები ეპტუსკების საიდუმლო

*სულ ახლახან ამერიკელმა და იტალიელმა მეცნიერებმა პირველად იტალიაში, ქვეყნის ცენტრალური ნაწილის მთიანი მასივის ტერიტორიაზე მიწისქვეშა პირამიდები აღმოაჩინეს. ეს უმბრიის ოლქის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქალაქ ორვიეტოში მოხდა, რომლის ისტორია, უძველესი დროიდან, აპენინის ნახევარკუნძულზე ეტრუსკთა კულტურის აყვავების ხანას უკავშირდება.*



ეტრუსკების ისტორიაში ძალიან ბევრი თეთრი ლაქაა. მეცნიერებს დღემდე არ აქვთ ერთიანი აზრი ამ ხალხის წარმოშობის შესახებ, თუმცა უცილობლად მიიჩნევენ, რომ მათი კულტურული გავლენა რომსა და მთელ ევროპაზე მეტად დიდია.

ეტრუსკთა ქვეყანა ანუ ეტრურია მოიცავდა ცენტრალური იტალიის ვრცელ ტერიტორიას, სადაც დღეს შედის პროვინციები — ტოსკანა, ლაციო, ემილია-რომანია და უმბრია. ეტრურიაში განვითარების ზენიტს ძვ.წ. 900 წლისთვის მიაღწია და ხუთი საუკუნის განმავლობაში ეს „საიდანდაც მოსული“ ხალხი აპენინების უმეტეს ნაწილზე დომინირებდა მდინარე პოს სამხრეთით.

მეცნიერები შესაძლოა მხოლოდ იმაზე შეთანხმდნენ, თუ საიდან მოვიდნენ ეტრუსკები. იტალიელმა მეცნიერებმა ტოსკანის მთელ რეგიონში, სადაც სამი ათასი წლის წინ ეტრუსკული ცივილიზაცია ყვაოდა, ადგილობრივ მცხოვრებთა დნმ-ის ანალიზები გააკეთეს და დაასკვნეს, რომ ეტრუსკები წარმოშობით უძველესი ანატოლიიდან ან ლიდიიდან (ამჟამად სამხრეთ

თურქეთი) უნდა იყვნენ. ამას თავის დროზე ჰეროდოტეც ამტკიცებდა, თუმცა ის თანამედროვე ისტორიკოსებმა გააკრიტიკეს. ჰეროდოტეს აზრით, სამხრეთ თურქეთის ტერიტორიაზე მაშინ არსებული სამეფოს მოსახლეობის ნახევარი, მეფის ბრძანებით, ნაყოფიერი მიწების საძებნად გაემართა და ისინი თავდაპირველად იტალიაში, უმბრიის სანაპიროებზე დაემკვიდრნენ.

V საუკუნისთვის ცივილიზაციამ, რომელმაც დიდ სიმაღლეებს მიაღწია ხელოვნებაში, სოფლის მეურნეობასა და ლითონის დამუშავებაში, ვერ გაუძლო აღმავლობის გზაზე მყოფი რომის ზეწოლას და დაკნინდა, მისი ტერიტორიები კი თანდათან ახალი აგრესიული სახელმწიფოს შემადგელობაში შევიდა.

ეტრუსკთა ენა, რომელიც აშკარად არ იყო ინდოევროპული წარმოშობისა, დავიწყებას მიეცა. საოცარია, მაგრამ არ დარჩენილა არც ერთი ლიტერატურული ძეგლი და არც რამე დოკუმენტი. არსებობს მხოლოდ ეპიტაფიები მდიდრულ საფლავებზე.

რაც შეეხება ორვიეტოს, არსებული წყაროების მიხედვით, ის კულტურულად და ეკო-



მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს, რომ ღვინის სარდაფის კედლების დაქანების კუთხე ძალიან ჰგავდა პირამიდის ფორმას...

ნომიკურად განვითარებული ეტრუსკული ქალაქი იყო, რომელიც თანდათან რომის გავლენის ქვეშ მოექცა, საბოლოოდ კი რომაელებმა ქალაქი ძვ. წ. 264 წელს დაიპყრეს. დასავლეთ რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ორვიეტო ლანგობარდულ საპერცოგო სპოლეტოში შევიდა, 1157 წელს პაპმა ადრიან VI-მ ქალაქს კომუნის სტატუსი მიანიჭა, რაც XIX საუკუნის შუა ხანებამდე აღარც შეცვლილა...

ორვიეტოში, რომელიც ტუფის კლდეებზე დგას, ეტრუსკთა მიწისქვეშა პირამიდები ამერიკულ კოლეჯ „წმინდა ანსელმოს“ მკვლევართა ჯგუფმა ამერიკელი დევიდ ჯორჯისა და იტალიელი კლაუდიო ბიცარის ხელმძღვანე-

ლობით აღმოაჩინა. მათ ყურადღება მიაქციეს, რომ ღვინის სარდაფის კედლების დაქანების კუთხე ძალიან ჰგავდა პირამიდის ფორმას...

მეცნიერებმა ჯერჯერობით გასულ საუკუნეში ღვინის სარდაფად გადაკეთებული პირამიდის მხოლოდ ზედა ნაწილი შეისწავლეს. XX საუკუნის ფენის გავლის შემდეგ, მეცნიერები შუა საუკუნეების იატაკამდე ჩავიდნენ, მის ქვეშ კი აღმოჩნდა ფენა, რომელიც მრავლად შეიცავდა ძვ. წ. V საუკუნის ე.წ. ატიკურ კერამიკას წითელი ფიგურებით, ასევე დაახლოებით 3 ათასი წლის წინანდელ არტეფაქტებს. შემდეგ კი გამოჩნდა სამშენებლო მასალის ფენა, რომლითაც უძველესი მშენებლები შეგნებულად ფარავდნენ ქვედა დონეებს, რომლისკენაც კედელში ნაკვეთი საფეხურები ჩადის. მეცნიერები ეჭვობენ, რომ შესაძლოა ამ კიბეს აკლდამისკენ მივყავართ. უახლოეს ხანში აპირებენ 12 მეტრის სიღრმეზე ჩავიდნენ და ასევე შეისწავლონ მიმდებარე ტერიტორიაც.

სამი მეტრის სიღრმეზე კი იპოვეს ძვ.წ. V საუკუნით დათარიღებული გვირაბი, რომელიც სხვა „პირამიდას“ უერთდება. ჩანს, ორვიეტოს პირამიდები რაღაც საიდუმლოებებს ახდის ფარდას. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ ქალაქის ქვეშ, სულ ცოტა, ხუთი ასეთი ნაგებობაა.

საინტერესოა, რომ მეცნიერებისთვის ეტრუსკების მიწისზედა პირამიდებიცაა ცნობილი. საგარაუდოდ, მიწისზედა პირამიდები საკურთხეველის დანიშნულებას ასრულებდა.

*ScienceNOW-ის მასალების მიხედვით*

ეტრუსკების მიწისზედა პირამიდა



# ბიბლიური კაიაფას ოჯახის ძვალშესაღები

მეცნიერებმა ამოიკითხეს წარწერა: „კაიაფას  
ვაჟის, მათხის მღვდლის, იეშუას ასული მირიამი,  
იმრის სახლიდან“



ისრაელის სიძველეთა სამმართველოს პრესსამსახურის წარმომადგენელ იოლი შვარცის განცხადებით, მეცნიერული შესწავლის შემდეგ დადგინდა, რომ პოლიციის მიერ სამარეთა მძარცველებისთვის სამი წლის წინ ჩამორთმეული „ოსარიუმი“ ანუ ძვალშესაღები, იუდეველთა ბიბლიურ მღვდელმთავარ იოსების, იმავე კაიაფას ოჯახს, კერძოდ კი მის შვილიშვილ მირიამს ეკუთვნის.

ძვალშესაღები ერთგვარი ქვის ყუთია, რომელშიც მიცვალებულის ძვლებს ათავსებდნენ დაკრძალვიდან რამდენიმე წლის შემდეგ. ძვლებს ამკობდნენ ორნამენტებით და აწერდნენ გარდაცვლილის სახელს. სიძველეთა სამმართველოს ცნობით, ჩამორთმეულ ძვალშესაღებზე მეცნიერებმა ამოიკითხეს წარწერა: „კაიაფას ვაჟის, მათხის მღვდლის, იეშუას ასული მირიამი, იმრის სახლიდან“.

თელავივის უნივერსიტეტის მკვლევართა მტკიცებით, ყუთი ნამდვილად ორიგინალია და 2 ათასი წლისაა. მათი განმარტებით, ზუსტად

დადგინდა, რომ ქურდებმა რომაელთა მიერ იუდეველთა „მეორე ტაძრის დანგრევის“ პერიოდის (ახ. წ. 70 წ.) ებრაული სამარე გაძარცვეს. ასევე დაადასტურეს წარწერის ნამდვილობაც. თუმცა სპეციალისტები აღშფოთებული არიან, რომ მძარცველთა გამოისობით შეუძლებელი გახდა ამ ძვალშესაღების ზუსტი ისტორიის გარკვევა.

ალსანიშნავია, რომ 1990 წლის ნოემბერში იერუსალიმში აკვაპარკის მშენებლობისას მუშები „მეორე ტაძრის დანგრევის“ პერიოდის აკლდამას გადააწყდნენ, რომელშიც ექ-



მათიას სტომი.  
„ქრისტე კაიაფას  
წინაშე“ 1630 წ.



ესი მთელი და ექვსი დამსხვრეული ძვალშესალაგი ყუთი აღმოჩნდა. ერთ-ერთ მათგანზე ეწერა: „იოსები, კაიაფას შვილი“. ამ ყუთში აღმოჩნდა ექვსი ადამიანის ნეშტი — ორი ჩვილის, ოთხი-ხუთი წლის ბავშვის, 13 წლის მოზარდის, შუახნის ქალისა და 60 წლამდე ასაკის მამაკაცის. საინტერესოა, რომ ამ უკანასკნელს პირში მონეტა ჰქონდა, რაც არა ებრაული, არამედ ბერძნული ტრადიციაა. ასეთი მონეტა საიქიოში, მდინარე სტიქსზე მიცვალებულთა გადამყვანი მენავე ქარონის გასამრჯელოდ იყო მიჩნეული.

მკვლევართათვის ცნობილია, რომ იოსებ-კაიაფა (არამეულად „კაიაფა“ თავდადრეკას ნიშნავს) 18 წლის განმავლობაში იყო იუდეის მღვდელმთავარი — 18-დან 37 წლამდე. იგი ამ თანამდებობაზე პილატეს წინამორბედმა, ვალერიუს გრატუსმა დანიშნა. ხოლო რომის მომავალმა იმპერატორმა ავლუს ვიტელუსმა გაათავისუფლა, რომელსაც მღვდელმთავრობა იონათანისთვის სურდა.

იოსებ-კაიაფა იყო მღვდელმთავარ ანნა ქანანის სიძე და მისი ნების მორჩილად აღმსრულებელი. მღვდელმთავრის თანამდებობის დატოვების შემდეგაც ძალაუფლება ანნას ხელში დარჩა და იგი ერთპიროვნულად განკარგავდა ტაძარში ხაზინასაც და თანამდებობებზე დანიშვნის საკითხებსაც. მეცნიერები ვარაუდო-

ბენ, რომ იესოს, როგორც მეამბოხის დასჯის გადაწყვეტილება, სწორედ ანნამ მიიღო.

გეთსამანიის ბაღში დაკავების შემდეგ იესო ჯერ ანნას სახლისკენ წაიყვანეს, რომელიც ამჟამინდელი ძველი იერუსალიმის სომხური უბნის ტერიტორიაზე, სიონის ჭიშკრის მახლობლად მდებარეობდა. მხოლოდ ამის შემდეგ წაიყვანეს მაცხოვარი იქვე ახლოს, კაიაფას სახლისკენ. სწორედ კაიაფამ დაადანაშაულა იესო ღვთის გმობაში.

იოანეს სახარების თანახმად, სწორედ კაიაფამ წარმოთქვა: „უმჯობესია ერთი ადამიანი მოკვდეს სხვა ადამიანებისთვის, ვიდრე მთელი ერი დაიღუპოს“. სხვა ავტორებისგან განსხვავებით, იოანემ უნებურად გასცა, რომ იესოს დაპატიმრება არა რელიგიური, არამედ პოლიტიკური მოტივით იყო განპირობებული. ეკლესიის მსახურთა მმართველ კასტას ცეცხლივით ეშინოდა ყოველგვარი სოციალური ცვლილებებისა, რაც პილატეს რეპრესიების საბაბს მისცემდა და დარტყმის ქვეშ დააყენებდა მათ ქონებასა და პრივილეგიებს. იესო კი ძალიან ჰკავდა იმ მესიებსა და წინასწარმეტყველებს, რომლებიც ხშირად გაჩნდებოდნენ პალესტინაში და არეულობასა და ზოგჯერ სისხლის ღვრასაც იწვევდნენ...

*მომზადებულია France-Press-ის მასალების მიხედვით*

## **პერპერეიკონის ოქრო**

ბულგარეთში, უძველესი ქალაქის პერპერეიკონის მახლობლად ძვ.წ. III საუკუნის კერამიკის ნაშთების ტაძრის ნანგრევები და ათი საკურთხეველი აღმოაჩინეს, რომელთაც, სავარაუდოდ, ცხოველთა მსხვერპლშეწირვისთვის იყენებდნენ. საკურთხეველებზე სისხლის სადენად მომცრო ღარები დატანებული. ერთ-ერთ საკურთხეველზე კი ბერძნულ ენაზე შესრულებულ წარწერაში ვინმე ალექსანდრეა მოხსენიებული. არქეოლოგთა მოსაზრებით, ტაძარი გაცილებით გვიანდელ პერიოდშია დანგრეული, როცა აქ ქრისტიანობის გავრცელება დაიწყო.

პროფესორ ნიკოლაი ოგნაროვის ხელმძღვანელობით პერპერეიკონის ცენტრში, ე.წ. ციტადელის მახლობლად თერთმეტი ოქროსა და ექვსი ვერცხლის მონეტაც აღმოაჩინეს. აქედან ოქროს მონეტები XIV, ხოლო ვერცხლისა XIII საუკუნის ბოლოთი თარიღდება. ყველაზე საინ-



ტერესო კი ის არის, რომ მონეტები 2 მეტრი დიამეტრის საპირფარეო ორმოში იპოვეს, რომელსაც შუა საუკუნეებში იყენებდნენ. პროფესორის თქმით, იქ მონეტები შემთხვევით არ აღმოჩენილა. ამ ადგილას ეპისკოპოსის რეზიდენცია იყო და როგორც ჩანს, ოსმალების შემოსევის დროს ეპისკოპოსმა განძის დასამალად სწორედ ეს ხერხი აირჩია.

*LiveScience-ის მასალების მიხედვით*

# ვისთვის აიბო ტეოტიუკანი?



სენსაციური განცხადება გააკეთეს მექსიკელმა მეცნიერებმა. მათი დასკვნით, მეზიკოდან 50 კილომეტრში მდებარე აცტეკების გრანდიოზული ქალაქი ტეოტიუკანი ადამიანებისთვის არ აგებულა.

მეცნიერებმა ეს მას შემდეგ დაასკვნეს, რაც ყურადღება მიაქციეს უცნაურ ფაქტს. ქალაქში არის ბევრი ქუჩა, სადაც არაერთი კვალი არ არსებობს. ახლა ისინი ცდილობენ ეს დაუჯერებელი ფენომენი როგორმე ამოხსნან,

მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გამოსდით.

ქალაქი ტეოტიუკანი დაახლოებით 3 ათასი წლის წინათ ააგეს. მისი მთავარი თავისებურება პირამიდებია. ამ ქალაქში პირამიდების განლაგება სრულად იმეორებს შხის სისტემის პლანეტების განლაგებას.

ამ ქალაქში აცტეკები მხოლოდ ძვ.წ. VII საუკუნეში მოვიდნენ. ამ დროს ტეოტიუკანი უკვე გაძარცვული და დანგრეული იყო.

*მომზადებულია BBC-ის მიხედვით*



# talizi

თქვის გაღანეკვის ტენგრი

ტაშქანეტის 27. ტელ: 2141515

WWW.TALIZI.GE



# ბაგრატის ტაძარი

მსოფლიო კულტურული საბანძური აღარ არის?!

*პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ 14 სექტემბერს ტაძრის საზეიმოდ გახსნა, ორი დღის შემდეგ კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის, უწმიდესისა და უნეტარესის ილია მეორის კურთხევა საკმარისი არ აღმოჩნდა საიმისოდ, რომ იუნესკოს ძველი კვლავ მსოფლიო საგანძურის ნაწილად ეცნო. მიზეზად ძველის ავთენტურობის დარღვევა დასახელდა. როგორც ცნობილია, 1994 წლიდან ბაგრატის ნანგრევები იუნესკომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაში შეიტანა. 2009 წლიდან კი, როცა ბაგრატის რეკონსტრუქცია დაიწყო არქიტექტორ ივანე გრემელაშვილის პროექტით, იუნესკომ ტაძარი ჯერ საფრთხის ქვეშ მყოფი ძეგლების სიაში შეიყვანა, შემდგომ რეკონსტრუქციის შეჩერება მოითხოვა. ქართულმა მხარემ იუნესკოს მოთხოვნა უგულბეღყო და რეკონსტრუქცია გააგრძელა.*

ხელახლა აშენებულმა ბაგრატის ტაძარმა იერსახე მართლაც მნიშვნელოვნად იცვალა, ახალი გუმბათის დადგმის შემდეგ სიმაღლეშიც „გაიზარდა“. თავად რესტავირებული ტაძარი 40 მეტრია, ჯვრის დადგმის შემდეგ კი მისმა სიმაღლემ 45 მეტრს მიაღწია.

მინის ლიფტი ხელახლა აშენებული ტაძრის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტია, რომელმაც აზრთა დაპირისპირება არა მხოლოდ ხელოვნებათმცოდნეებში, არამედ საზოგადოებაშიც გამოიწვია.

როგორ ირკვევა, ტაძრის აღდგენის მსურველთა ნაწილისთვის 24 მეტრზე ლიფტით ასვლა უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე

X საუკუნის ძეგლისთვის ავთენტურობის შენარჩუნება. ქუთაისის სიონის ფონდის (სწორედ ამ ფონდმა დააფინანსა ბაგრატის ტაძრის სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო სამუშაოების ნაწილი) დირექტორი ზურაბ ქაჯაია ამბობს, რომ ყველაფერი თანამედროვეობამ მოიტანა და მეტი დამაჯერებლობისთვის დასძენს, რომ ლიფტის დამონტაჟებაზე იტალიელი არქიტექტორი მუშაობდა.

**ზურაბ ქაჯაია:** „ლიფტს ის დატვირთვა ექნება, რომ ზემოთ, სადაც რიტუალები მიმდინარეობს, ლიფტით ავიდნენ. 24 მეტრია მანდ სიმაღლე. თანამედროვეობამ მოიტანა ეს ამბავი და მეათე საუკუნეში რომ ყოფილიყო

ლიტფები, მაშინაც გაკეთდებოდა, ვინაიდან ეს აუცილებელი ატრიბუტია დღეს“.

ის, რაც ზურაბ ქაჯაიასთვის „თანამედროვეობის“ ნაყოფი და „აუცილებელი ატრიბუტია“, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაციისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა. თუმცა ეს არ იყო ერთადერთი მიზეზი, რამაც ბაგრატიის ტაძრის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოებისას იუნესკოს უკმაყოფილება გამოიწვია. წინასწარ ანგარიშში აღნიშნულია, რომ ტაძარი აღარ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, რომლებიც მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა სიაშია შეტანილ ძეგლებს მოეთხოვებათ. დიდი ალბათობით, იუნესკოს საბოლოო დასკვნაც უარყოფითი იქნება და ბაგრატის სიიდან ამოიღებენ..

ხელოვნებათმცოდნე გოგი ხოშტარია იმ სპეციალისტებს შორისაა, ვინც მიიჩნევს, რომ ბაგრატიის ტაძარი არა მხოლოდ იუნესკომ, არამედ საქართველომ დაკარგა:

**გოგი ხოშტარია:** „დაუშვით არის ანტიკური ქანდაკებები, ცხვირი მომტკრეული აქვს, აიღე და მიაწეხე ის ცხვირი, რატომ არ აწებებენ არსად? შეუძლებელია ზუსტად იმის აღდგენა, რაც იყო. როგორ ზუსტადაც უნდა მისდევდეს იმ ფორმებს, მაინც ეტყობა ხელოვნურობა, ეს ის ორგანიზმი არ იქნება! ეს ხელოვნურობა ბაგრატს უკვე დაეტყო“.

ქართველი სპეციალისტებისთვის დღემდე პასუხგაუცემელია კითხვა — ვინ ისურვებდა ბაგრატიის ტაძარზე ლიფტის დამონტაჟებას? იტალიელმა არქიტექტორმა თუ საქართველოს პრეზიდენტმა? ხელოვნებათმცოდნეთა აზრით, ბაგრატიის ძეგლზე „ვერორემონტის“ ჩატარება ვერც კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკა რურუას და ვერც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის, ნიკა ვაჩიშვილის დონეზე გადაწყვეტილია. ფიქრობენ, ლიფტის დამონტაჟება მხოლოდ ერთი პერსონის კაპრიზი იყო. პერსონისა, ვისაც ბაგრატიის ტაძრის ხელახალი აშენების იდეა ეკუთვნის.

იდეა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 2008 წელს გააცნო საზოგადოებას. მეორე საპრეზიდენტო ფიცის ცერემონიალისთვის მან სწორედ ბაგრატიის ტაძარი შეარჩია. მკაცრად განისაზღვრა ისიც, რომ ბაგრატიის ხელახლა აშენება სააკაშვილის საპრეზიდენტო ვადაში უნდა დასრულდებოდა.

საბოლოო პროექტის მიხედვით, რომლის

ავტორის ვინაობაც, კურთხევის შემდეგაც გაურკვეველია, ბაგრატიის ტაძარი სპილენძით გადაიხურა. ახალი გუმბათის სარკმლები და ორნამენტები კი ქვით მოპირკეთდა.

ტაძრის ავთენტიკურობის ხელყოფა 2009 წლიდანვე დაიწყო, როცა საძირკველი მთელ პერიმეტრზე ჩააბეტონეს და არქეოლოგიური შრეები დააზიანეს. ავთენტიკური სვეტის ბაზები კი დახერხეს და მათ ნაცვლად რკინაბეტონის სვეტები ჩაამაგრეს. სწორედ ამის შემდეგ დაეუფლა ბაგრატიის ტაძრის შემყურე იტალიელ არქიტექტორ სილვიო კალვის საშინელი იმედგაცრუება. „ეს რესტავრაცია კი არ არის, არამედ ნგრევა და ყალბი აღდგენაა!“ — ასეთი იყო მისი დასკვნა 2009 წელს.

**გოგი ხოშტარია:** „ფოტო რომ გქონდეს, როგორი იყო ეს ტაძარი, მაშინ კიდევ რამეს იფიქრებდი. რა სიმაღლისა იყო მისი გუმბათი, რამდენწახნაგაიანი სარკმელი ჰქონდა, რა ფორმის, რა ჩუქურთმის, ამის შესახებ არაფერი ვიცით, ესე იგი, ეს სრული თვითშემოქმედებაა“.

ხელოვნებათმცოდნე მარიამ დიდებულიძე განმარტავს, რომ მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიაში ძეგლის დარჩენა-არდარჩენის საკითხის გადაწყვეტისას, მნიშვნელოვანია, რა სტატუსით შეიტანეს ის ამ სიაში. კერძოდ, იუნესკოს ნუსხაში ძეგლებს თუ შეიტანენ როგორც არქეოლოგიურს, მაშინ იგულისხმება, რომ იქ არაფერი არ უნდა შეიცვალოს. ხოლო თუ ძეგლი სიაში შევიდა მოქ-

*„ფოტო რომ გქონდეს, როგორი იყო ეს ტაძარი, მაშინ კიდევ რამეს იფიქრებდი. რა სიმაღლისა იყო მისი გუმბათი, რამდენწახნაგაიანი სარკმელი ჰქონდა, ამის შესახებ არაფერი ვიცით“*



მედის სტატუსით, მაშინ განვითარება დასაშვებია.

XX საუკუნის 90-იან წლებში, იუნესკოს სიაში ქართული ძეგლები სწორედ არქეოლოგიური ძეგლის სტატუსით შეიტანეს. ანუ ბაგრატიის ტაძარი იმ ძეგლთა სიაშია, რომელთა ავთენტურობაც უნდა შენარჩუნდეს. თუმცა როგორც მარიამ დიდებულძე განმარტავს, ბაგრატიის ტაძარი ქართული იდენტურობის დიდ ფასეულობას წარმოადგენს და ყველა მანიფესტში წერია, რომ ასეთ განსაკუთრებულ ძეგლებს განსხვავებული მიდგომა სჭირდება. მისივე თქმით, არსებობდა კიდევ ასეთი პროექტი, რომელიც ატეხილი ხმაურის შემდეგ საქართველოში საგანგებოდ ჩამოსულმა იუნესკოს ექსპერტმა გააკეთა.

**მარიამ დიდებულძე:** „1994 თუ 1995 წელს ბაგრატი იუნესკოს ნუსხაში შეიტანეს, როგორც არქეოლოგიური ძეგლი, რომელიც, როგორც არის, ისეთად უნდა დარჩენილიყო. მოგეხსენებათ, უკვე მაშინ ბაგრატი არ ყოფილა თავდაპირველი ნანგრევების სახით და ეს არ იყო სრულად ავთენტუკური ძეგლი, არამედ 60-70-იანი წლების რესტავრაციის სახე ჰქონდა. ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი სა-

რესტავრაციო სამუშაო ჩაატარა მაშინ ბატონმა ვახტანგ ცინცაძემ. ვინაიდან ბაგრატი ქრისტიანული ტაძარია, რომელიც ერისა და სახელმწიფოებრივ მთლიანობას განასახიერებს, მას სულ სხვა მიდგომა სჭირდება“.

იუნესკოს მხრიდან მძაფრი კრიტიკის შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამ მასთან აქტიური თანამშრომლობა გადაწყვიტა, თუმცა ორგანიზაციის მოლოდინი კვლავ არ გამართლდა.

ბაგრატიის რესტავრაციის მომხრენი, მათ შორის კულტურის მინისტრი, სამუშაოების მიმდინარეობის გამო ატეხილი დავის დროს ირწმუნებოდნენ, რომ იუნესკოსთან ყველა პრობლემა მოგვარებული იყო და ბაგრატს მსოფლიო კულტურული საგანძურის სიიდან ამოღება არ ემუქრებოდა. ნიკა რურუა აცხადებდა, რომ იუნესკო მიმდინარე რეკონსტრუქციის 2014 წლამდე შეჩერებას მოითხოვს, რაც ოფიციალური თბილისისთვის მიუღებელი იყო.

განსხვავებული იყო საერთაშორისო ორგანიზაციის ძეგლებისა და ღირსშესანიშნავი ადგილების საბჭოს საქართველოს ეროვნული კომიტეტის ხელმძღვანელ ნატო ცინცაძის

*ასე გამოიყურებოდა ტაძარი 1980-იან წლებში*





*ტაძრის ინტერიერი კურთხვის დღეს*

პოზიცია, რომელიც მან ჯერ კიდევ ივლისში გამოთქვა.

**ნატო ცინცაძემ:** „ბაგრატი გამორჩეული უნივერსალური ღირებულებისაა. ვინაიდან ბაგრატი თავის დროზე იუნესკოს სიაში შევიდა, როგორც ქართული არქიტექტურის გამორჩეული ნიმუში. დღეს ის ამ ტიპოლოგიასა და დასაბუთებას ვეღარ აკმაყოფილებს. ამიტომ უნდა მოხდეს მისი ფასეულობის ახალი დასაბუთება. აი, ამ პროცედურის დროს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრი დატოვებს ბაგრატს სიაში თუ ამოიღებს, ეს ძნელი სათქმელია“.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ბაგრატის ტაძარი, რომელიც გაერთიანებული საქართველოს პირველმა მეფემ, ბაგრატ მესამემ X საუკუნეში ააგო, XVII საუკუნის ბოლომდე უვნებლად იდგა. თუმცა მისი პირვანდელი სახე ისტორიულ დოკუმენტებს არ შემოუნახავს. ყველაზე გვიანდელი ჩანახატები XIX საუკუნის 30-იან წლებს განეკუთვნება და მისი ავტორი რუსი მხატვარი ნიკანორ ჩერნეცოვია. ეს ჩანახატები ადასტურებს, რომ ტაძრის სამხრეთი და დასავლეთი კედლები ჯერ კიდევ დაუზიანებელი იყო.

უფრო ძველი ცნობებით, რომელიც ქარ-

თველმა ისტორიკოსმა, ვახუშტი ბატონიშვილმა შემოგვინახა, 1692 წელს ბაგრატი თურქებმა ააფეთქეს, გაძარცვეს და იარაღის საწყობად გადააკეთეს.

1770 წელს, იმერეთის მეფე სოლომონ პირველმა თურქები ბაგრატიდან განდევნა, თუმცა ამ ბრძოლებმა ტაძარი კიდევ უფრო დააზიანა. 1775 წელს სოლომონ მეფემ ტაძრის სამხრეთ კარიბჭე აღადგინა.

1952 წელს, ცნობილმა ქართველმა რესტავრატორმა გიორგი ცინცაძემ ტაძარს არა რესტავრაცია, არამედ კონსერვაცია ჩაუტარა.

საზოგადოებას ამ დრომდე არ მიუღია პასუხები კითხვებზე: რატომ არ შეუთანხმეს ავტორებმა იუნესკოს ბაგრატის რეკონსტრუქცია-რესტავრაციის ყველა დეტალი და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები პროექტში მხოლოდ რესტავრაციის ბოლო ეტაპზე რატომ ჩაერთნენ? რატომ დაეთანხმა ძეგლის ამჟამინდელი მფლობელი საქართველოს საპატრიარქო ბაგრატის ავთენტიკურობის დარღვევას? რატომ დამტკიცდა პროექტი, რომელმაც გაერთიანებული საქართველოს სიმბოლო — ბაგრატი ჩვეულებრივი რკინა-ბეტონის ნაგებობით ჩანაცვალა?

**ნიკო ჯაფარიძე**

# როგორ აღმართული ქართველი გეოგნის ქაბლი



## ფახსმან II ქეჩი

მსოფლიო ისტორიაში მრავალ მეფეს მოიხსენიებენ სხვადასხვა ზედწოდებით: „დიდი“, „აღმაშენებელი“, „მრისხანე“, „ბრწყინვალე“, „ბნელი“, „ლომეული“ და სხვ. ეს წოდებები აბიბუტები, შეიძლება ითქვას, ზუსტად განსაზღვრავენ ერის, შთამომავლობის მათდამი დამოკიდებულებას. ამ ზედწოდებათა წყალობით, ხშირ შემთხვევაში, ზუსტი წარმოდგენა გვექმნება მეფის პიროვნებასა და მის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე. ასეთ მეფეთა შორის არის ქართლის მეფე ფარსმან II, რომელსაც ქართული საისტორიო ტრადიცია ქველად მოიხსენიებს. XI საუკუნის ქართველი მემკვიდრე ლეონტი მროველი ასე ახასიათებს ქართლის მეფეს ფარსმანს: „ფარსმან ქველი იყო კაცი კეთილი და უხვად მომნიჭებელი და შემნდობი, ასაკითა შეენიერი, უშიში ვითარცა უზორცო და ყველაფრით უმჯობესი ყოველთა მეფეთა ქართლისათა“.



მცხეთა. მტკვრისა და არაგვის შესართავთან

ფარსმან ქველს განუზომელი ენერჯია და დიდი პოლიტიკური შორსმჭვრეტელობა დასჭირდა, რათა ქართლის სამეფო წინა აზიასა და სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთ ძლიერ სახელმწიფოდ ექცია. მემკვიდრეობით ფარსმანს დანაწევრებული, დაუძლურებული სახელმწიფო ერგო.

...ქართლის სამეფოში ამ დროს ორმეფობაა. ქვეყანა შუაზეა გაყოფილი. ერთი მეფე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ზის და მის რეზიდენციას არმაზციხე წარმოადგენს. არმაზ-

ლი მეფის მფლობელობაში შედიოდა ქართლის სამხრეთი პროვინციები, ხუნანიდან მტკვრის სათავემდე და კლარჯეთი. ხოლო მეორე მეფე მტკვრის მარცხენა სანაპიროს განაგებს და მცხეთაში ზის. მის მფლობელობაში მოქცეულია ქალაქი მცხეთა, ყოველი ქართლი მტკვრის ჩრდილოეთით, ჰერეთიდან ეგრისამდე. მიუხედავად ორმეფობისა, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ქართლში მშვიდობიანი პოლიტიკური ვითარება სუფევდა. როგორც „ქართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს, არმაზსა და მცხეთაში მსხდომი მეფეები თუ მოყვრობდნენ ვინმეს, ერთად მოყვრობდნენ და თუ მტრობდნენ ვინმეს, ერთად მტრობდნენ.

II საუკუნის 20-იანი წლებისთვის ქართლში მშვიდობიანი პოლიტიკური ვითარება კარდინალურად იცვლება. ამ დროისთვის არმაზში მეფედ ზის ფარსმან ქველი, ხოლო მცხეთაში — მირდატი. ისინი თითქმის ერთდროულად გამეფდნენ, თავიდან მათი ურთიერთობა საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო. მაგრამ დროთა განმავლობაში ფარსმანსა და მირდატს შორის განხეთქილებამ იჩინა თავი. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ, რომ მირდატმა ცოლად შეირთო სპარსთა მეფის ნათესავი, სპარსთა შეგონებით გადაემტერა ფარსმანს და მისი მოკვლა განიზრახა. მირდატმა ფარსმან ქველი მეჯლისზე მიიწვია, სადაც საკუთარი განზრახვა უნდა შეესრულებინა. ფარსმანს შეთქმულების შესახებ დროულად შეატყობინეს. მას შემდეგ ფარსმანი და მირდატი ერთმანეთის მოსისხლე მტრები გახდნენ. ამის შემდეგ „ქართლის ცხოვრებაში“ მოთხრობილია მირდატისა და ფარსმანის დაპირისპირება. მირდატს ზურგს სპარსელები უმაგრებდნენ. მათ ვერაფერი გააწყეს ქართლის მეფის — ფარსმან II-ის წინააღმდეგ და ბოლოს საკუთარ მზარეულს მოაწამვლინეს იგი. ასეთია „ქართლის ცხოვრებაში“ აღწერილი ფარსმან ქველის მეფობის ტრაგიკული ისტორია.

ქართული წყაროს ცნობებთან შედარებით განსხვავებულ სურათს გვიხატავენ რომაელი ისტორიკოსები (დიონ კასიოსი, ელიუს სპარტიანე). მათთან ფარსმან II-ის მთავარი მოწინააღმდეგე სპარსეთი კი არ არის, არამედ რომის იმპერია. უცხოელ ავტორთა ცნობებით ისიც ირკვევა, რომ ამ დროს ქართლის სამეფოს საზღვრები სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით კარგა შორს გადაიჭიმა.





მარადიული ქალაქი ძლიერების ეპოქაში

ერთი რამ საერთო აქვთ ქართულ და რომაულ წყაროებს — ორივე შემთხვევაში, ფარსმან ქველის პერიოდის ქართლის სამეფო რეგიონში ძლიერ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენს, რომელსაც ანგარიშს უწევს როგორც რომის იმპერია, ასევე პართიის სახელმწიფო.

ფარსმან ქველის მეფობა II საუკუნის 20-50-იან წლებზე მოდის. რომის იმპერია თავისი სიძლიერის ზენიტშია. რამდენიმეწლიანი დაპირისპირება პართიასთან იმით დასრულდა, რომ მაზღობელ აზიაში მეტ-ნაკლებად მყარი სასაზღვრო ზოლი ჩამოყალიბდა. პართიის სახელმწიფოშიც სტაბილური ვითარება სუფევდა და შიდაპოლიტიკური დაპირისპირება წინა წლებთან შედარებით მწვავედ აღარ მიმდინარეობდა. ბუნებრივია, ასეთ დროს როგორც პართია, ისე რომი შეეცდებოდნენ, თავისი გავლენა განეგრცოთ კავკასიაზე, სადაც მათ ყველაზე მნიშვნელოვან მოწინააღმდეგეს ქართლის სამეფო წარმოადგენდა. თავის მხრივ, ქართლის მეფე ფარსმან II ცდილობდა პართიისა თუ რომის გავლენისგან გათავისუფლებასა და დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოებას. ამის დასადასტურებლად გამოდგება ელიუს სპარტიანეს ცნობა, რომელშიც მოთხრობილია რომისა და ქართლის სამეფოს დიპლომატიურ ომზე.

130 წლისთვის რომის იმპერატორ ადრიანეს აღმოსავლეთში ყოფნის დროს მან ქართლის მეფეს ელჩები გამოუგზავნა, ძვირფასი ძღვენი აახლა და მასთან გამოცხადება სთხოვა. რომაელი ისტორიკოსის თქმით, იმპერატორს ფარსმანისთვის მრავალ საჩუქართან ერთად საბრძოლო სპილო და ორმოცდაათკაციანი კოჰორტა მიუერთმეფია. ქართლის მეფემაც, საპასუხოდ, მდიდარი ძღვენით გაისტუმრა ელჩები, მაგრამ იმპერატორის მთავარი მოთხოვნა უყურადღებოდ დატოვა. ფარსმან ქველი არ წარდგა იმპერატორ ადრიანეს წინაშე. ამან კი ამაყი ადრიანეს საშინელი რიცხვა გამოიწვია. მასთან იმყოფებოდნენ აღმოსავლეთის ქვეყნების მეფეები, ქართლის სამეფოს გამგებელი ფარსმანი კი ქედმაღლურად უარს აცხადებდა რომის იმპერატორთან გამოცხადებაზე. საერთოდ, ადრიანე გამოირჩეოდა ამპარტავნობით. წყაროები იმასაც მოგვითხრობენ, რომ იმპერატორი ისე მიისწრაფვოდა ამქვეყნიური დიდების მოსაპოვებლად, რომ საკუთარი ბიოგრაფია თავად დაწერა და შემდეგ სხვებს გა-



პართიის მეფე ვოლოგეს II-ის სახელზე მოჭრილი მონეტა



მოაქვეყნებინა. ასეთ დროს ქართლის მეფის გადაწყვეტილება რომსა და მის გამგებელს ყველას თვალში ამცირებდა. ისე გამოდიოდა, ადრიანე თავად ქვეყნებოდა ფარსმან ქველს ჩამოსვლას. ამიტომაც, იმპერატორმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელმაც კიდევ უფრო გაართულა რომისა და ქართლის ურთიერთობა. ადრიანემ ქართლის მეფის მიერ გამოგზავნილი ოქროს მოსასხამები არენაზე გამოსულ სამას დამნაშავეს ჩააცვა. როგორც ჩანს, ამ საქციელმა ფარსმანის გულისწყრომა გამოიწვია. ამის შემდეგ ქართლის მეფის პოლიტიკა პირდაპირ იყო მიმართული რომის იმპერიის წინააღმდეგ.

შესაძლებელია ამავე პერიოდში დაემორჩილებინა ფარსმან ქველს ძიდრიტების ტომი. ფლავიუს არიანე მოგვითხრობს, რომ დაახლოებით 131 წლისთვის შავი ზღვის გასწვრივ მისი საინსპექციო მოგზაურობისას ძიდრიტების ტომი ფარსმანის უზენაესობას ცნობდნენ. ქართლის მეფის გავლენა II საუკუნის დასაწყისისთვის კლარჯეთამდე წვდებოდა. არიანეს მიხედვით კი კლარჯეთიდან ზღვამდე ზოლი ფარსმან ქველის დროს ქართლის გავლენის ქვეშ მოქცეულა. აშკარაა, რომ ქართლის მიერ ზღვაზე გასასვლელის მოპოვება მის მიერ დამოუკიდებელი საგარეო პოლიტიკის წარმოების შედეგად მოხდა. ძიდრიტების მოსაზღვრე ტომები ამ დროს რომის გავლენის ქვეშ იყვნენ მოქცეული და მათი მეფეები „ტახტს იმპერატორისგან იღებდნენ.“ ასეთ ვითარებაში ფარსმანის მიერ ზღვისპირა ზოლზე მცხოვრები ტომის დამორჩილება ანტირომაული პოლიტიკის რეალური გამოძახილი უნდა იყოს.


შემდგომში ქართლსა და რომს შორის ურთიერთობა კიდევ უფრო დაიძაბა. II საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში ფარსმანმა კავშირი გააბა ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ალანთა ტომთან და მათი დახმარებით შეეცადა პართიისა და რომის საფლობელოებისთვის საგრძნობი პრობლემების შექმნას. 135-136 წლებში ფარსმანმა ჩრდილოეთ კავკასიის გადმოსასვლელი გააღო და ალანები წინა აზიას შეუსია. ამ ლაშქრობის მასშტაბები საკმაოდ დიდი იყო. მან მოიცვა ალბანეთი, მიდია, სომხეთი და კაპადოკია. ისტორიკოს დიონ კასიოსის ცნობით, პართიის მეფე ვოლოგეს II იძულებული გახდა, ალანები საჩუქრებით მოესყიდა, ხოლო კაპადოკიის რომაელმა მმართველმა ფლავი-



რომის იმპერატორი ადრიანე

უს არიანემ სამხედრო სამზადისით შეაშინა მოწინააღმდეგე და უკუაქცია. ამ უკანასკნელის მიერ განხორციელებული ღონისძიებები იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ სებასტოპოლისში 137 წელს ამოკვეთილ წარწერაში არიანეს მიერ ალანთა ლაშქრობის მოგერიება საგანგებოდაა აღნიშნული.

ფლავიუს არიანე





რომის იმპერატორი ანტონინუს პიუსი

ქართლის მეფის ამ ქმედებამ დიდი საერთაშორისო რეზონანსი გამოიწვია. ვინაიდან სომხეთი, ეგვიპტე და ქართლი იმ დროს რომის გავლენის სფეროში მოისაზრებოდა, პართიის მეფემ ოფიციალური პროტესტით მიმართა რომის იმპერატორს ფარსმანის საქციელის გამო. ადრიანემ სენატის სხდომა მოიწვია, რომელზედაც ფარსმანის საკითხი განიხილა. ამ სხდომას ვოლოგეს II-ის ელჩებიც დაესწრნენ.

138 წელს იმპერატორი ადრიანე გარდაიცვალა და მისი ადგილი ანტონინუს პიუსმა (138-161) დაიკავა. ახალი იმპერატორის მმართველობისას რომსა და ქართლს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად დათბა. ამის გამოძახილი უნდა იყოს ფარსმან ქველის რომში ვიზიტიც, რომელიც 141-144 წლებში (ისტორიოგრაფიაში ამ ვიზიტის განსხვავებული თარიღებიც გვხვდება) უნდა გამართულიყო. ქართლის მეფის რომში ჩასვლის მნიშვნელობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ამის შესახებ მოთხრობილია რომში ყოველწლიურად აღწერილ ამბების ნუსხაში, რომელიც მარმარილოს ფირფიტაზე იწერებოდა და ძველი რომის ნავსადგურებისა თუ ქალაქების შესასვლელებთან იდგმებოდა. ერთ-ერთი ასეთი

*მარსის ტაძარი რომში, რომლის წინ, მოედანზე ფარსმან ქველის ქანდაკება იდგა*



ფირფიტის ფრაგმენტი აღმოჩნდა მდინარე ტიბრის შესართავთან. მასში აღნიშნულია „ფარსმანის, იბერთა მეფისა“ და მისი ოჯახის რომში სტუმრობა. წარწერაში მოიხსენიებოდა ქართლის მეფის ვაჟისა და დედოფლის სახელებიც, თუმცაღა მათგან მხოლოდ რამდენიმე ასოა დღემდე შემორჩენილი. დიონ კასიოსის ცნობით კი ანტონინე პიუსმა „გაუდიდა მას სამფლობელო, ნება დართო კაპიტოლიუმში მსხვერპლი შეეწირა, მისი ცხენოსანი ქანდაკება ენიალიონზე (მარსის მოედანზე) დაადგმევინა და უყურებდა ფარსმანეს, მისი ვაჟისა და სხვა წარჩინებულ იბერთა სამხედრო ვარჯიშობას“.

რომის იმპერიასთან დამყარებული მშვიდობიანობის მიუხედავად, ქართლის სამეფოსთვის საგარეო საფრთხის პრობლემა არ მოხსნილა. ამჯერად ფარსმან II-ს პართიასთან დაეძაბა ურთიერთობა. ძნელია თქმა, რა იყო ამის მიზეზი. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარსმანის სიცოცხლის ბოლოს დაპირისპირება ჰქონდა პართიელთა (ქართული წყაროს მიხედვით, სპარსელთა) სამხედრო ძალით ზურგამაგრებულ მირდატთან. როგორც ჩანს, პართიამ მიზანს ვერ მიაღწია. სწორედ ამი-

ტომაც პართიელებმა მზაკერული გეგმა შეიმუშავეს, მათ ფარსმან ქველს მკვლელი მიუჩინეს მზარეულის სახით ამ უკანასკნელმა დავლება პირნათლად შეასრულა. ფარსმან ქველის სიკვდილი დიდი ტრაგედია იყო ქვეყნისთვის. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, როგორ იგლოვა ქართველმა ერმა სახელოვანი მეფე: „მაშინ იქმნა გლოვა და ტირილი, და ტყეება ყოველთა ზედა ქართველთა წარჩინებულთგან, ვიდრე გლახადმდე. და იტყებდეს ყოველნი თაუთა თუისთა ყოველთა შინა ქალაქთა და დაბნებთა, რამეთუ დასხდიან მგოსანნი გლოვისანი, და შეკრბიან ყოველნი და ახსენებდიან სიმხნესა და სიქველესა, და სიშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქუელისასა“.

ფარსმანის გარდაცვალების შემდეგ ქართლის სამეფოში პოლიტიკური ვითარება კვლავ დაიძაბა. მეფის ოჯახი იძულებული გახდა, რომის იმპერიის კონტროლის ქვეშ მყოფი ტერიტორიისთვის შეეფარებინა თავი. რამდენიმე წლის შემდეგ მოხერხდა ფარსმანის ვაჟის, ადამის გამეფება, მაგრამ ამ დროს ქართლის სამეფოს სიძლიერე უკვე შერყეული იყო.

**ჯაჯა სამუშია**

*ფლაგიუს არიანეს მიხედვით, კლარჯეთიდან ზღვამდე ზოლი ფარსმან ქველის დროს ქართლის გაყლების ქვეშ მოქცეულა.*



# გიორგი კვინიტაძე

რატომ ავირებდა  
ქართული ბენარაზი  
თავის მოკვლას რუსეთ-  
საქართველოს 1921  
წლის ომის დროს

*გენერალი გიორგი კვინიტაძე ქართული გენერალიტეტის ერთ-ერთი გამოჩენილი და საინტერესო წარმომადგენელია. მისი სამხედრო ტალანტი ყველაზე ნათლად საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში გამოვლინდა და სამშობლოს დამოუკიდებლობის დაკარგვასთან ერთად მისი სამხედრო კარიერა დასრულდა კიდევ. სწორედ იგი სარდლობდა უკანასკნელ ომში საბჭოთა რუსეთთან დემოკრატიული რესპუბლიკის არმიას და მარცხთან ერთად მზად იყო საკუთარი სიცოცხლეც თვითმკვლელობით დაესრულებინა. ჯერ კიდევ მთავარსარდლად ერთი დღის დანიშნული გენერალი, იმ პირობებში, როდესაც ჯარი თითქმის არ ჰყავდა და რუსები თბილისს მოსდგომოდნენ, უთქვამს, — ტყვიას დაეიხლი შუბლში, ვიდრე მტერს დედაქალაქს უბრძოლველად დაუთმობო.*



გენერალ კვინიტაძეს საბჭოთა რუსეთის სამხედრო დაზვერვა ასე ახასიათებდა: „ფიცხი, მამაცი, ჭკვიანი. მისი ტაქტიკა — ალტყინება, შეტევა, ჩინებული მცოდნე ჯარისკაცთა ფსიქოლოგიისა, დიდი ინიციატივის პატრონი. მან ერთადერთმა შეინარჩუნა წესიერება თავის ნაწილებში ფრონტზე ჯარების დაშლის დროს. ბრძოლაში სრული უშიშრობა; იცის მასების გამხნეება და მათი გატაცება. ნერვიული, განუწყვეტლივ ქწევა პაპიროსს. საუკეთესო ოფიცერი ქართული ჯარისა“.

ქართულმა არმიამ თბილისთან გამართული ერთკვირიანი გმირული ბრძოლების შემდეგ დედაქალაქი დატოვა. პოზიციების შენარჩუნება ვერც მცხეთასთან და ვერც გორთან ვერ მოხერხდა და მცირე არიერგარდული ბრძოლებით სამხედრო შენაერთებმა ხაშუ-

რისა და ლიხის ქედისკენ დაიხიეს. სწორედ აქ დაგეგმა გენერალმა კვინიტაძემ საბჭოთა რუსეთის არმიის დაჯგუფების ავანგარდზე იერიშის მიტანა, მათი ალყაში მოქცევა და განადგურება. თბილისის აღების შემდეგ, რუსებმა შექმნეს ბათუმის მიმართულების ჯგუფი, რომელშიც შედიოდა 4 მსროლელი და 4 ცხენოსანი ბრიგადა, მთლიანობაში 15 000-მდე მებრძოლი, მაგრამ ეს ძალები თბილისიდან ქარელამდე იყო გადაჭიმული, რაც მათ წინააღმდეგ ბრძოლას აიოლებდა, რუსთა მეწინავე ნაწილებს ჩამორჩა არტილერია და სურსათი. ბათუმის ჯგუფის პირველი ამოცანა იყო ქართული არმიის დევნა მცხეთა-გორი-სურამის მიმართულებით და სურამის უღელტეხილის დაკავება. ამავდროულად რუსული სამხედრო შენაერთები ქართველებს

აფხაზეთის მიმართულებიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან გადმოპავალი უღელტეხილებიდანაც უტევდნენ, მაგრამ ქართულ არმიას მთავარი ბრძოლა თბილისიდან მომავალ მე-11 არმიასთან ელოდა. კონტრშეტევის მართებულობას გენერალი კვინიტაძე შემდგენაირად ასაბუთებდა: „პირველ რიგში შეტევა უნდა განგვეხორციელებინა იმ მოწინააღმდეგეზე, რომელიც ამწუთას ჩვენთვის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენდა; ასეთი გახლდათ თბილისის მხრიდან მოახლოებული მოწინააღმდეგე. მამისონის უღელტეხილიდან და შაგი ზღვის სანაპიროდან მომავალ მტერს თავისი მოქმედებები ჯერ იმდენად არ გაეშალა, რომ ხაშურში შეკრებილ ცოცხალი ძალის ბირთვს უშუალოდ დაშუქებოდა. ამიტომაც გადავწყვიტე პირველ ყოვლისა შეტევა თბილისის მხრიდან მოახლოებულ მტერზე განმეხორციელებინა და უკუმეგდო, ხოლო მისი მოწინავე რიგები სრულიად გამენადგურებინა“. შეტევა ასევე აამაღლებდა თბილისის დატოვებით გამოწვეულ ჯარისკაცთა მძიმე ფსიქოლოგიურ განწყობას, რაც ხშირად დეზერტირობის მიზეზი ხდებოდა.

შეტევის დაწყება გადაწყდა 4 მარტს, დილის 7 საათზე. ამ დროისთვის კვინიტაძის ძალებს შეადგენდა 6 000 ჯარისკაცი, 3 ჯავშანმატარებელი და 4 საარტილერიო ბატარეა, უახლოეს რეზერვს წარმოადგენდა ახალციხიდან მომავალი 1 500-კაციანი მე-11 ქვეითი პოლკი. ქართული რეგულარული არმიის ნაწილები გენერლების, მანნიაშვილისა

და სუმბათაშვილის მეთაურობით განლაგდა ხაშურის აღმოსავლეთით, რათა მოწინააღმდეგისთვის ფრონტალური დარტყმა მიეყენებინა, ხოლო სახალხო გვარდიელებმა, რომელთაც მეთაურობდნენ გენერლები კონიაშვილი და ჯიჯიხია, დაიკავეს ხაშურის ჩრდილოაღმოსავლეთით არსებული გაბატონებული სიმაღლეები. გვარდიელები, რომლებიც შეტევას მადლობიდან იწყებდნენ, თავისუფლად უნდა გასულიყვნენ რუსული ნაწილების ფლანგსა და ზურგში, რის შედეგადაც რუსული არმიის აჯანგარდი, დაახლოებით 5 000 ჯარისკაცი სრულ ალყაში ექცეოდა. ხაშურში განთავსდა მთავარსარდლის შტაბი და მათი დაცვა დაევალა იუნკერთა სასწავლებლის კურსანტებს. ბრძოლის დაწყებამდე კვინიტაძე მეთაურებისგან ძალების მაქსიმალურ მობილიზებას მოითხოვდა: „სამშობლოს გადარჩენისთვის მოვითხოვ ყველა უფროსებისგან ძალების უმაღლეს დაჭიმვას და უსაზღვრო სამსახურს, რათა რაღაც უნდა დაგვიჯდეს, მოპირდაპირის დამარცხებას მივაღწიოთ“. ოპტიმისტურად იყო განწყობილი პოლიტიკური ხელმძღვანელობაც. 28 თებერვალს ქუთაისში გამართულ დამფუძნებელი კრების სხდომაზე მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე აცხადებდა: „ლიხის მთაგრეხილის ბუნებრივ ზღუდეს დაემატება ჩვენი მხედრობის ცოცხალი გალავანი. აქ მიეცემა მტერს უკანასკნელი მოგერიებით ბრძოლა, აქედან დაიწყება ჩვენი მხედრობის წინსვლა“. ოპერაციის წარმატე-

გენერალი კვინიტაძე ქართველ ჯარისკაცებთან





გენერალი კვინიტაძე სახალხო გვარდიელებთან ერთად

ბით დასრულება ქართულ არმიას მისცემდა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვან დროს რეზერვების შესაკრებად, ამასთანავე მოწინააღმდეგის ცოცხალი ძალა დიდ დანაკლისს განიცდიდა. ეს იმ პირობებში, როდესაც თბილისის ალების შემდეგ რუსებს სამხედრო შენაერთების ნაწილების სომხეთისკენ გადასროლამ მოუწიათ, რადგანაც სომხებმა ერევნისა და სომხეთის დიდი ნაწილის გათავისუფლება შეძლეს. ბრძოლები მიმდინარეობდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ასე რომ, წინ ოპტიმისტური შესაძლებლობები ისახებოდა.

4 მარტის დილით შეტევა წარმატებით წარიმართა. სუმბათაშვილისა და მაზნიაშვილის დაჯგუფებებმა ჯერ საარტილერიო ცეცხლით დაამუშავეს მოწინააღმდეგე და შემდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი პუნქტიც დაიკავეს. წარმატებით ვითარდებოდა შეტევა ფლანგსა და ზურგში. გვარდიელებმა მეტოქის ფლანგს შემოუარეს, თუმცა დადამებამდე მოწინააღმდეგის ზურგში გასვლა და ალყაში მოქცევა ვერ მოხერხდა, რაშიც კვინიტაძე ბრალს გვარდიას დებს, რადგანაც გვარდიელებმა შეტევა დათქმულ დროზე საათ-ნახევრით გვიან დაიწყო. ოპერაციის დასრულება მეორე დილისთვის გადაიდო. დადამებისას არმიის შტაბში მსუბუქად დაჭრილი ვალიკო ჯუღელი მივიდა. მისმა დაჭრამ გვარდიის ნაწილებში არეულ-

რევა გამოიწვია, თუმცა მისივე თქმით, მას მოუხერხებია გვარდიელთა დამშვიდება. გენერალური შტაბის ოფიცრები მომავალი გამარჯვების მოლოდინში ხელეზ იფშენეტდნენ, მაგრამ ამ სასიხარულო განწყობას 5 მარტის ღამის პირველ საათზე გენერალ კონიაშვილის ტელეფონის ზარმა ცოვი წყალი გადაასხა. მან მთავარსარდალს უპატაკა, რომ გვარდიამ თვითნებურად, ბრძოლის გარეშე მიატოვა პოზიციები და სურამისკენ დაიხია. ახლა უკვე წინ გაჭრილი ქართული არმია ვარდებოდა ალყაში. გვარდიელთა ამ ქმედებამ ფაქტობრივად შეუძლებელი გახადა ბრძოლის გაგრძელება. გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ვალერიან თევზაძე იხსენებდა ამ ამბით გულშემძრულ მთავარსარდალის მძიმე სულიერ მდგომარეობას და თვითმკვლელობის განზრახვას: „მთავარსარდალი მეტად დედავდა. აბა, თევზაძე, თავის მოკვლა და მრჩენია, არა? — მომმართა სევდიანი ხმით. შევწუხდი ძალიან, ვგრძნობდი, რა აზრები უტრიალებდა ამ დროს თავში მთავარსარდალს“. ამ მომენტს თავის მოგონებებში ასევე იგონებდა ყოფილი იუნკერი და შემდგომში პოლონეთის არმიის ოფიცერი ნიკოლოზ მათიკაშვილი. ის სხვა იუნკრებთან ერთად რკინიგზის სადგურსა და მთავარსარდალის მატარებელს იცავდა. როდესაც მათი ცვლა დასრულდა, მთავარსარდალის ვა-

გონთან კონცერტი გაუმართავეთ: „რა ვიცოდით, რომ სწორედ ამ დროს ასეთი ტრაგიკული და დაჭიმული მომენტი იყო მთავარსარდლის გულში. ჩვენ კი ახალგაზრდული უდარდელობით კონცერტი გვექონდა გამართული, ცეკვა-სიმღერებით მისი ფანჯრების წინ. უსათუოდ ესმოდა ეს ყველაფერი და იქნებ ამ მოვლენამ შეიტანა მის ბუნებაში ცოტაოდენი დამშვიდება და თვითმკვლელობისგან ხელი ააღებინა“.

ქართულმა არმიამ დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლა, გადაწყდა ქუთაისთან, შემდეგ კი საჯავახოს ხაზზე გამაგრება, მაგრამ მტერი უკვე ყველა მიმართულებიდან ალყაში აქცევდა არმიის ნაწილებს და ჩნდებოდა საფრთხე მთავრობისა და არმიის ტყვედ ჩაყარდნისა. გადაწყდა ქვეყნიდან წასვლა. ემიგრაციაში წამსვლელთა შორის აღმოჩნდა გიორგი კვინიტაძეც, რომელმაც პარიზში 1970 წლამდე იცოცხლა, თუმცა მისი სამხედრო კარიერა დასრულდა და გენერალი არც ერთი ქვეყნის სამხედრო სამსახურში აღარ ჩამდგარა.

**დიმიტრი სილაძაძე**



*ქაქუცა ჩოლოყაშვილთან ერთად*

*გამარჯვებული მე-11 არმია თბილისის ქუჩებში*







# ლაკრინტი ბერიას აღსასრული

## უეთქმულეების ანატომია

*1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ხელისუფლებაში ტრიუმვირატი — მალენკოვი-ზრუშკოვი-ბერია მოვიდა. საბჭოთა კავშირში დაიწყო ლიბერალიზაციის პროცესი, რომელიც ისტორიაში „გაღლობის“ სახელწოდებით შევიდა. რუსეთი ზომ პოლიტიკური „კურიოზების“ ქვეყანაცაა. პოსტსტალინური ეპოქის პირველ რეფორმატორადაც არა რომელიმე მეცნიერი, არამედ ლაგერენტი ბერია მოგვევლინა.*

### როგორ ატყუებდა ჭაჭუაში ბერიას დასავლეთს

ბერია არა მხოლოდ პროფესიონალი ჩეკისტი იყო, არამედ ანალიტიკური აზროვნებითაც გამოირჩეოდა. ის არა მხოლოდ უნიკალურ ინფორმაციებს ფლობდა, არამედ მათი საშუალებით სათანადო დასკვნების გამოტანის უნარსაც. ბერია ხედავდა, რომ საბჭოთა იმპერიას მოდერნიზაცია ესაჭიროებოდა. დასავლეთი გერმანიის დაზვერვის მაშინდელი უფროსი რაინჰარდ გელენი ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „ბერიას საქმიანობას თვალს უდიდესი ყურადღებით ვადევნებდი. მისი გეგმა მართლაც გაბედული და შორს მიმავალი იყო. მეც ანალიტიკოსებს მოუთხოვე: ფაქტები საკმაოდ გამაჩნია, თქვენ, ჩემო კარგებო, თუ შეიძლება უმოკლეს ვადაში წარმომიდგინეთ დასკვნა, უქმნის თუ არა ბერიას გეგმები საფრთხეს ვეროპასა და კერძოდ, გერმანიას“.

1966 წელს გელენმა ინტერვიუ მისცა პრესას, სადაც დაზვერვის შეფი აღნიშნავდა, რომ ბერიამ ზუსტად დაიჭირა საბჭოთა რეჟიმის

უძთავრესი სისუსტეები: პარტაპარატი, რომელიც იმ დროისთვის უკვე გადაიქცა პარაზიტად სახელმწიფოს სხეულზე; ზედმეტად ცენტრალიზებული ეკონომიკა და ეროვნული ჩაგვრა. ბერია სწორედ ამის აღმოფხვრას შეეცადა. ამას გარდა, ხედებოდა, რომ დასავლური მოწინავე ტექნოლოგიების მოზიდვის გარეშე რუსეთის იმპერიის მოდერნიზება ჩაიშლებოდა. გელენის თქმით, ბერიამ მჭიდრო კავშირი დაამყარა დასავლეთ ევროპის ანტიამერიკულ ძალებთან, მათთან, ვინც მხარს უჭერდა რუსეთთან ვაჭრობის გაფართოებასა და ევროპიდან ამერიკელთა წასვლას.

ბერიამ რეფორმატორული გეგმა 1953 წლის მარტში ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე წარმოადგინა. ეს გეგმა მართლაც მასშტაბური და გაბედული იყო. გეგმაში ნათქვამია, რომ უნდა მოხდეს უკანონოდ რეპრესირებულთა რეაბილიტაცია, შესუსტდეს საპასპორტო რეჟიმი, გაუქმდეს სამეურნეო სტრუქტურებზე პარტიული კონტროლი. ისტორიკოსი როი მედვედევი აღნიშ-

# ისტორიის საიდუმლოებებით მოცული ყველაზე საინტერესო ფაქტები!

## თვეში ერთხელ


## „ხვირის პალიტრასთან“ ერთად

წიგნების სერია  
**10 ზოგად**

ბავშვებო, რის შესახებ  
დუმს ისტორია!  
მხოლოდ ის, რაც  
ბაღებს შეჰქითხვას...



წიგნის  
სპეციალური ფასი  
**9 ლარი**  
გაზეთთან ერთად  
**10 ლარი**



15 - ლან  
22 ოქტომბრამდე

შემდეგ წიგნები:  
ტუტანჰამონის  
ახალღამა

შეისწავლეთ კაცობრიობის  
ისტორიის უდიდესი საიდუმლოებანი!

წიგნები აღმოიჩინა მიტანით - ელვა.ჯი ტელ.: 2 38 26 73; 2 38 26 74; 2 38 26 76 [www.elva.ge](http://www.elva.ge)



ლაურენტი ბერია ჟურნალ „ტაიმის“ გარეკანზე

ნავს, რომ ბერიას სურდა იგივე, რაც მოგვიანებით პერესტროიკის ავტორ მიხაილ გორბაჩოვს. მეტიც, მისი შეფასებით ბერიას ეკონომიკური პროგრამა უფრო კონკრეტული, მასშტაბური და გაბედული იყო, ვიდრე გორბაჩოვისა, თუმცა ბერია არც კი შენებია პოლიტიკური პლურალიზმის თემას, რადგან მიაჩნდა, რომ ეს ქვეყანას დაანგრევდა.

ბერიას საგარეო პოლიტიკის სფეროშიც საყურადღებო პოზიცია ჰქონდა. მისი აზრით, ე.წ. მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში კომუნისტური დიქტატურა შედარებით ზომიერ რეჟიმებს უნდა ჩაენაცვლებინა, თუმცა ეს ქვეყნები მოს-

კოვის ორბიტაში უნდა დარჩენილიყვნენ. სწორედ ბერიას მხარდაჭერით დაიკავა უნგრეთის პრემიერის პოსტი რეფორმატორმა იმრე ნადმა. ლაურენტი პავლეს ძე იუგოსლავიასთან ურთიერთობის აღდგენასაც მოითხოვდა, ყველაზე საინტერესო კი მისი პოზიცია გერმანიასთან დაკავშირებით იყო. ბერია მიიჩნევდა, რომ ე.წ. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა (გდრ) ანაქრონიზმს წარმოადგენდა, ამიტომ გაცილებით მომგებიანი იქნებოდა ერთიანი დემოკრატიული და ნეიტრალური გერმანიის შექმნა, სადაც არც რუსული და არც ამერიკული ბაზები არ იქნებოდა. გერმანიის დაზვერვის უფროსის, გელენის შეფასებით, გერმანიის გაერთიანების ბერიასეული სქემა სინამდვილეში ხაფანგი იყო. ნეიტრალური ერთიანი გერმანიის შექმნა და ამერიკული ბაზების გატანა ბიძგს მისცემდა მსგავს პროცესებს იტალიასა და საფრანგეთში. შემდგომში ეს სკანდინავიის ქვეყნებზეც გავრცელდებოდა და ამერიკის შეერთებული შტატები ევროპაში ერთადერთი მოკავშირის, ინგლისის ამარა რჩებოდა.

პარტაპარატის ძალაუფლების შეზღუდვა, ეროვნული ჩაგვრის შენელება და მოწინავე დასავლური ტექნოლოგიების მოზიდვა — აი, ასეთი გახლდათ ბერიას გეგმები საშინაო პოლიტიკაში. საგარეო პოლიტიკაში კი იგი ევროპიდან ამერიკელთა გაძევებასა და ევროპის ე.წ. ფინეთიზაციას ესწრაფოდა. გერმანელმა ანალიტიკოსებმა მოკლე და ლაკონური დასკვნა წარუდგინეს გელენს: ბერიას რეფორმები საფრთხეს უქმნის როგორც გერმანიას, ისე მთელ ევროპას.

**შედეგების მიხედვით**

ლაურენტი ბერიას რეფორმატორულმა

**სტალინის დაკრძალვისას**



პროგრამამ პარტაპარატი საგონებელში ჩააგდო. თავად ბერიაძე ამას ანგარიში არ გაუწია. ამერიკელი ისტორიკოს არმსტრონგის აზრით, ბერიაძე გამარჯვება ნაადრევად ირწმუნა, ამიტომ არავის მოერიდა და მეორე არანაკლებ გამაღიზიანებელი ნაბიჯი გადადგა. 1953 წლის 12 ივნისს საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში ბერიას მოხსენების საფუძველზე შემდეგ გადაწყვეტილებას იღებს:

1. პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს დაევალოს ნაციონალურ რესპუბლიკებში მდგომარეობის ძირეული შეცვლა, ბოლო მოეღოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის დამახინჯებას.

2. დაჩქარდეს ადგილობრივი ეროვნებების წარმომადგენელთა მომზადებისა და ხელმძღვანელ თანამდებობებზე დანიშნვის პროცესი. ნომენკლატურული მუშაკები, რომლებმაც ადგილობრივი ენა არ იციან, გამოხშობილ იქნენ სკკპ ცეკას განკარგულებაში.

3. ნაციონალურ რესპუბლიკებში საქმის წარმოება გადავიდეს ადგილობრივ ენაზე.

არმსტრონგის მოსაზრებით, საბჭოთა კავშირისთვის ეს მართლაც ჰაეროვით აუცილებელი იყო, თუმცა ამ გადაწყვეტილებათა დაჩქარებულად მიღებამ რუსების ველიკოდერჟავული გრძნობები შელახა. მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებამ ხომ რუსული შოვინიზმი ძალიან გააძლიერა. ამიტომ ბერიას ამ ნაბიჯმა მხოლოდ მისი აღსასრული დააჩქარა. „ბერიას რომ თავისი პროგრამა განეხორციელებინა, ასგზის სტალინი უნდა ყოფილიყო“, — წერს ცნობილი ისტორიკოსი და სოვეტოლოგი აბდურაჰმან ავტორხანოვი.

თუმცა რეალური მიზეზი მაინც ის იყო,



*ნიკიტა ხრუშჩოვი ბოლო მომენტამდე ყოყმანობდა, ჩაერთო თუ არა შეთქმულებაში სამხედროები*

რომ პარტაპარატმა ბერიას სახით დაინახა პერსონა, რომელიც ძალაუფლებასა და პრივილეგიებს ეცილებოდა. აპარატიც ხრუშჩოვის გარშემო დაირაზმა და ნიკიტა სერგეევიჩი ბერიას წინააღმდეგ შეთქმულების უმთავრესი ორგანიზატორი გახდა.

### დაპატიმრება

ბერიას წინააღმდეგ შეთქმულება დიდხანს და გულმოდგინედ მზადდებოდა. ბოლო, გადამწყვეტ ფაზაში ის 1953 წლის ზაფხულში შევიდა. მაშინ გღრ-ში ანტიკომუნისტურმა

*მორივი, ახალგაამომცხვარი ზალხის მტრის საზე გაზეთებშიც გადანაპუნეს*





*გიორგი მალენკოვი*

აჯანყებამ იფეთქა და ბერია სასწაფოდ გაემართა მის ჩასაქრობად. ლაერენტი პავლოვიჩის არყოფნისას ხრუშჩოვმა უკანასკნელი სამზადისი დაასრულა. ზოგიერთები ხრუშჩოვს ოპერაციაში ჟუკოვის ჩართვას ურჩევდნენ, მაგრამ ხრუშჩოვი ყოყმანობდა.

ოპერაციაში ჟუკოვის ჩართვას ხრუშჩოვს მისი ძველი მეგობარი, მარშალი მოსკალენკოც ურჩევდა. ხრუშჩოვი მაინც ყოყმანობდა. ნიკიტა სერგეევჩიმა იცოდა, რომ ჟუკოს ბერიასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. ისიც

*მარშალი გიორგი ჟუკოვი*



მოეხსენებოდა, რომ ჟუკოვი მას დასცინოდა და მეგობრების წრეში კლოუნს უწოდებდა. ბოლო მომენტამდე იყოყმანა ხრუშჩოვმა. მოსკალენკო კი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ არმიის მხარდაჭერის გარეშე ბერიას ვერ მოერეოდნენ და რომ ჟუკოვის ავტორიტეტი არმიაში შეურყეველი იყო. ბოლოს და ბოლოს, ხრუშჩოვი დაყაბულდა. ნიკიტა სერგეევჩი მიხვდა, რომ ჟუკოვის გარეშე მართლაც ვერაფერს გახდებოდნენ. მიუხედავად ამისა, ჟუკოს იარაღი არ ანდეს. ოპერაციაშიც უკანასკნელ მომენტში ჩააბეს. სხვა სამხედროები კი შეიარაღებული იყვნენ.

1853 წლის 26 ივნისს თვითმფრინავი, რომელშიც ბერია იჯდა, მოსკოვში დაეშვა. ბერიას განუცხადეს, რომ ცეკას პლენუმი ეწყობოდა და ისიც აეროპორტიდან პირდაპირ პლენუშე გაემართა. სინამდვილეში ეს მახე იყო.

სხდომა დაიწყო თუ არა, მალენკოვის თანამემწე სუხანოვმა მეორე ოთახში დადარაჯებულ სამხედროებს პირობითი ნიშანი მისცა. იარაღმომარჯვებული სამხედროები ოთახში შემოცვივდნენ. გაისმა მჭკქქარე ხმა: — ხელები მაღლა! მარშალმა მასკალენკომ ბერიას იარაღი პირდაპირ შუბლზე მიაღო, მალენკოვმა კი წარმოთქვა:

— მოქალაქე ბერია, თქვენ დაპატიმრებული ხართ!

ლაერენტი ბერიას წინააღმდეგობა არ გაუწევია, ხელები მორჩილად ასწია. ჟუკოვმა კარგი მაძებარივით ჯიბეები მარდად დაუჩხრიკა.

— გაიყვანეთ! — გასცა განკარგულება მალენკოვმა.

სამხედროებმა ბერია გაიყვანეს.

**ყვალფაღვარეულის ხაზნი..**

მეორე დღეს საბჭოთა გაზეთებში დაიბეჭდა ცნობა, რომ დაპატიმრებულია „ხალხის მტერი“ ლაერენტი ბერია. მას ბრალი დასდეს აშშ-ის, ინგლისის, გერმანიისა და იუგოსლავიის(!) სასარგებლოდ ჯამუშობაში. არაერთი კოლეგის მსგავსად, ბერიამ საკუთარ ტყავზე იწვინა ის, რასაც აქამდე სხვებს უკეთებდა.

ხრუშჩოვი და მისი თანამოაზრენი ბერიას დაპატიმრების შემდეგაც თავს მშვიდად ვერ გრძნობდნენ. კანონის თანახმად, ლაერენტი შინსახკომის ციხეში უნდა მოეთავსებინათ. ხრუშჩოვს ამისი ეშინოდა, იქაურობა ბერიას აგენტურითაა სავსე და გაგვექცევო. ამიტომ ბერია მოსკოვის სამხედრო ოლქის სპეცია-

ლურ ბუნკერში მოათავსეს. მას არა ჩეკისტები, არამედ სამხედროები დარაჯობდნენ.

წყალწადებული ხავსს ეჭიდებოდაო, — ნათქვამია. ბუნკერში გამომწყვდეული ლაერენტი ბერია კარგად ხვდებოდა, რომ წააგო, საბჭოთა კავშირში კი წაგებულებს სერეტდნენ. ბერიაც წერილებს წერდა სრუშჩოვს, მალენკოვს, მოლოტოვს. ემუდარებოდა, ეპატიებინათ და გაეთავისუფლებინათ. მალენკოვს ბერიამ სთხოვა მოხუცი დედის და ცოლ-შვილის მიხედვა. წერილებზე პასუხი მას არ მიუღია. ფაქტობრივად, ეს უკვე მიცვალებულის წერილები იყო, ამა ქვეყნის ძლიერ ლაერენტი პავლოვიჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი ჰქონდათ.

### აღსასრული

ოფიციალური ვერსიით, ლაერენტი ბერია დახურულმა სასამართლომ გაასამართლა და დახვრეტა მიუსაჯა. ბევრი მკვლევარი ამას ეჭვქვეშ აყენებს. აბდურაჰმან ავტორხანოვი მიიჩნევს, რომ ლაერენტი ბერია არ ესწრებოდა სასამართლოს, რადგანაც იგი უკვე კარგა ხნის დახვრეტილი იყო. ამ მოსაზრების გაბათილება ან დადასტურება შეუძლებელია. სამაგიეროდ, შეგვიძლია ზუსტად აღვადგინოთ ბერიას უკანასკნელი წუთები. ამის თაობაზე მოგვითხრობს მაიორი ხიფნიაკი, რომელიც მას მოსკოვის სამხედრო ოლქის ბუნკერში დარაჯობდა. ხიფნიაკი გაზეთ „მოსკოვსკი კომსომოლენცისადმი“ მიცემულ ინტერვიუში დაწვრილებით ყვება, როგორ დაამაგრეს ვეპერთელა ფარი, როგორ მიაბეს ზედ ხელებით ბერიას.

„დახვრეტას ესწრებოდნენ შვერნიკი, მიხაილოვი და კიდევ რამდენიმე ამხანაგი. განაჩენი კი გენერალ ბატიცკის უნდა აღესრულებინა“, — ამბობს ხიფნიაკი.

მაიორი ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ბერია ფარზე ხელებით მიაბა. ხიფნიაკმა დააპირა, მისთვის თვალები აეხვია.

— არ გინდა, — უთხრა ბატიცკიმ, — დაე თვალხილული მოკვდეს.

ხიფნიაკმაც პირსახოცი მოხსნა. ამ დროს თვალზე ბერიას ცრემლი ჩამოუვარდა და ხიფნიაკს ხელზე დაეცა. მაიორს უნებლიეთ გული შეეკუმშა, შეეცოდა ეს სასიკვდილოდ განწირული კაცი, ახლა ფარზე ასე უმწყოდ და საცოდავად რომ ეკიდა.

— აბა! — წარმოთქვა ბატიცკიმ, — დროა! ხიფნიაკმა და სხვებმა უკან დაიხიეს. გე-



ნიკიტა სრუშჩოვმა თავი მშვიდად მხოლოდ ბერიას დახვრეტის შემდეგ ივარძნო

ნერალმა ბატიცკიმ რეკოლეკერი შემართა. გაისმა გასროლა. ბერიამ ამოიკვნესა და ფარზე ჩამოეკიდა. ექიმმა სიკვდილი დააფიქსირა.

— ბერიას სხეული ბრეზნენტში გაახვიეს, — ყვება ხიფნიაკი, — ამ დროს გული წაშივიდა. ის ცივი წყლით მოასულიერეს. გონს მოსულს გენერალი ბატიცკი რუსული გინებით გაუმასპინძლდა.

### ეპილოგი

„საბრალონი არიან ისინი, ვინც საშობლოსთვის ბრძოლას დამპყრობლის სამსახურში გადიდკაცებას ამჯობინებს. ასეთებს თვად მისივე პატრონები გამოიყენებენ და შემდეგ გაუსწორდებიან. შთამომავლობა კი დასწყველის“, — წერს ბულგარული მწერალი ივან ვაზოვი. ბერიამაც დამპყრობლის სამსახურში გადიდკაცება ამჯობინა და რუსეთს მართლაც უდიდესი სამსახური გაუწია. სანაცვლოდ ბელმა სამარცხვინო სიკვდილი არგუნა. ქართველმა ერმა ლაერენტი ბერიას მოღალატე უწოდა.

ენკა თევზაძე



# ჯოჯოხეთური ქრონიკები

ამერიკული მონათმფლობელობის ისტორიიდან

თითქმის 250 წლის განმავლობაში ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე, თავდაპირველად ბრიტანეთის კოლონიებში, შემდეგ კი ახალშექმნილ ამერიკის შეერთებულ შტატებში, გავრცელებული იყო მონათმფლობელობა. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენდა დასავლეთ ნახევარსფეროში პირველ დამოუკიდებელ, პროგრესულ და დემოკრატიულ იდეებზე დაფუძნებულ სახელმწიფოს, მთელი 89 წლის განმავლობაში მის საზღვრებში საესკებით კანონიერად არსებობდა ადამიანურ ურთიერთობათა ვველაზე საშინელი ფორმა — მონობა.

მონათმფლობელობის ეპოქა, შეიძლება ითქვას, შავ ლაქად აღიბეჭდა აშშ-ის ისტორიაში. თავისთავად, უარყოფითმა მოვლენამ დამატებითაც დიდი პრობლემები წარმოშვა. 1850-იან წლებში მონათმფლობელობის ირგვლივ დაძაბულობამ იმ დონეს მიაღწია, რომ ერთიანი სახელმწიფო ორ დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად გაიყო. მონათმფლობელობით გამოწვეული უბედურებები ამით არ ამოწურულა. ქვეყანაში მონობის მოსპობა მხოლოდ სისხლისმღვრელი და დამანგრეველი სამოქალაქო ომის შედეგად მოხერხდა.

მონათმფლობელობის სისტემა და მონების შრომა ბრიტანეთის ამერიკულ კოლონიებში, შემდეგ კი აშშ-ის ტერიტორიაზე 1619-1865 წლებში არსებობდა. მონათა აბსოლუტური უმრავლესობა აფრიკიდან იძულებით წამოყვანილი ზანგი იყო. მონობა, როგორც მოვლენა, ოდითგან მრავალ სახელმწიფოსა და ეთნოსს შორის იყო გავრცელებული. მონათმფლობელობა ნებისმიერ ეპოქაში არსებობდა და განსხვავებულ საზოგადოებებში მას სხვადასხვა გამოვლინება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად მო-

ნობის არსი ყველა დროსა და სივრცეში ერთი და იგივე იყო, ამა თუ იმ ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობა და ისტორიული წანამძღვრები განაპირობებდა მონათმფლობელური სისტემის თავისებურებებს. ასე მოხდა ამერიკული მონათმფლობელობის შემთხვევაშიც. აშშ-ში მონათა შრომის გამოყენების სისტემა თვითმყოფადი, ორიგინალური გზით განვითარდა და არ წარმოადგენდა თუნდაც ანტიკური ეპოქის მონათმფლობელური სისტემის ანალოგს.

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტის უკიდევანო ტერიტორიები, ნაყოფიერი მიწები და ხელსაყრელი კლიმატური პირობები არაჩვეულებრივ პირობებს ქმნიდა სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის. ასათვისებელ ტერიტორიათა მასშტაბებმა და მუშახელის სიმცირემ ინგლისის კოლონიურ ხელისუფლებას საფიქრალი გაუჩინა. არ ჩანდნენ ადამიანები, რომელთა მხრებზეც მძიმე ფიზიკური შრომა გადაივლიდა.

გამოსავლის ძიებაში კოლონიურმა ხელისუფლებამ მხერა შორეულ აფრიკას მიაპყრო. კოლონისტები სულ მალე დარწმუნდნენ, რომ აფრიკელი მონები აგრარულ სფეროში არსებულ მზარდ მოთხოვნებს საუკეთესოდ აკმაყოფილებდნენ. XVIII საუკუნის 10-იანი წლებიდან აფრიკიდან ამერიკაში მონების ჩამოყვანამ უკონტროლო მასშტაბები მიიღო.

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე პირველი აფრიკელი მონები ესპანელებმა 1526 წელს ჩამოიყვანეს, ბრიტანულ კოლონიებში კი პირველად ეს ვირჯინიაში მოხდა 1619 წელს. იმ დროიდან პროცესს მუდმივი ხასიათი მიეცა.

1713 წელი ამერიკული მონათმფლობელობის ისტორიაში ერთგვარი გარდამტეხი მნიშვნელობის თარიღია — ბრიტანეთმა ესპანეთს გამოსტაცა ე.წ. „ასიენტოს“ უფლება. ამიერიდან ბრიტანელებს შეეძლოთ, აფრიკელი მონები ესპანელთა კოლონიებში შეეყვანათ. 1698 წლიდან კი ინგლისის დროშის ქვეშ მცურავ ნებისმიერ გემს ჰქონდა უფლება, თავისუფლად ჩაბმულიყო საოკეანო მონათვაჭრობაში. კოლონიებში ზანგი მონების რიცხვის მკვეთრი ზრდა დაიწყო. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა სამხრეთ კოლონიებში, სადაც პლანტაციური მეურნეობა სულ უფრო მზარდი რაოდენობის მუშახელს საჭიროებდა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და იარაღის არარსებობასთან ერთად, პლანტაცი-

ების ზომაც უსაშველოდ დიდი იყო, ამიტომაც თითოეულ ასეთ ნაკვეთში ათეულობით ადამიანის მუშაობა იყო საჭირო. პლანტაციაში მუშაობა არ მოითხოვდა რამე სპეციალურ ცოდნასა თუ განათლებას, მთავარი იყო ზეადამიანური ფიზიკური გამძლეობა და ძალა. ზანგების მომრავლებასთან ერთად კოლონიებში დაეცა მათი ფასიც. მონათმფლობელობის სისტემა ახალი სისხლით შეივსო და XVII საუკუნის მეორე ნახევარში კოლონიაში მონათა სტატუსის განმსაზღვრელი სამართლებრივი დოკუმენტები შემუშავდა. ე.წ. „შავ კოდექსებში“ დაკანონდა ზანგების ყოველმხრივ უუფლებო მდგომარეობა. აფრიკელი მონა მებატონის სრულ და სამუდამო საკუთრებაში გადადიოდა. ზანგების შვილები ასევე ავტომატურად მონებად იბადებოდნენ და მშობლების ბედს იზიარებდნენ. მონებს არ ეძლეოდათ ვაჭრობის, განათლების უფლება. მონათმფლობელის ნებართვის გარეშე ეკრძალებოდათ სპირტიანი სასმელის დალევა, ზანგებისთვის ასევე აკრძალული იყო პლანტაციიდან წასვლა, იარაღის ტარება, ძაღლის ყოლა, ცხენის ქირაობა, შეკრებათა მოწყობა და თეთრკანიანის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა, ასე-

*სანიმუშო კონსტიტუციისა და დემოკრატიული ლოზუნგების მიუხედავად, ახალგაზრდა ქვეყანამ მონათმფლობელობის საკითხს გვერდი აუარა*







*ბაშბაზე მოთხოვნის მკვეთრმა ზრდამ მონობის გამყარებას დიდად შეუწყო ხელი*

*XVI-XIX საუკუნეებში კონტინენტზე 12 მილიონი მონა ჩაიყვანეს, მათგან 645 ათასი — თანამედროვე აშშ-ის ტერიტორიაზე*



ვე ზედამხედველის გარეშე შვიდ კაცზე მეტი ერთად ვერ შეიკრიბებოდა.

ხანგრძლივი რევოლუციური ომის შედეგად 1776 წელს აშშ-მა დამოუკიდებლობა მოიპოვა. მოსალოდნელი იყო, რომ კოლონიური დამოკიდებულებიდან განთავისუფლებულ ქვეყანაში ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა და დაცვა ხელისუფლების ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი იქნებოდა. ასეც მოხდა — სანიმუშო კონსტიტუცია და მთელი რიგი დემოკრატიული ღონისძიებები ახალგაზრდა ქვეყნის პროგრესის მთავარი განმაპირობებელი გახდა. მიუხედავად იმისა, რომ ფასულობათა შორის იყო — „ყველა ადამიანი თანასწორუფლებიანი იბადება“, ამერიკულმა რევოლუციის მონაპოვარმა მონათმფლობელობის საკითხს გვერდი აუარა და მომდევნო ათწლეულების განმავლობაში აშშ-ში მონობა ხელშეუხებელი დარჩა.

აშშ-ის დამოუკიდებლობის დეკლარაციის ავტორმა თომას ჯეფერსონმა თავის მიერ შექმნილ ამ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში შეიტანა პუნქტი, რომელიც მონობის გაუქმებას ისახავდა მიზნად; თუმცა მდიდარი პლანტატორებისა და მოიჯარეთა მიერ წარმოდგენილმა კონგრესის უმრავლესობამ მიაღწია დეკლარაციის საბოლოო ტექსტიდან ამ პუნქტის ამოღებას. 1787 წელს მიღებულმა კონსტიტუციამ მონობა დააკანონა და ამით გაამყარა მისი პოლიტიკური და ეკონომიკური პოზიციები. მომდევნო წლებში კი, კონსტიტუციაზე დაყრდნობით, ქვეყნისა თუ ცალკეული შტატის საკანონმდებლო ორგანოებმა ასეულობით აქტი მიიღეს, რომელთა ძალითაც აშშ-ში მონობის სისტემა კიდევ უფრო გამყარდა.

აღსანიშნავია, რომ ამერიკული რევოლუციის პერიოდში აშშ-ის ჩრდილოეთ ნაწილში მონობა აიკრძალა. ქვეყნის ამ ნაწილში შედარებით მცირემიწიანი ფერმერული ტიპის სოფლის მეურნეობა ვითარდებოდა და გარდა ამისა, აქტიურად ყალიბდებოდა მანუფაქტურები, მექანიზებული საწარმოები. ასე რომ, ქვეყნის ჩრდილოეთი იმთავითვე პრაქტიკულად არ საჭიროებდა ზანგების მონურ შრომას.

სამაგიეროდ, საპირისპირო სიტუაცია იყო სამხრეთ შტატებში. კოლონიური წარსულის მონათმფლობელური მემკვიდრეობიდან გამომდინარე, უკვე დამოუკიდებლობის პერიოდში, აშშ-ის სამხრეთი მონათმფლობელობის ბასტიონად გადაიქცა. ზანგების იძულებითი შრომის გამოყენებამ იქ მანამდე არნახული

ფორმები და მასშტაბები მიიღო. ჩრდილოელი დემოკრატი პოლიტიკური ლიდერები ოპტიმისტურად იყვნენ განწყობილი და იმედოვნებდნენ, რომ მონათმფლობელობის მზარდი ხარჯიანობის პირობებში სამხრეთ შტატებში ზანგების შრომის გამოყენება მალევე თავისთავად შეწყდებოდა, მაგრამ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის ევროპაში მიმდინარე ეკონომიკურმა პერიპეტებმა სულ სხვა მიმართულება მისცეს სამხრეთ შტატების ისტორიას. ინგლისის სამრეწველო რევოლუციამ არანახულად გაზარდა მოთხოვნა ამერიკულ ბამბაზე. ამას ისიც დაემატა, რომ XVIII საუკუნის მიწურულს აშშ-ში გამოიგონეს ბამბის გამწმენდი დაზგა. ყოველივე ამან პლანტაციური მონათმფლობელობის რენტაბელობაც და პროდუქტიულობაც მკვეთრად გაზარდა. XIX საუკუნის პირველ მეოთხედში საკუთრივ აშშ-შიც უამრავი სამკერვალო ფაბრიკა გაიხსნა, რამაც ასევე წაახალისა მონათმფლობელო სისტემის აყვავება. სამხრეთის პლანტაციებში ბამბამ თამბაქოსა და შაქრის ლერწმის კულტურები შეაფეროვა და აგრარული სექტორის „მეფედ“ გამოცხადდა.

ნებისმიერ ზანგ მონას პლანტატორი ნეოთად აღიქვამდა. მონას არ ჰქონდა პრაქტიკუ-

ლად არავითარი უფლება და მთელი ცხოვრება მის ბედს განაგებდა მეპატონე. აფრიკელები უმცირესი ზომის ფიცრულ სახლებში ცხოვრობდნენ. მათ საცხოვრებელს არ ჰქონდა არც ფანჯარა და ზშირად არც კარი. შემოსასვლელი ჭრილი ფარდით იყო ჩამოფარებული. მიწის იატაკის შუაში ცეცხლის დასანთები ადგილი იყო ოთახის გასათბობად და საჭმლის მოსამზადებლად. ფიცრის უხეში, დაბალი ოთხფეხა სკამები და თივის გროვა საწოლის მაგივრად — ქოხის მთელ ავეჯს წარმოადგენდა. თითოეულ ასეთ ფიცრულში ექვსი და მეტი ზანგი ცხოვრობდა. აფრიკელებს ტანსაცმელიც ძალიან ღარიბული, სადა და ერთფეროვანი ჰქონდათ. მონებს არც საკვებით ანებებდნენ. სიმინდის კვერი მათ ძირითად საკვებს წარმოადგენდა. დროდადრო აძლევდნენ ღორის ხორცსა და თევზს. თითოეული მონისთვის საკვების ოდენობაც მკაცრად განსაზღვრული იყო. პლანტატორების მიზანი იყო რაც შეიძლება მცირე დანახარჯებით მაღალი შედეგის მიღება. კონტრასტი ზანგების შრომითა და საცხოვრებელ პირობებს შორის საშინელ სურათს ქმნიდა. საჭმლის ულუფასაც ზანგებს გაწეული შრომის შესაბამისად აძლევდნენ.

მონის სამუშაო კვირა ექვსი დღისგან შედ-

**მონათა აუქციონი**



გებოდა. ზამთარში და შემოდგომისას ზანგები დღეში 12-13 საათს შრომობდნენ, წლის დანარჩენ დროს კი 14-15 საათს. საჭიროების შემთხვევაში ან დასჯისას მონები კვირაობითაც გაჰყავდათ პლანტაციებში. მუშაობისას ზანგებს ზედამხედველი მეთვალყურეობდა, მისი წკეპლის ხმა მონებს მოდუნების საშუალებას არ აძლევდა. ზაფხულობით პაპანაქება სიცხე კი პლანტაციაში მომუშავეთა მდგომარეობას კიდევ უფრო აუტანელს ხდიდა.

წლის განმავლობაში მონათა ცხოვრებაში მეტ-ნაკლებად ნათელი წერტილი იყო შობის დღესასწაული. ამ დღეს მეპატრონეები ერთგვარ „გულმოწყალებას“ იჩენდნენ და მონებს ყავას, თამბაქოსა და ჩითს ურიგებდნენ. საკუთარი ქოხების გასათბობ მასალას აფრიკელები დაჭაობებული ტყეებიდან ეზიდებოდნენ, იქვე შექძლეთ გასაყიდად შეშა დაეჩხათ და აღებული ფულით სხვადასხვა წვრილმანი ეყიდათ.

სავალალო მდგომარეობაში იყვნენ ზანგი ქალებიც. მონათმფლობელის მარწუხებში მოქცევის შემდეგ ისინი სამეზბის იტანჯებოდნენ — როგორც მონები, როგორც შავკანიანები და როგორც ქალები. ძალიან ხშირად ზანგი ქალები თეთრკანიანი მამაკაცების სექსუალური ძალადობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. მონა ქალის სხეულის იძულებით დაუფლებით თეთრკანიანი მამაკაცი ერთგვარად ხაზს უსვამდა ზანგებზე საკუთარ ყოველმხრივ აღმატებულებას. ზანგების ოჯახს არ ჰქონდა არანაირი საშუალება, საკუთარი გოგონა დაეცვათ თეთრკანიანი მამაკაცის ძალადობისგან. პლანტატორები იმავდროულად ზანგ ქა-

ლებს მამაკაცებზე არანაკლებ მძიმე სამუშაოთი ტვირთავდნენ. მონა ქალი თესავდა, ხნავდა მძიმე და მოუხერხებელი გუთნით, აგროვებდა მოსავალს, მისი სამუშაო დღე 14 საათამდე გრძელდებოდა. ბამბის კრეფისას მათ მძიმე ტომრების თრევა უწევდათ. თითოეულ მონა ქალს დღეში 68-დან 90 კგ-მდე სიმძიმის ტომრები უნდა დაეზინავებინა. დაწესებული დღიური ნორმის შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ სასტიკად სჯიდნენ. პლანტატორები არც ორსულ ქალებს ინდობდნენ. ფეხმძიმე მონაქალი მშობიარობამდე ერთი თვით ადრე წვევტდა მუშაობას და ბავშვის გაჩენიდან ერთი თვის შემდეგ მას კვლავ პლანტაციაში მიერეკებოდნენ. კვირადღეს ან საღამოობით დაქანცული ზანგი ქალები თავიანთ უკანასკნელ ძალებს საოჯახო საქმეებს უთმობდნენ.

მონათმფლობელობის ისტორიაში, საკუთრივ პლანტაციური შრომის სირთულეებთან შედარებით, ზანგებისთვის არანაკლებ მძიმე და აუტანელი იყო ტრანსპორტირება დასავლეთ აფრიკის სანაპიროდან აშშ-მდე. ატლანტის ოკეანის გადალახვა მონათმფლობელთა გემზე თითოეული აფრიკელისთვის ჯოჯოხეთურ სატანჯველს წარმოადგენდა. ეს გზა რამდენიმე კვირიდან სამ თვემდე გრძელდებოდა. მონათმფლობელები ცდილობდნენ, რეისი რაც შეიძლება სარფიანი ყოფილიყო, ამიტომ გემბანის ქვეშ არსებულ სივრცეში შიშველ და ბორკილდადებულ ზანგებს ნახირივით შერეკავდნენ. იქ მონებისთვის არანაირი სანიტარიული პირობები არ არსებობდა. აფრიკელებს შიშველი ხის იატაკზე, წარმოუდგენელ სიბინძურეში უხ-



*ნებისმიერ ზანგ მონას პლანტატორი ნივთად აღიქვამდა*



ოჯახს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფრიკელი მონებისთვის. მისი წევრებისთვის აუცილებელი განმაპირობებელი არ იყო სისხლისმიერი ნათესაობა

დებოდათ დაძინება. უმეტესად ისეთი სიმჭიდროვე იყო, რომ დაჯდომის საშუალებაც არ ჰქონდათ. საშინელი დახუთულობისა და სიმყრალის გამო ბევრს გული ერეოდა. ასეთ პირობებში ბევრი მონა წყალში ზტებოდა და თავს იკლავდა, ზოგიც საჭმელზე უარს ამბობდა და ტყვეობაში ყოფნას სიკვდილი ერჩივნა.

1807 წელს ფედერალურმა ხელისუფლებამ აშშ-ის ტერიტორიაზე მონების შემოყვანა აკრძალა. კანონმა გარკვეულწილად გამოიღო შედეგი და აფრიკიდან მონათა შემოყვანის მასშტაბები შემცირდა. კონტრაბანდული გზებით შემოყვანილი ზანგების რაოდენობა საკმარისი არ იყო და სამხრეთ შტატებში სიტუაციის გამოსწორებისთვის ახალი გზა გამოჩნეს — პლანტატორებმა მონების იძულებითი „გამრავლება“ დაიწყეს. ისინი ავალდებულებდნენ ზანგ ქალს, ბევრი შვილი გაეჩინა. ზოგჯერ კი მას შვილებს სულაც სხვადასხვა მამაკაცისგან აჩენინებდნენ. იმართებოდა აუქციონები, სადაც მონის ყიდვა-გაყიდვის პრაქტიკულად ყველანაირი ვარიანტი იყო დაშვებული. ერთი ოჯახის წევრები შეიძლება სამუდამოდ დაეცილებინათ და სხვადასხვა პლანტაციასაში სამუშაოდ რამდენჯერმე გაეყიდათ.

ამერიკული მონათმფლობელობის სისტე-

მა მხოლოდ ეკონომიკური სარგებლობის საფუძველზე არ არსებობდა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში გამოჩნდნენ მეცნიერები და მოაზროვნეები, რომლებმაც მეცნიერულ-პოლიტიკურ თუ რელიგიურ არგუმენტებზე დაყრდნობით მონათმფლობელური სისტემის აპოლოგეტური ნაშრომები შექმნეს. ამ იდეოლოგიამ იმდენად ღრმა კვალი დაამჩნია სამხრეთ შტატების მცხოვრებთა მსოფლმხედველობას, რომ რასობრივ ნიადაგზე დაპირისპირება აშშ-ში მონობის გაუქმების შემდეგ მთელი საუკუნე გაგრძელდა. XIX საუკუნის 30-40-იანი წლების სამხრეთში მონათმფლობელობისა და რასიზმის გამამართლებელმა თეორიებმა აპოკეას მიაღწიეს. ამ დროს შეიქმნა ჯონ კედველ კულპონის, ჯონშუა ნოტის, სემუელ კარტრაიტისა და სხვათა ცნობილი რასისტული კონცეფციები. ისინი აიდეალებდნენ მონათმფლობელურ სისტემას, სახაზუნდნენ მას დემოკრატიისა და პროგრესის გარანტიად. ცდილობდნენ, წარმოეჩინათ თეთრი რასის ყოველმხრივი ადმატებულობა შავკანიანებზე, რომლებიც მათი მოსაზრებით მონობისთვის შექმნილ არასრულფასოვან და უმდაბლეს ხალხს წარმოადგენდნენ.

სამხრეთ შტატებში მონათა შორის დისციპ-



დასჯის შედეგი...

ლინის გასამყარებლად პლანტატორები შეეცადნენ ქრისტიანული მორალის სათავისოდ გამოყენებას. პლანტაციებში ტრადიციად იქცა კვიარობით მონების ეკლესიაში მიყვანა. იქ სპეციალურად გამოყოფილი ადგილიდან ზანგები ისმენდნენ ღვთისმსახურთა დამრიგებლურ ქადაგებებს ფატალიზმის, ბედისწერისადმი მორჩილების შესახებ. სასულიერო პირთა მიზანი იყო, დაერწმუნებინათ ზანგები, რომ მათთვის არ არსებობდა და ვერც იარსებებდა მონობიდან გამოსავალი. მქადაგებელთა მოწოდებით, მხოლოდ მორჩილებით, მოთმინებითა და დაკისრებული შრომის შესრულებით შეძლებდნენ ზანგები სამოთხეში მოხვედრას, სადაც აღარ იქნებოდნენ მდიდრები და ღარიბები, მონები და მათი პატრონები. ეკლესიის მსახურთა მიზანი იყო, ქრისტიანული გამრუდებული სწავლებით სულიერად და მორალურად დაეკანონებინათ პლანტაციაში მომუშავე მონები. ამ მდგომარეობასთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრება გამოთქვა იმხანად აშშ-ში მყოფმა ფრანგმა ისტორიკოსმა ალექსის დე ტოკვილმა: „ძველად მონებს აკავებდათ მხოლოდ ბორკილები და სიკვდილი, სამხრეთელებმა კი მონახეს გზები, რომ თავიანთი ძალაუფლება გააზრებულ საწყისებზე დაეფუძნებინათ. მათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, განასულიერეს დესპოტიზმი და ძალადობა. ძველად

ცდილობდნენ, მონისთვის ბორკილებისგან გათავისუფლებაში შეეშალათ ხელი, ჩვენი თანამედროვენი კი მას თავისუფლებისკენ სწრაფვის სურვილსაც ართმევენ“.

ოჯახს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აფრიკელი მონებისთვის. ეს იყო ერთადერთი ადგილი, მიკროსამყარო, სადაც ზანგები ერთმანეთს ესოდნენ სანატრულ ზრუნვასა და სიყვარულს უნაწილებდნენ. ოჯახის წევრებისთვის აუცილებელი განმაპირობებელი არ იყო სისხლისმიერი ნათესაობა. ოჯახის მათეულ გააზრებას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ ზმირად კლასიკური გაგებით სისხლით ნათესაურ ოჯახის წევრებს სხვადასხვა პლანტაციაში გაყიდდნენ ხოლმე. ახალ გარემოში მოხვედრილ ზანგს კი ჰქონდა საშუალება, „ახალი“ ოჯახი ადვილად ეპოვა.

ზანგები მაინც ახერხებდნენ, მკაცრი სამუშაო დისციპლინა მცირედად შეერბილებინათ. სხვადასხვა ეშმაკობით მონები ახერხებდნენ სამუშაოს ტემპისა და ინტენსივობის სათავისოდ რეგულირებას. ხან ინსტრუმენტი „გატყდებოდა“, ხანაც ვინმე მოულოდნელად „აუად“ გახდებოდა, ზოგჯერ გამწვევი პირუტყვიც იკარგებოდა და დაზგებიც მწყობრიდან გამოდიოდა. იყო შემთხვევები, როცა პლანტაციის შენობებს უეცრად ცეცხლი უჩნდებოდა. საუკეთესო შემთხვევაში მონები ახერხებდნენ, შედამხედველი განეწყოთ პლანტატორის წინააღმდეგ. ცნობილი ამერიკელი საზოგადო მოღვაწე, გათავისუფლებული მონა ფრედერიკ დუგლასი იგონებდა, რომ პატიოსანი, კეთილსინდისიერი მონები უფრო მეტად დასჯას იმსახურებდნენ ხოლმე, ვიდრე რამე სახის წახალისებას. მონობა ნებისმიერ მოგლენათა მიმდინარეობის გაუკუღმართებას იწვევდა და სიცრუეს ზანგების ყოველდღიურობის აუცილებლობით განპირობებულ „სათნოებად“ აქცევდა.

ზანგი მონები სხვაგვარადაც ცდილობდნენ, შეწინააღმდეგებოდნენ მზავრულ სისტემას. საკვირაო ქადაგებათა შემდეგ, გვიან ღამით, პლანტაციის შემოგარენში, ტყეში ან ჭაობში ზანგები იკრებოდნენ საკუთარი რელიგიური ცერემონიების მოსაწყობად. ისინი ცეკვავდნენ, საუბრობდნენ, უძღვრდნენ ჰიმნებს თავიანთ ტრადიციულ ღვთაებას, რომელიც მათ სიყვარულს და არა სიმუღვლის ასწავლიდა. შემდგომ ზანგები ადიდებდნენ იესო ქრისტეს, ყველა გაჭირვებულისა და ღარიბის მეგობარს. ისინი ევედრებოდნენ მესიას

და სწამდათ, რომ მოვიდოდა დრო, როდესაც, ძველი ებრაელების მსგავსად, ისინი გათავისუფლდებოდნენ „ფარაონის“ ტყვეობისგან.

სისტემასთან დაპირისპირებისას ამერიკელი ზანგები ძალიან იშვიათად მიმართავდნენ რადიკალურ ზომებს. მონების ღია აჯანყების შესახებ ხმები პლანტაციებში ხშირად გაისმოდა, მაგრამ ეს ყოველთვის გადაჭარბებული იყო. ზანგების სამად-სამი შედარებით მნიშვნელოვანი აჯანყება მოხდა 1800, 1822 და 1831 წლებში. გასაგები მიზეზების გამო მონები დამარცხდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ზანგები კომპაქტურად ცხოვრობდნენ, მჩაგვრელები რიცხობრივად საგრძობლად ჭარბობდნენ. მონებს არ ჰქონდათ იარაღი, კომუნიკაციები, ისინი იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარი, არ ფლობდნენ საჭირო პოლიტიკურ და გეოგრაფიულ ცოდნას. თუნდაც პლანტაციიდან გაქცევის შემთხვევაში, სამომავლო ქმედების ვარიანტები უპერსპექტივო იყო. გზებზე ყველგან თეთრკანიანი პატრულები მორიგეობდნენ,

ფედერალური მთავრობაცა და ადგილობრივი ხელისუფალნიც ჩასაფრებული იყვნენ.


წლების გასვლასთან ერთად საგრძობი ხდებოდა, რომ სამხრეთ შტატები ფასეულობებითა და ცხოვრების სტილით სულ უფრო მეტად შორდებოდნენ დანარჩენ ქვეყანას. 1860 წლისთვის მონათმფლობელური 15 შტატის 12-მილიონიან მოსახლეობაში 4 მილიონს მონები შეადგენდნენ. XVI საუკუნიდან XIX საუკუნის ჩათვლით, კონტინენტზე მთლიანობაში დაახლოებით 12 მილიონი მონა ჩაიყვანეს, მათგან 645 ათასი — თანამედროვე აშშ-ის ტერიტორიაზე. სამხრეთის შტატების საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა მარგინალიზაციამ და ანტიმონათმფლობელური მოძრაობის გააქტიურებამ ამერიკის შეერთებული შტატები სამოქალაქო ომამდე მიიყვანა. ხუთწლიანი დამანგრეველი ომის შედეგად, კონსტიტუციის მე-13 შესწორებით, აშშ-ში მონობა საბოლოოდ გაუქმდა.

**მისიელ ბარნოვი**

*გათავისუფლებული მონები ზეიმობენ კონსტიტუციის მე-13 შესწორებას*



# უინძორი



მას შემდეგ, რაც ვილჰელმის ნორმანები XI საუკუნეში ინგლისს დაეპატრონენ, ახალმა მეფემ შემოერთებული სამფლობელოების დაცვაზე ზრუნვა დაიწყო. უინძორის ციხე-დარბაზი დაახლოებით 1078 წლისთვის, ლონდონის ტაუერთან ერთად აშენდა და იგი დედაქალაქის გარშემო ციხესიმაგრეთა დამცავი ჯაჭვის რგოლი გახდა. მონარქები მომდევნო ასწლეულების განმავლობაში განუწყვეტლივ უინძორის გადაკეთება-გაფართოებაში იყვნენ, რათა ციხე-დარბაზს მათი მუდმივად მზარდი მოთხოვნილებები დაეკმაყოფილებინა.

რადიკალური ცვლილებები XII-XIII საუ-

კუნეებში მოხდა, როცა ხის ნაგებობები ქვის შენობებმა და კედლებმა ჩაანაცვლა, ხოლო მთავარი კოშკის ნაცვლად მრგვალი კოშკი აიგო. მას შემდეგ კოშკი ერთმანეთისგან აცალკევებს ქვედა და ზედა საპარადო ეზოებს. 1475-1535 წლებში აიგო წმინდა გიორგის კაპელა, ხოლო 1683 წელს ჩარლზ II უინძორის ბაროკოს სტილში გადაკეთებას შეუდგა. XIX საუკუნის დასაწყისში, უკვე გეორგ IV-ის დროს, უკანასკნელი მნიშვნელოვანი გადაკეთება მოხდა, რის შემდეგაც უინძორის ციხე-დარბაზმა თანამედროვე სახე შეიძინა. გარედან ის ამაყი ციხესიმაგრის შთაბეჭდილებას ტოვებს, შიგნით სილამაზისა და ფუფუნების საუფლოა.

● ლონდონის დასავლეთით, 32 კილომეტრში მდებარე პატარა ქალაქ უინძორის თავზე, ცარცულ კლდეებზე წამომართულია მსოფლიოში ყველაზე ცნობილი ციხე-დარბაზი — უინძორი. თითქმის ათასწლოვანი ისტორიის განმავლობაში მან გადაიტანა ინგლისური მონარქიის აყვავებაცა და დაცემაც, თუმცა ვილჰელმ დამპყრობლის მიერ დაარსებიდან დღემდე უცვლელად ინგლისის სამეფო ოჯახის რეზიდენციაა.



# სიძლიერისა და ფუფუნების სასახლე





ხელოვნების ნიმუშების კოლექცია დედოფლის აპარტამენტებში. აკვარული, XIX ს.

როცა დედოფალი უინძორშია, მრგვალი კოშკის თავზე სამეფო დროშები ფრიალებს — ჩვეულებრივ, ზაფხულის დასაწყისში, ასევე შობასა და აღდგომას. ეს ტურისტებისთვის ნიშანია, რომ ვერ შეძლებენ სამეფო აპარტამენტების მონახულებას, რომელთა შორისაა დიდი კიბე, დიდი ვესტიბიული, სამეფლისო დარბაზი, დედოფლის სალონი და დედოფლის საძინებლები. ბევრ ოთახში შე-

მორჩენილია ჭერის მოხატულობა ბაროკოს სტილში, ყველა ოთახს კი ხელოვნების ძვირფასი ნაწარმოებები ამშვენებს. დედოფლის კერძო კოლექცია მსოფლიოში უდიდესია. მასში იმდენი ხელოვნების ნიმუშია, რომ ისინი არა მარტო სამეფო აპარტამენტების ყველა ოთახში, გეორგ IV-ის კოშკშიც კია გამოფენილი.

უინძორის ერთ-ერთ გამორჩეულ ღირშე-



ინგლისის დედოფლისადმი პატივისცემის ნიშნად, ციხე-დარბაზის ეზოში დღემდე იცვლება საპატიო ფარაული



სანიშნობად მიიჩნევა წმინდა გიორგის კაპელა, რომელიც გვიანი ინგლისური გოტიკის, ე.წ. პერპენდიკულარული სტილის ბრწყინვალე ნიმუშია. მისთვის დამახასიათებელია ვერტიკალური ხაზების აქცენტირებული გამოყენება, რაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა მალა მიმსწრაფველ საყრდენებსა თუ პატარა კოშკებში. ეკლესიის ინტერიერის სადა ფუფუნებასთან მკვეთრ კონტრასტს ქმნის უბ-

რწყინვალესი მარაოსებრი გუმბათი და დიდი ფანჯრები დასავლეთის მხარეს. აქ 75 ფანჯარაა, სადაც წარმოდგენილია მეფეების, ეპისკოპოსების, პაპებისა და წმინდანების პორტრეტები, რომლებიც ამასთანავე მაღალი ხელოვნების ნიმუშებია.

*მომზადებულია ულრიკ შიობერის წიგნიდან „ვეროპის ციხესიმაგრეები და სასახლეები“*





პარიზის კონგრესი. მავიდასთან ზელმარკენზე ზის გრაფი ვალევსკი, ზელმარკენზე — გრაფი ორლოვი

# გრავი ვალევსკი

## ნაპოლეონ ბონაპარტის ვაჟი

ნაპოლეონ ბონაპარტისა და პოლონელი დიდგვაროვანი ქალბატონის, გრაფინია მარია ვალევსკას (ქალიშვილობაში მარია ლაჩინსკა) ვაჟი ალექსანდრე ფლორიან იუზეფ კოლონა-ვალევსკი 1810 წლის 4 მაისს დაიბადა ვალევიცეში, კოლონა-ვალევსკების საგვარეულო სასახლეში, ვარშავის ახლოს. ალექსანდრე ვალევსკი ნაპოლეონის ქორწინებისგარეშე ვაჟი იყო, რომელიც იმპერატორმა შეილად აღიარა. თავის ანდერძში ნაპოლეონ ბონაპარტი მარია ვალევსკასთან შეძენილ შვილზე წერდა: „მე მსურს, რომ ალექსანდრე ვალევსკი სამხედრო სამსახურში იყოს საფრანგეთში“.

მარია ვალევსკას მეუღლემ, გრაფმა ატანასიუმ კოლონა-ვალევსკიმ ნაპოლეონისა და მარიას სიყვარულის ნაყოფი თავის კანონიერ შვილად აღიარა და გვარი და გრაფის ტიტული მისცა.

მარია ვალევსკა რომ დაფეხმძიმდა, ნაპოლეონის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ელეონორ დენუელის შემდეგ, რომელსაც 1806 წელს ნაპოლეონისგან ვაჟი, შარლ ლეონი შეეძინა, რითაც დადასტურდა, რომ ჟოზეფინა უშვილო იყო და რის გამოც ნაპოლეონმა მასთან განქორწინება გადაწყვიტა, მარია იყო ერთადერთი ქალი, რომლის შვილის მამობაში იმპერატორს ეჭვი არ ეპარებოდა.

ნაპოლეონმა მარია პარიზში მიიწვია, რათა შეილი ენახა. 1810 წლის ბოლოს მარია ვალევსკა ვაჟიშვილთან ერთად პარიზში ჩავიდა. იმპერატორმა ალექსანდრე ვალევსკი თავის ქორწინებისგარეშე შეილად აღიარა, იმპერიის გრაფის ტიტული უბოძა და ყველაფერი გააკეთა მარიასა და მისი ვაჟის მომავლის უზრუნველსაყოფად. ნაპოლეონისა და მარიას ვაჟის ნახვის სურველი ჟოზეფინამაც გა-

მოთქვა, რომელთანაც იმპერატორი უკვე განქორწინებული იყო. ჟოზეფინამ პატარა გრაფი უხვად დაასაჩუქრა. როცა კი საშუალება ეძლეოდა, იმპერატორი მცირე ხნით ქვევოდა ხოლმე მარიას ან თავის სასახლეში ეპატიჟებოდა დედა-შვილს.

ფონტენბლოდან ნაპოლეონი მარია ვალევსკას სწერდა: „დიდი სიამოვნებით გინახულებთ თქვენც და თქვენს ვაჟსაც, რომლის მიმართ ჩემი გრძნობები მუდამ უცვლელი იქნება. იყავით ჯანმრთელი, ნუ განაწყენდებით, სიყვარულით მომიგონეთ და არასოდეს შეეპაროთ ეჭვი ჩემში. N“.

უკანასკნელად მარიამ ოთხი წლის ალექსანდრესთან ერთად 1814 წლის იანვარში ინახულა იმპერატორი კუნძულ ელბაზე, სადაც ნაპოლეონი სიხარულით შეხვდა პატარა ალექსანდრეს. მარიამ ნაპოლეონს თავისი ვაჟი რომ წარუდგინა და ჰკითხა, თუ ცნობთო, ნაპოლეონმა ხელში აიყვანა სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ქერაკულულებიანი პატარა ბიჭი და უთხრა, ჩიტმა ამბავი მომიტანა, რომ შენს ლოცვებში ჩემს სახელს არ ახსენებო. მართალი ბრძანდებით, მე თქვენს სახელს, ნაპოლეონს არ ვახსენებ, ლოცვებში მამიკო იმპერატორად მოგიხსენიებთო, მიუგო პატარა ალექსანდრემ. ნაპოლეონს გაეცინა, ეს ბიჭი კარგი დიპლომატი გამოვა, გამჭრიახი გონება აქვსო. შემდეგ კარგა ხანს ითამაშა დამალობანა პატარა ვაჟიშვილთან, მერე კი დაიჭირა ალექსანდრე და ბალახზე იგორავა მასთან ერთად.

1817 წელს, როცა მარია ვალევსკა სრულიად ახალგაზრდა, 31 წლის ასაკში გარდაიცვალა, შვიდი წლის ალექსანდრესა და მის უფროს ძმაზე, ანტონიზე, რომელიც მარიასა და გრაფ კოლონა-ვალევსკის შვილი იყო, მეურვეობა ბიძამ, თეოდორ ლაჩინსკიმ იკისრა. ალექსანდრე სამ წელიწადს კიერნოზიაში, ლაჩინსკების საგვარეულო მამულში ცხოვრობდა, სადაც კერძო მასწავლებლები ამეცადინებდნენ. 1820 წელს ბიძამ შვეიცარიაში, ჟენევის პრესტიჟულ პანსიონში გაგზავნა სასწავლებლად. 1824 წელს სამშობლოში დაბრუნებული ალექსანდრე ვალევსკი, რომელსაც ჯერ თხუთმეტი წელიც არ შესრულებოდა, თავისი ასაკისთვის საოცრად გენვითარებული, განათლებული და მიმზიდველი ჭაბუკი იყო. გარდა ამისა, მის გარშემო მუდამ ცოცხლობდა დიდი ნაპოლეონისა და ულამაზესი მარია ვალევსკას სიყვარულის ისტორია – ვარშავის არის-



ნაპოლეონ ბონაპარტი



მარია ვალევსკა



ალექსანდრე ვალევსკი — პოლონეთის არმიის ოფიცერი

ტოკრატიისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენდა ალექსანდრეს წარმომავლობის ამბავი. სწორედ ამ ღირსებათა გამო იყო, რომ ალექსანდრე ვალევსკი მალე შეამჩნიეს უმაღლეს საზოგადოებაში. მაგრამ სწორედ ამავე მიზეზებით, მისი პერსონით პოლონეთში რუსეთის მეფისნაცვლის, რუსეთის დიდი მთავრის, კონსტანტინ რომანოვის ჯაშუშებიც დაინტერესდნენ. ნაპოლეონ ბონაპარტის ვაჟმა, რომელიც, ამასთან, ისტორიულ პოლონურ გვარს ატარებდა, შეამფოთა რუსეთის მეფისნაცვალი. კონსტანტინ რომანოვი ჯერ შეეცადა და-



ახალგაზრდა გრაფი ალექსანდრე ვალევსკი

ეახლოვებინა ალექსანდრე და, მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, პირადი ადიუტანტის თანამდებობაც კი შეესთავაზა. მაგრამ ალექსანდრე რუსეთის ჯარში სამსახურის სასტიკი წინააღმდეგი იყო და რომანოვის შეთავაზება არ მიიღო. ამის შემდეგ ხელისუფალთა მისდამი დამოკიდებულება მკვეთრად შეიცვალა — მას, როგორც რუსეთის იმპერიისთვის არასანდო პირს, პოლიციამ მეთვალყურეობა და თვალთვალი დაუწყო.

ამ შეზღუდვათა გამო ალექსანდრემ საფერანგეთში გამგზავრება გადაწყვიტა. პასპორტის აღება, მიუხედავად რამდენიმეთვიანი მცდელობისა, შეუძლებელი აღმოჩნდა და ალექსანდრე იძულებული გახდა, არალეგალური გზით წასულიყო საფრანგეთში. პარიზში ახალგაზრდა ვალევსკი 1827 წელს ჩავიდა. ჩვიდმეტი წლის პოლონელი არისტოკრატი, ლამაზი, ჭკვიანი და მომხიბვლელი, მალე პარიზის დახვეწილი სალონების სასურველი სტუმარი გახდა. პარიზშიც მას თან სდევდა მისი წარმომავლობის რომანტიკული ისტორია, რასაც ადასტურებდა ალექსანდრეს საოცარი მსგავსება იმპერატორთან, თუმცა თავად ალექსანდრეს არასოდეს დაუკავშირებია თავი იმპერატორ მამასთან, მამად მუდამ გრაფ ვალევსკის აღიარებდა და არავის აძლევდა უფლებას, მისი ოფიციალური წარმომავლობა ეჭვქვეშ დაეყენებინათ. ერთხელ, როცა პარიზის ქუჩაში ნაპოლეონის ყოფილმა ოფიცერმა უთხარა, რა საოცრად ჰგავხართ მამათქვენსო, ალექსანდრემ უპასუხა, არ ვიცოდი, კამერჯერ ვალევსკის თუ იცნობდითო.

მიუხედავად მრავალგზის მოთხოვნისა, საფრანგეთის მთავრობამ უარი განუცხადა რუსეთის ხელისუფლებას ალექსანდრე ვალევსკის ექსტრადირებაზე.

1830 წლის დეკემბერში, პოლონეთში აჯანყების დაწყების შემდეგ, ალექსანდრემ პირველი დიპლომატიური დავალება მიიღო. პოლონეთის ნოემბრის აჯანყება, რომელსაც 1830-1831 წლების პოლონეთ-რუსეთის ომსა და კადეტთა რევოლუციასაც უწოდებენ, დანაწევრებული პოლონეთის ცენტრალურ ნაწილში რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყება იყო. ის 1830 წლის 29 ნოემბერს ვარშავის სამხედრო აკადემიის ახალგაზრდა პოლონელი ოფიცრების ამბოხებით დაიწყო, საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობდა და მალე პოლონეთის დიდ ტერიტორიას მოეღო. საფრანგეთის მეფე ლუი-

ფილიპის საგარეო საქმეთა მინისტრმა ალექსანდრე საიდუმლო დავალებით მიავლინა აჯანყებულთა ხელმძღვანელობასთან. ახალგაზრდა ემისრის მოგზაურობას მრავალი თავგადასავალი ახლდა თან. პოზნანში ალექსანდრე პრუსიელებმა დააკავეს, მაგრამ მან გაქცევა მოახერხა და საზღვარი გადაკვეთა. დაკისრებული მისია რომ შეასრულა, ალექსანდრე პოლონეთის ჯარში ჩაეწერა და ერთხანს აჯანყებულთა საბრძოლო ნაწილების მთავარსარდალ მიხალ რაძივილის ადიუტანტიც კი იყო. პოლონეთის ჯარში ალექსანდრემ კაპიტნის ჩინი დაიმსახურა და გროხოვის ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისთვის პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ჯილდო – ვირტუტი მილიტარის ოქროს ჯვარი დაიმსახურა.

რამდენიმე ლოკალური მნიშვნელობის წარმატების მიუხედავად, საბოლოოდ რუსეთის იმპერიის არმიამ, რომელსაც ივან პასკევიჩი სარდლობდა, აჯანყება ჩაახშო. დამარცხების საფრთხე რომ იგრძნეს, აჯანყების ლიდერებმა ვალევსკი საგანგებო მისიით გაგზავნეს ლონდონში. მას უნდა დაერწმუნებინა დიდი ბრიტანეთი, მხარი დაეჭირა აჯანყებისთვის. სწორედ ლონდონში შეიტყო ალექსანდრემ რუსეთის არმიის მიერ ვარშავის აღებისა და აჯანყების დამარცხების შესახებ. დიპლომატიური მისია შეუსრულებელი დარჩა.

ვარშავის დაცემის შემდეგ, 1832 წელს, ალექსანდრე ვალევსკიმ პოლონეთი დატოვა და საფრანგეთის არმიის უცხოურ ლეგიონში დაიწყო სამსახური. უცხოური ლეგიონის კაპიტანი ვალევსკი ალფირში მსახურობდა, საფრანგეთის მოქალაქეობის მიღების შემდეგ კი საფრანგეთის არმიის კავალერიისტთა კორპუსში ჩაირიცხა.

1837 წელს ვალევსკიმ სამხედრო სამსახურს თავი დაანება და, საფრანგეთში დაბრუნებულმა, პრესისა და თეატრისთვის წერა დაიწყო. იმავე წელს საფრანგეთის მეფე ლუი-ფილიპის პრემიერ-მინისტრმა ტიერმა ვალევსკი დიპლომატიური მისიით გაგზავნა ეგვიპტეში, ხოლო პრემიერ-მინისტრ გიზოს დროს ვალევსკი დიპლომატიური დავალებით ბუენოს-აირესში იმყოფებოდა.

გრაფ ვალევსკის შემდგომი დიპლომატიური კარიერა განსაზღვრა საფრანგეთის ხელისუფლებაში მისი ბიძაშვილის, შარლ ლუი ნაპოლეონ ბონაპარტის მოსვლამ. ვალევსკი საგანგებო ელჩად მიავლინეს ჯერ ტოსკანასა და ესპანეთში, შემდეგ კი ლონდონში, სადაც მან



კეტრინ კეროლანი მონტეგეიუ



მსახიობი რაშელ ფელიქსი



მარიან პონატოვსკა დე რიჩი



გრაფინია მარიან ვალევსკა შვილებთან ერთად

გრაფი ალექსანდრე ვალევსკი



ისეთი მოქნილი დიპლომატიური მუშაობა გასწავია, რომ დედოფალმა ვიქტორიამ აღიარა საფრანგეთის მეორე იმპერია. სწორედ ვალევსკიმ მოაწყო ნაპოლეონ III-ის ვიზიტი ინგლისში და დედოფალ ვიქტორიას ვიზიტი საფრანგეთში, აგრეთვე უზრუნველყო ამ ორი სახელმწიფოს თანამშრომლობა ყირიმის ომის დროს. დიპლომატიურ ასპარეზზე მოპოვებული წარმატების გამო 1855 წელს გრაფი ალექსანდრე ვალევსკი საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა და ეს პოსტი 1860 წლამდე ეკავა, შემდეგ კი, 1863 წლამდე საფრანგეთის კულტურისა და ხელოვნების მინისტრი იყო. 1866 წელს გრაფ ვალევსკის ჰერცოგის ტიტული უბოძეს. ვალევსკი არჩეული იყო აგრეთვე საფრანგეთის ხელოვნების აკადემიის წევრად.

ალექსანდრე ვალევსკი ორჯერ იყო დაქორწინებული. 1831 წელს მან ლედი კეტრინ კეროლაინ მონტეგეიუზე, სენდვიჩის გრაფის ქალიშვილზე იქორწინა. კეტრინთან შეძენილი ორი შვილი ჩვილობის ასაკშივე დაიღუპა, ხოლო თავად კეტრინი ქორწინებიდან სამ წელიწადში გარდაიცვალა. 1846 წელს გრაფმა ვალევსკიმ ცოლად შეირთო გრაფინია მარიან პონიატოვსკა დე რიჩი, პოლონეთის უკანასკნელი მეფის, სტანისლავ აუგუსტ პონიატოვსკის შთამომავალი და პრინც იუზეფ პონიატოვსკის ბიძაშვილი. მეორე ქორწინებიდან მას სამი შვილი დარჩა. ერთი ვაჟი კი, სახელად ასევე ალექსანდრე, რომელიც შვილადაც აღიარა და გვარიც მისცა, გრაფ ვალევსკის ფრანგული სცენის ცნობილ მსახიობ რაშელ ფელიქსისგან ჰყავდა.

როგორც საგარეო საქმეთა მინისტრი, 1856 წლის თებერვალ-მარტში, ყირიმის თითქმის სამწლიანი ომის შემდეგ, გრაფი ვალევსკი საფრანგეთის მხარეს წარმოდგენდა და თავმჯდომარეობდა პარიზის კონგრესს —



პარიზის კონგრესის მონაწილეები. სხედან: მარცხნიდან მეოთხე — გრაფი ვალევსკი, მის გვერდით — გრაფი ორლოვი

ომისშემდგომ სამშვიდობო კონფერენციას, რომელზეც ის ომის შედეგად დასუსტებულ, დამარცხებულ და დამცირებულ რუსეთს თავის პირობებს უყენებდა. 30 მარტს ვალევსკიმ საფრანგეთის სახელით ხელი მოაწერა სამშვიდობო შეთანხმებას. კონგრესის მსვლელობისას იმპერატორმა ალექსანდრე ვალევსკი საფრანგეთის საპატიო ლეგიონის დიდი ჯვრით დააჯილდოვა და სენატორად დანიშნა. პარიზის კონგრესზე გრაფმა ვალევსკიმ წამოაყენა წინადადება, განეხილათ „შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების მდგომარეობა“, რომელშიც იგულისხმებოდა საქართველო და, საერთოდ, კავკასია, და განსაკუთრებული ყურადღება მიექციათ ამ პრობლემისთვის. კონგრესის პროგრამაში შეიტანეს კიდევ კავკასიის საკითხი, მაგრამ გრაფმა ორლოვმა, რომელიც რუსეთის მხარეს წარმოადგენდა, კატეგორიული უარი განაცხადა ამ საკითხის შესახებ მსჯელობაზე და მიადწია კიდევ იმას, რომ კონგრესის დღის წესრიგიდან ამოეღოთ ყველაფერი, რაც საქართველოს და კავკასიას შეეხებოდა.

კონგრესზე გრაფმა ვალევსკიმ წამოაყენა შავი ზღვის ნეიტრალიზაციის საკითხიც, რომლის მიხედვითაც შავი ზღვა ნეიტრალურად ცხადდებოდა, მისი წყლები და პორტები – ღიად ყველა სახელმწიფოს ნაოსნობისთვის და სამუდამოდ დახურულად შავიზღვისპირა სახელმწიფოების სამხედრო ფლოტებისთვის. ნეიტრალური შავი ზღვის სანაპიროებზე სამხედრო-საზღვაო ფორტების შენარჩუნება ან აგება აღარც საჭირო იყო და აზრსაც ჰკარგავდა. ასეთი იყო შავი ზღვის საკითხის ვალევსკისეული ფორმულირება. დამარცხებული რუსეთი იძულებული გახდა, დათანხმებოდა პარიზის საზავო ხელშეკრულების მძიმე პირობებს, რომელთაგან ყველაზე არასასიამოვნო მისთვის შავი ზღვის ნეიტრალიზაციის შესახებ შეთანხმება იყო, რის შედეგადაც ალიანსის მიერ დასჯილმა რუსეთმა შავი ზღვის სამხედრო ფლოტი დაკარგა. და თუმცა რუსეთის სუვერენული უფლებები შავ ზღვაზე მნიშვნელოვნად შეიზღუდა, რუსეთს, რომელმაც მოახერხა, დაეთანხმებინა ნაპოლეონ III, კავკასიის საკითხი არ განხილულიყო, საშუალება მიეცა განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა კავკასიაში და შეენარჩუნებინა ფორტები შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე.

ნაპოლეონ ბონაპარტისა და მარია ვალევსკას ვაჟი, XIX საუკუნის ერთ-ერთი გამორ-

ჩეული დიპლომატი და პოლიტიკოსი გრაფი ალექსანდრე ვალევსკი, რომლის ღვაწლიც ორი ქვეყნის, პოლონეთისა და საფრანგეთის უმაღლესი ჯილდოებით დაფასდა და რომლის სახელიც სამუდამოდ ჩაწერა ევროპული დიპლომატიის ისტორიაში, 1868 წელს გარდაიცვალა სტრასბურგში. გრაფი ვალევსკი პარიზში, პერ ლაშეზის სასაფლაოზეა დაკრძალული.

პარიზის კონგრესზე დადებული ხელშეკრულება ძალაში დარჩა მხოლოდ 1871 წლამდე, როცა პრუსიამ საფრანგეთი დაამარცხა და პრუსიამ და სხვა გერმანულმა მიწებმა გერმანიის იმპერიად გაერთიანება დაიწყო. ნაპოლეონ III გადადგა. საფრანგეთის მესამე რესპუბლიკის ინტერესებს რუსეთი მნიშვნელოვან საფრთხეს არ უქმნიდა. ამიტომ საფრანგეთმა გადაწყვიტა, აღარ დაპირისპირებოდა რუსეთს აღმოსავლეთის საკითხში. რუსეთმა, რომელსაც ოტო ბისმარკიც უჭერდა მხარს, ისარგებლა შექმნილი ვითარებით და უარი განაცხადა პარიზის 1856 წლის ხელშეკრულების პუნქტების შესრულებაზე. მარტო დარჩენილი დიდი ბრიტანეთი ვერ აიძულებდა რუსეთს, შეესრულებინა პარიზის ზავის პირობები და რუსეთმაც სასწრაფოდ აღადგინა თავისი სამხედრო ფლოტი შავ ზღვაზე.

#### ქართი ტოროტაქი

ალექსანდრე ვალევსკის აკლამა პარიზის პერ ლაშეზის სასაფლაოზე







# ჟანა დ'არკის სასამართლო პროცესი

## სამეფო უმჯობესობა სახიანო ბიძიობის სანაცვლოდ

*„ორღუენელი ქალწულის“ — ჟანა დ'არკის ცხოვრება ლევენდას ჰვავს. ამიტომაც აისახა იგი სხვადასხვაგვარად შილერის, ფრანსის, მარკ ტვენისა თუ ბერნარდ შოუს ნაწარმოებებში. მრავალი თვალსაზრისია გამოთქმული მისი წარმომავლობის შესახებ, რომელთაგან ზოგი მიიჩნევს, რომ ჟანა უბრალო გლეხის ქალიშვილი არ ყოფილა. თუმცა ყველა ამ თვალსაზრისის მიუხედავად, არც ერთი მათგანი არ უარყოფს იმ უმნიშვნელოვანეს როლს, რომელიც ამ ახალგაზრდა ქალმა შეასრულა საფრანგეთის ისტორიაში. ჟანას მთელი ცხოვრება სასამართლო პროცესს წარმოადგენს, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგაც, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში გაგრძელდა.*

### ჟანას დროის საფრანგეთი

ინგლისსა და საფრანგეთს შორის 1337 წელს დაიწყო ხანგრძლივი ომი, რომელიც 1453 წლამდე გაგრძელდა და ისტორიაში „ას-წლიანი ომის“ სახელით შევიდა. სამხედრო მოქმედებები, ომის დასაწყისიდან მოყოლებუ-

ლი, ინგლისელთა უპირატესობით მიმდინარეობდა. საფრანგეთს შიდაპოლიტიკური პრობლემებიც ჰქონდა. 1360 წლის ბრეტონის ზავის შემდეგ, ინგლისსა და საფრანგეთს შორის საომარი მოქმედებები 1415 წლამდე შეწყდა, როცა აზენკურის ბრძოლაში ინგლისელებმა

კიდევ ერთხელ შეძლეს ფრანგების დამარცხება. თუმცა ფრანგებისთვის ტრაგედია არა ამ ბრძოლაში დამარცხება იყო, არამედ 1420 წელს დაღუპული ტრუას ზავი ინგლისთან.

ამ დროს საფრანგეთში მეფობდა ფსიქიკურად დააფადებული შარლ VI (1380-1422), ხოლო ინგლისში — ჰენრი V (1413-1422). საფრანგეთის მეფის წინააღმდეგ გამაღებით იბრძოდნენ ბურგინიონები (ბურგუნდიელები), რომელთაც ინგლისელთა მხარე ეჭირათ. მათი მოკავშირე იყო საფრანგეთის მეფის თანამეცხედრე იზაბელა. სწორედ იზაბელას ინიციატივით მოეწერა ხელი ტრუას ზავს, რომლის მიხედვითაც, შარლ VI-ის სიცოცხლეშივე საფრანგეთის მეფე ხდებოდა ჰენრი V, ხოლო შარლის გარდაცვალების შემდეგ კი საფრანგეთი, ფაქტობრივად, სახელმწიფოებრიობას კარგავდა და მის ტახტს ინგლისელი მონარქი იკავებდა.

ჰენრი V-სა და შარლ VI-ის გარდაცვალების შემდეგ, 1422 წელს ბურგინიონებმა საფრანგეთის ტახტის შემკვიდრედ ჰენრი V-ის ცხრა თვის ვაჟი ჰენრი VI გამოაცხადეს. ამავე დროს სამხრეთ საფრანგეთში, პუატიეში გვირგვინი იკურთხა შარლ VI-ის ვაჟმა, დოფინმა შარლმა (მომავალი შარლ VII). ფრანგული ტრადიციით, საფრანგეთის მეფის გვირგვინკურთხევა უნდა მომხდარიყო რეიმსში, ქალაქში, რომელიც იმ დროისთვის ინგლისელთა ხელში იმყოფებოდა.

*ჟანა დ'არკის მშობლიური სახლი სოფელ დომრემში*



*ჟანა დ'არკი (დანტე გებრეელ როსელი. 1828-1882)*

საფრანგეთი ორად გაყოფილი აღმოჩნდა. ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილში ინგლისელი მონარქი მეფობდა, სამხრეთ ნაწილში კი ფრანგი. საფრანგეთი რომ მთლიანად საკუთარი მმართველობის ქვეშ მოექციათ, ინგლისელებს უნდა გაეერთიანებინათ მათ მიერ კონტროლირებული ჩრდილოეთი საფრანგეთის ტერიტორიები გიენისა და აკვიტანიის სამხრეთულ ტერიტორიებთან, რომელზეც ისინი ასევე აცხადებდნენ პრეტენზიას. ამ მიზნის შე-





საფრანგეთის მეფე შარლ VII

სასრულებლად ინგლისელებს საკენძო პუნქტი, ქალაქი ორლეანი უნდა აეღოთ.

### დომრემიდან ორლეანამდე

სწორედ ამგვარ ვითარებაში 1412 წლის 6 იანვარს, შამპანისა და ლოთარინგიის საზღვარზე, სოფელ დომრემში, ჟაკ დ'არკისა და იზაბელა დე გუტონის ოჯახში დაიბადა გოგონა, რომელსაც ჟანა დაარქვეს.

ჟანა დ'არკის შეხვედრა დოფინთან (შობავალ მეფე შარლ VII-სთან)

13 წლის ყოფილა ჟანა, როცა მას პირველად ჩაესმა იდუმალი ზეციური ხმები, რომელნიც მას მიიჩნევდნენ საფრანგეთის განმათავისუფლებლად და მოუწოდებდნენ სამშობლოს დასაცავად ბრძოლისკენ. „საყვარელი საფრანგეთის უბედურება გველის ნაკენივით მიშხამავდა გულს“, — ამბობდა ჟანა მოგვიანებით. ამ საშინელ ხანაში საფრანგეთში დაიძრა ხმა: „საფრანგეთს დაღუპავს ქალი (იგულისხმება დედოფალი იზაბელა და ტრუას ზაეი) და იხსნის ლოთარინგიელი ქალწული“.

როცა ჟანას 17 წელიწადი შეუსრულდა, იგი ეახლა ქალაქ ვოკულერში კაპიტან რობერ დე ბოდრიკურს და მოახსენა საკუთარი მისიის შესახებ, თუმცა პასუხად მხოლოდ დაცინვა მიიღო და იძულებული გახდა უკან, სოფელში გაბრუნებულიყო. თუმცა ერთი წლის შემდეგ მას მეტი სიმტკიცითა და დამაჯერებლობით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია კაპიტანზე, რომელიც საბოლოოდ დათანხმდა დოფინის კარზე გოგონას გამგზავრებას.

1429 წლის 4 მარტს ჟანა დ'არკი შინიონში დოფინ შარლს ეწვია. სწორედ აქ ჩააბარა ჟანამ პირველი გამოცდა დოფინის წინაშე. ჟანა წერდა შარლს, რომ აუცილებლად იცნობდა მას პირველი შეხვედრისთანავე. დოფინმა ტახტზე დასვა სხვა პირი, ხოლო თვითონ კარის მსახურთა რიგებს შეერია. ჟანამ მაინც გამოაჩინა და იცნო იგი. გოგონამ მო-



ახსენა შარლს მისი ხილვების შესახებ და სთხოვა, სამხედრო ნაწილები გამოეყოთ მისთვის ქალაქ ორლეანის გასათავისუფლებლად, რომელიც ინგლისელებმა 1428 წელს ალყაში მოაქციეს. შარლი დიდხანს ყოყმანობდა. მთელი თვის განმავლობაში პუატიეში შედგენილი თეოლოგებისა და იურისტების კომისიის მიერ მიმდინარეობდა ჟანას დაკითხვა. გოგონა სამედიცინო თვალსაზრისითაც შეამოწმეს, რადგან მაშინდელი რწმუნის მიხედვით, თუკი ქალი ეშმაკთან წილნაყარი იყო, წარმოუდგენელია, ქალწული ყოფილიყო, რადგან სატანას უნდა დაწებებოდა პირველივე ჯერზე.

მას შემდეგ, რაც ჟანას „საეკვო“ წარმომავლობა ვერ დაამტკიცეს, დოფინმა შარლმა გადაწყვიტა, მისთვის ათიათასიანი ჯარი გადაეცათ. იმ დროისთვის ცნობილი ფრანგი სარდლები უნდა დაძრულიყვნენ ორლეანისკენ 18 წლის გლეხი გოგონას წინამძღოლობით. თეთრ ტანსაცმელში გამოწყობილი, თეთრ ცხენზე ამხედრებული ჟანა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა ყველგან, სადაც კი ფრანგული ჯარის ნაწილებს გავლა უზღებოდათ. აღსანიშნავია, რომ ჟანა მამაკაცის ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, რაზეც ეკლესიისგან სპეციალური ნებართვა ჰქონდა. ეს ტანსაცმელი მისთვის უფრო მოხერხებული იყო ბრძოლის დროს, აგრეთვე, გოგონას თანამებრძოლებისგან არასასურველ ყურადღებას თავიდან აცილებდა.

ჟანა დ'არკი თავისი სამხედრო ნაწილებით ორლეანს 1429 წლის 29 აპრილს მიუახლოვდა. 4 მაისის ბრძოლაში ფრანგებმა პირველი გამარჯვება მოიპოვეს. ამის შემდეგ ფრანგთა წარმატებას წარმატება მოსდევდა და საბოლოოდ, 7-8 მაისის ღამეს ინგლისელები იძულებულნი გახდნენ, ორლეანისთვის მოეხსნათ ალყა, რომელიც 209 დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

ამგვარად ამოცანა, რომელსაც ფრანგი მთავარსარდლები იმ დროისთვის შეუძლებლად მიიჩნევდნენ, ჟანამ რამდენიმე დღეში შეასრულა და ფრანგებს საკუთარი ქვეყნის გათავისუფლების უდიდესი იმედი ჩაუსახა.

### ორლეანიდან ტყვეობაამდე

ორლეანის აღების შემდეგ ჟანამ წარმატებული სამხედრო ოპერაციები განაგრძო და 18 ივნისს, პატიის ბრძოლაში ინგლისელთა დამარცხების შემდეგ, საფრანგეთს ლუარის პრო-



*ბრძოლა ორლეანისთვის*

*ორლეანში ჟანა დ'არკი ტრიუმფით შევიდა*





*რეიმის საკათედრო ტაძარი (XIII ს.) აქ საფრანგეთის მეფეებს გვირგვინს ადგამდნენ*

ვინცია შემოუმტკიცა. ამის შემდეგ კი დადგა ღოფინ შარლის რეიმში გვირგვინკურთხევის ჯერი, რომელიც უკვე ფრანგებს ეკუთვნოდათ. მანამდე ჟანამ მოახერხა შეერიგებინა შარლი და ფრანგული ჯარის ერთ-ერთი სარდალი რიშმონი, რამაც ფრანგთა კონსოლიდაცია კიდევ უფრო განამტკიცა.

29 ივნისს დაიწყო „უსისხლო სვლა“ ქალაქ რეიმისაკენ. 17 ივლისს რეიმში გაიმართა ღოფინ შარლის გვირგვინკურთხევა, რომელსაც ჟანაც ესწრებოდა. საფრანგეთს კვლავ ჰყავდა კანონიერი მეფე შარლ VII (1422-1461), რაც ორლენელი ქალწულის დამსახურება იყო. ჟანას ერთადერთი თხოვნა, მეფის წინაშე დიდი დამსახურების მიუხედავად, ყოფილა მისი სოფლის გადასახადებისგან გათავისუფლება, რაც მეფემ შეუს-

რულა და მის ოჯახს აზნაურის ტიტული უბოძა.

გვირგვინკურთხევის შემდეგ ჟანა მეფეს არწმუნებდა, რომ დადგა ხელსაყრელი მომენტი პარიზის გასათავისუფლებლად, თუმცა შარლი ამ ნაბიჯისგან თავს პოლიტიკური მოსაზრებებით იკავებდა. ორლენელ ქალწულს ფრანგები აღმერთებდნენ, ჯარისკაცები მზად იყვნენ, მისთვის სიცოცხლე გაეწირათ. მეფე გრძნობდა ამას, ხედებოდა, რომ პარიზის აღების შემთხვევაში ჟანას სახელი და მისდამი სიყვარული საბოლოოდ დაჩრდილავდა მეფის ავტორიტეტს, სწორედ ამიტომ შარლი უარს ამბობს სამხედრო მოქმედებებზე.

1430 წლის გაზაფხულზე ომი განახლდა, თუმცა ფრანგები ინერტულად მოქმედებდნენ. მისში ჟანა დასახმარებლად გაემურა კომპიენისკენ, რომელიც ბურგუნდიელთა მიერ იყო ალყაშემორტყმული. სწორედ კომპიენის ალყა გამოდგა საბედისწერო ორლენელი ქალწულისთვის. დალატის შედეგად ხიდი, რომლითაც ჟანა ქალაქში უნდა შესულიყო, ასწიეს. ჟანა მარტოდმარტო შერჩა ბურგუნდიელებს, რომელთაც გოგონა ინგლისელებს 10 ათას ოქროს ლივრად მიჰყიდეს. 1430 წლის ნოემბერ-დეკემბერში ჟანა ღარკი რუანში გადაიყვანეს.

„პატიოსნებისა და უანგარობის ერთადერთი საზღაური — უმადურობა“, — ნიკოლო მაკიაველის სწორედ ამ სიტყვებით შეიძლება შევაფასოთ მეფე შარლ VII-ის საქციელი, რომლის წინაშეც ჟანას უზარმაზარი დამსახურება მიუძღოდა და რომელსაც ხელიც არ გაუწმრევია გოგონას ტყვეობიდან გამოსახსნელად.

### **„დანაშაული“ და სასჯელი**

ჟანა ღარკის სასამართლო პროცესი 1431 წლის 21 თებერვალს დაიწყო. სასამართლოს ფრანგი ეპისკოპოსი პიერ კოშონი თავმჯდომარეობდა (ფრანგულად კოშონი ღორს ნიშნავს). სასამართლოს ჟანას ჯადოქრობა უნდა დაემტკიცებინა. მიუხედავად იმისა, რომ ჟანას საეკლესიო სასამართლო ერეტიკოსობის ბრალდებით ასამართლებდა, იგი სამხედრო ტყვეის მდგომარეობაში იმყოფებოდა, ინგლისელთა ზედამხედველობის ქვეშ.

პიერ კოშონის შედგენილი საინკვიზიციო ტრიბუნალი 125 წევრისგან შედგებოდა, რომელთა შორის იყვნენ იმ დროისთვის ცნობილი თეოლოგები. სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე იყო რუანელი ინკვიზიტორი ჟან ლე

მეტრი. სწორედ ამგვარი ტრიბუნალის წინაშე უნდა წარმდგარიყო 19 წლის ჟანა დ'არკი.

თუმცა ჟანას გასამართლება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. გოგონა მეტად მტკიცე ნებისყოფისა გამოდგა და საკმაოდ მახვილგონიერულად ახერხებდა პასუხის გაცემას სასამართლო ტრიბუნალის მიერ დასმულ შეკითხვებზე. დაკითხვის ოქმების მიხედვით კითხვა-პასუხს დაახლოებით ასეთი სახე ჰქონდა:

კითხვა: — როგორ გამოიყურებოდა მიქაელ მთავარანგელოზი, როდესაც იგი გამოგეცხადა? ჩაცმული იყო თუ შიშველი?

პასუხი: — თქვენ როგორ გგონიათ, ჩვენს ღმერთს არ აქვს საშუალება, რომ ჩააცვას?!

კითხვა: — ანგელოზებს, რომლებიც გეცხადებიათ, თმები აქვთ?

პასუხი: — ღვთის გულისთვის, იქნებ თქვენ მიპასუხოთ, რატომ უნდა შეეკრიჭთ?

კითხვა: — რეიმსში, მეფის კორონაციაზე, რატომ მიჰქონდათ მხოლოდ შენი დროშა და არა სხვა სარდლების?

პასუხი: — ამ დროშამ ბრძოლის სიძნელეები გადაიტანა, ამიტომ ჰქონდა უფლება, მისი ღიძებაც გაეზიარებინა!

კითხვა: — თანახმა ხარ თუ არა, პაპს დაემორჩილო?

პასუხი: — მიმიყვანეთ მასთან და მე თვითონ ვეტყვი!

რადგანაც ვერ ხერხდებოდა ჟანასგან ერეტიკოსობის აღიარების მიღება, სასამართლომ გადაწყვიტა კონცენტრირება იმ ფაქტებზე, რომლებზეც ჟანას თანხმობა საჭირო არ იყო. მაგალითად, მამაკაცის ტანსაცმლის ტარება, ეკლესიის სახელის ფარად გამოყენება, აგრეთვე იმის დამტკიცება, რომ ხმები, რომელიც ჟანას ესმოდა, ეშმაკისუფლი იყო.

პიერ კოშონს კარგად ესმოდა, რომ თუკი ჟანას სიკვდილით დასჯიდა გოგონას მიერ ერეტიკოსობის აღიარების გარეშე, მაშინ იგი საკუთარი ხელით შეამკობდა მას წამებულის შარავანდედით. ამიტომ მრავალი მცდელობის შემდეგ, როცა ჟანას „გამოტყბა“ ვერ მოხერხდა, კოშონმა ვერაგულ ხერხს მიმართა. 1431 წლის 24 მაისს იგი ჟანას დაჰპირდა, რომ სამხედრო ტყვეობას საეკლესიო საპატიმროთი შეუცვლიდა, სადაც მას უკეთ მოეპყრობოდნენ, თუკი ჟანა ხელს მოაწერდა დოკუმენტს, რომლითაც იგი მწვალებლობისგან განდგომას აღიარებდა, სინამდვილეში კი კოშონმა იმით ისარგებლა, რომ გოგონამ კითხვა არ იცოდა და ჟანას ჯვარი დაასმევინა დოკუმენტზე, რომელიც ჟანას მი-



სასამართლო პროცესი რუანში





სიკვდილით დასჯა



ჟანა დ'არკი — წმინდანი

ერ დანაშაულის აღიარებას შეიცავდა და მის ეშმაკისეულ ხილვებს გმობდა. დაპირება საეკლესიო საპატიმროში გადაყვანის შესახებ კომონს არ შეუსრულებია.

რამდენიმე დღეში იმ საბაბით, რომ ჟანა ისევ მამაკაცის ტანსაცმელში გამოეწყო (სინამდვილეში მას ქალის ტანსაცმელი წაართვეს) და კვლავ „მოექცა ერესზე“, სასამართლო ტრიბუნალმა მას სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა.

1431 წლის 30 მაისი იდგა, როდესაც რუანში ძველი ბაზრის მოედანზე 19 წლის დომრემელი გოგონა, ჟანა დ'არკი ცოცხლად დაწვეს. თუზე დაახურეს წვეტიანი ქუდი წარწერით: „ერეტიკოსი, ურწმუნო, კერპთაყვანისმცემელი“ და წაიყვანეს ინკვიზიციის ცეცხლზე. „ეპისკოპოსო, მე თქვენ გამო კვდები, მე თქვენ გიწვევთ ღვთის სასამართლოზე“, — მიმართა ჟანამ კომონს და ჯვარი ითხოვა. მას მიაწოდეს ჯვარი და გააჩაღეს ცეცხლი... „იესო“ ეს შემახილი რამდენჯერმე აღმოხდა ცეცხლში გახვეულ გოგონას... ჟანას ფერფლი სენაში გადაყარეს...

**სიცოცხლე სიკვდილის უმედო**

სასამართლო პროცესი ჟანა დ'არკს სიკვდილის შემდეგაც ელოდა. 1452 წელს შარლ VII-ის ბრძანებით მოიძიეს დოკუმენტაცია ჟანას სასამართლო პროცესის შესახებ. დამტკიცდა, რომ გასამართლებისას შეცდომების მთელი რიგი იყო დაშვებული. შარლის პოლიტიკაში ამგვარი შემობრუნება მისმა პირადმა მიზნებმა განაპირობა. მეფეს არ სურდა, მიეჩნიათ ადამიანად, რომელიც ჯადოქრის ხელშეწყობით მოხვდა ტახტზე.

ორლეანელი ქალწულის პროცესი გაგრძელდა და საბოლოოდ 1456 წლის 7 ივლისს, პაპმა კალიქსტ III-მ ჟანა დ'არკის სახელის რეაბილიტაცია გადაწყვიტა. თუმცა არც ეს არ ყოფილა დასასრული! თითქმის ხუთი საუკუნის შემდეგ, 1920 წლის 16 მაისს პაპმა ბენედიქტ XV-მ მოახდინა ჟანა დ'არკის კანონიზაცია და მისი ხსენების დღედ 30 მაისი დაწესდა. ჟანას სახელთან დაკავშირებულია კიდევ ერთი დღესასწაული საფრანგეთში, 8 მაისი — ორლეანის გათავისუფლების დღე.

დღეს საფრანგეთის თითქმის ყველა კათოლიკურ ეკლესიაში შევხვდებით წმინდა ჟანა დ'არკის ქანდაკებას, გამოწყობილს მამაკაცის ტანსაცმელში, ხმლით ხელში.



# ივანე ჯავახიშვილის

მთავარი ლანაშოვარი თავისი ქვეყნისთვის  
 „ქართველი ერის ისტორია“  
 5 ტომად

თვეში ერთხელ  
 „კვირის პალიტრასთან“ ერთად  
**1-დან 8 ოქტომბრამდე**  
 II ტომი

„...ყოველ განათლებულ ეროვნებისთვის...  
 საჭიროა იწოდეს თავისი წარსული...  
 უცყუარი, ფეშმარიტი ისტორია და არა  
 გაზვიადებული, ყალბი.“



**პირველად!**  
**60 წლის შემდეგ!**

**სრული ვერსია**

ნიმნის სავცნაოლარი ფასი: **9 ლარი**  
 გაზეთთან ერთად: **10 ლარი**







# დიდოელები საკუთარ თავს ცეზებს — არწივებს უწოდებენ

სოფელი მახლატლი

## XIX საუკუნეში ბევრი დიდოელი ქართულადაც მეტყველებდა...

*„ფხანა გულისა რის მაქნისია! უქმის კაცის საქმეა. თაგადიშვილები ფეხის გულზე ხეოს ასმევიებენ, რომ ძილი მოიგვარონ, გულის ფხანაც ის არის: ძილს მოპგვრის. ის კი არ იციან, რომ თუ წუთის-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“; — მკითხველს ბუნებრივია, კარგად ახსოვს ეს ნაწევრები ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივიდან“. დიდოელ ლეკებთან ხომ ქართველებს ოდითგან ბევრი რამ აკავშირებდათ.*

დიდოელები დასავლეთ დაღესტანში მცხოვრები ერთ-ერთი მცირერიცხოვანი ხალხია. დაღესტნის ხალხებიდან ქართველ ხალხს უშუალო კონტაქტი და ურთიერთობა დიდოელებთან ჰქონდა — დიდო საქართველოს ემეზობლებოდა. ქართულ წყაროებში დიდო და დიდოელები არაერთხელ არიან მოხსენიებული. დიდო საქართველოს გავლენის ქვეშ მყოფი დაღესტნის მხარე იყო. დიდოში კახეთიდან (შტორის ხევიდან) და თუშეთიდანაა შესასვლელი.

ლეონტი მროველი დიდოეთს ძვ. წ. II საუკუნის მოვლენებთან დაკავშირებით იხსენიებს. დიდოელებს იხსენიებს პლინიუსიც (I საუკუნე), როგორც კავკასიის ერთ-ერთ ტომს. ქართლის სამეფოსთან დიდოეთის პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობა რეალურად ჩანს V საუკუნიდან. იგი გაღმა მხრითურთ ნეკრესის საეპისკოპოსოში შედიოდა. კვირიკე დიდი ქორეპისკოპოსი (1010-1037 წწ.) დიდოეთს შტორის საერისთავოში იხსენიებდა. XII-XIII საუკუნე-

ებში საქართველოს ყმადნაფიცი გახდა. თამარის დროს ფეხოთან ერთად აუჯანყდა ცენტრალურ ხელისუფლებას. ერთიანი საქართველოს სამეფოს დაშლის (XV საუკუნის II ნახევარი) შემდეგ, დიდოეთი კახეთის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. მეფე გიორგი VIII-მ დიდოეთში სამოურავო დააწესა. XVII საუკუნეში დიდოეთი განუდგა კახეთის სამეფოს. XVIII საუკუნის I მეთხედში ეკონომიკური დაინტერესების გამო პოლიტიკურად კვლავ კახეთის სამეფოს ემორჩილებოდა. XVIII საუკუნის II ნახევრიდან დიდოეთი საქართველოს გამოეყო.

დიდოელთა თვითსახელწოდებაა ცეხი, რაც არწივს ნიშნავს.

დასავლეთ დაღესტნის მაღალმთიანეთში დიდოელები კომპაქტურად წუნტის რაიონში ცხოვრობენ. მკვიდრობენ საქართველოშიც. საბჭოთა პერიოდში დიდოელთა მნიშვნელოვანი ნაწილი კასპისპირეთის დაბლობში გადასახლდა. გარდა ქართველებისა (კახეთი, თუშეთი), დიდოები ხუნძებს, კაკუჭელებს (ბეჭტიელებს) ემეზობლებიან.

დიდოელები ანთროპოლოგიურად დაღესტნელთა დასავლურ ვარიანტს მიეკუთვნებიან. ისინი კავკასიელთა კლასიკური წარმომადგენლები არიან. მკვლევარი მაქსიმ კოვალევსკი აღნიშნავდა, რომ დიდოელებში ხშირად გვხვდებიან ქართული ტიპისანი. ის ამ ფაქტს იმით ხსნიდა, რომ საქართველოს მოსახლდრედ მცხოვრები დიდოელები ბევრ ტყვეს იტაცებდნენ. ტყვეებს, რომელთა გაყიდვასაც ვერ ახერხებდნენ, თავიანთ შორის ასახლებდნენ. დიდოელები ლაპარაკობენ დიდოურ (ცეზურ) ენაზე. დიდოური უდამწერლობო ენაა. სალიტერატურო ენად იყენებენ ხუნძურს. საბჭოთა ხელისუფლების დროს დიდოელებს ხუნძებად აღრიცხავდნენ. დიდოურ ენაში გამოიყოფა ორი დიალექტი: საკუთრივ დიდოური და საჰადური. საჰადურ დიალექტზე ლაპარაკობენ აულების — საჰადის, მითლუდისა და თლაცუდის მცხოვრებნი. სხვა დიდოური აულების მცხოვრებნი დიდოურ დიალექტზე მეტყველებენ, რომელიც თავის მხრივ, კილოკავებად იყოფა. ენათმეცნიერთა დასკვნით, დიდოური ენის ლექსიკაში ბევრია ხუნძურიდან შეთვისებული სიტყვები. შეიმჩნევა ქართული ენის გავლენაც.

XIX საუკუნეში ბევრი დიდოელი ქართულადაც მეტყველებდა, რაც იმით უნდა აიხსნას, რომ საუკუნეების განმავლობაში მათ მჭიდრო სამეურნეო-ეკონომიკური კავშირე-

ბი ჰქონდათ კახეთის მოსახლეობასთან. კასპისპირეთში ჩასახლებული დიდოელები ყუმუხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც ლაპარაკობენ. იონანე ბაგრატიონი დიდოს ხეობის კომლთა რიცხვს 1671-ით განსაზღვრავს. ვფიქრობთ, ეს ციფრი გადამეტებულია, რადგან როგორც ჩანს, მასში სხვა ეთნოსთა წარმომადგენლებიც (მაგალითად, ბეჭტიელები) ჰყავს შეყვანილი. 1989 წლის მონაცემებით, დიდოელების საერთო რაოდენობა 9 ათასი კაცია (სხვა მონაცემებით 7500-8000 კაცი).

ანტიკური ავტორების, პლინიუს უფროსისა (I საუკუნე) და კლავდიუს პტოლემეაიოსის (II საუკუნე) მონაცემებით, დიდოები და მონათესავე ტომები დიდოს (დიდურების) ტომთა კავშირში შედიოდნენ. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, დიდოელებს ამ დროიდან უმჭიდროესი ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობა ჰქონდათ საქართველოსთან.

ახ. წ. IV-X საუკუნეებში დიდოში საქართველოდან ქრისტიანობა ვრცელდებოდა. მაგრამ ახალმა რელიგიამ აქ ფეხი მყარად ვერ მოიკიდა. დიდოელთა ისლამიზაცია XV საუკუნიდან დაიწყო. საბოლოოდ ისლამი დიდოელებში XVIII საუკუნის ბოლოს და XIX საუკუნის დასაწყისში დამკვიდრდა. ხუნძახელი

დიდოელი ქალი, 1943 წ.





„თუ წუთის-სოფელს ერთს ბეწო ხანს თვალი მოუხუჭე, ისე გავთლავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბაღსა“

ხანების გაძლიერებული ექსპანსიის შედეგად დიდოს ბევრი სასოფლო საზოგადოება ჩამოშორდა. XV საუკუნიდან დიდო უკვე სუფთა ეთნიკური ცნებაა და მასში მხოლოდ თანამედროვე დიდოელები (ცეზები) იგულისხმებიან.

დიდოელები აქტიურად მონაწილეობდნენ განმათავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც შამილი ედგა სათავეში. ამ ბრძოლაში ისინი 1840-იანი წლების დასაწყისში ჩაებნენ. რუსეთის მიერ დაღესტნის დაპყრობის შემდეგ, დიდოელები (ცეზები) დაღესტნის ოლქის დიდოს სანაიბოში შედიოდნენ. ისინი 1877 წლის ანტიკოლონიურ აჯანყებაშიც მონაწილეობდნენ.

დიდოელები სასოფლო საზოგადოებათა სამხედრო-პოლიტიკურ და ტერიტორიულ-ეთნიკურ კავშირებში (თავისუფალ საზოგადოებებში) იყვნენ გაერთიანებული. ის სამი ნა-

წილისგან შედგებოდა: დიდო-შურატლი (13 სოფელი), დიდო-ასახი (9 სოფელი) და დიდო-შაიტლი ანუ ილანხევი (12 სოფელი).

სოციალური თვალსაზრისით, დიდოელთა ჯამაათები (თემები) თითქმის ერთგვაროვანი იყო. მათ შორის უმნიშვნელო რაოდენობით იყვნენ მონები, სამხედრო ტყვეები და მათი შთამომავლები. მოსახლეობა შედგებოდა თავისუფალი, დამოუკიდებელი ოჯახებისგან, რომლებსაც საკუთრებაში სახვნელი და სათიბი მიწები ჰქონდათ. სათიბების ნაწილი, საძოვრები და ტყეები მთელი თემის საერთო საკუთრებაში შედიოდა.

სასოფლო მმართველობა სასოფლო ყრილობისა და უხუცესებისგან შედგებოდა. სასოფლო ყრილობა ჯამაათის უმაღლესი ორგანო იყო. ადათსა და შარიათზე დაფუძნებულ სამართალწარმოებასაც უხუცესები წარმართავდნენ. ყრილობაში ყველა სრულწლოვანი მამაკაცი მონაწილეობდა. ჯამაათები მონათესავე ოჯახთა ჯგუფების — თუხუშებისგან შედგებოდა. გადმოცემით, ზოგიერთი თუხუში უცხოეთნიკური წარმოშობისაა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ურთიერთდახმარების წესჩვეულებას. ურთიერთდახმარება იცოდნენ როგორც თუხუმის, ისე თემის შიგნით.

დიდოელებში (ცეზებში) ადრე შუა საუკუნეებიდან ოჯახის გაბატონებული ფორმა იყო პატარა ოჯახი. XX საუკუნის პირველ ათწლეულებამდე შემორჩენილი იყო დიდი, გაუყოფელი ოჯახებიც. ქორწინება ძირითადად შუამავლების საშუალებით ხდებოდა. XX საუკუნის დასაწყისამდე ქორწინების სხვა ფორმებიც არსებობდა: მოტაცება, გაპარვა, გაცვლითი ქორწინება, ლევირატიცა და სორორატის ფორმები. ვახუშტი ბაგრატიონი დიდოელთა შესახებ წერს: „მოგურის მამა თუისა მცირესა ძესა თუისსა ცოლსა და, ვიდრე აღიზრდების ძე მისი იგი მცირე თუით მამა თანაეყოფის აღრევითა დედაკაცსა მას; ზოლო ოდეს აღიზრდების ძე მისი, მამის მისცემს მას ძესა დედაკაცს მას ცოლად და განუყოფს შვილთაცა, რომელნი უგის მის დედაკაცსა თანა შობილი მამასა, ნახევარს მისცემს ძესა, და არს ძე ძისა მისისა და ნახევარსა დაიპყრობს თუით, და ძმა არს ძისა მისისა, მის ქალის ქრმისა“. „ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთანის“ ავტორი წერდა, რომ დიდოელთა რამდენიმე ძმა „ერთსა დედაკაცსა მოიყვანებენ ცოლად“. დიდოელებმა იცოდნენ უმძრახობა.

გაბატონებული იყო უფროსების პატივისცემა, თოხუმური სოლიდარობა; ტრადიციული იყო სტუმართმოყვარეობა, ძმადგაფიცვა.

დიდოელთა ძირითადი სამეურნეო საქმიანობა მომთაბარე მეცხვარეობა იყო. ჰყავდათ ღუმინი დიდოური, თუშური და ანდიური ჯიშის ცხვარი. საქონლის დიდი ნაწილი ზამთარში კახეთისა და საინგილოს საძოვრებზე ჰყავდათ. ადგილზე მხოლოდ პირუტყვის მცირე რაოდენობას ტოვებდნენ. სახვნიელი ფართობები ძირითადად მთის ფერდობებზე ჰქონდათ მოწყობილი (დიდოელებს ტერასები არ ჰქონდათ). განვითარებული იყო გარე სამუშაოზე სიარული. ძველთაგანვე მისდევდნენ ლითონების დამუშავებას. ხელოსნობის დარგებიდან შეიძლება დავასახელოთ მჭედლობა, წინდებისა და ჩექმების ქსოვა, ხურჯინების კეთება, ხისა და ქვის დამუშავება. გაცვლითი ვაჭრობა ჰქონდათ მხოლოდ საქართველოსთან.

დიდოელთა დასახლება ისტორიულად ჩამოყალიბდა. ადრე შუა საუკუნეებში დიდოელებში, ისევე როგორც დაღესტნის სხვა ხალხებში, გავრცელებული იყო ნათესაური კოლექტივების მცირე დასახლებები, რომლებიც, როგორც ფიქრობენ, თუხუმური გახლდათ. XII-XIV საუკუნეებში ასეთი მცირე დასახლებები გამსხვილდა. ხეობებში განთავსებულ დიდო-



დიდოეთის ხეობა



მეჩეთი სოფელ მოკოკში





შიატლი, წუნტის რაიონი



რეტლობი, წუნტის რაიონი



ელთა საფეხურებრივ-შეჯგუფებული დასახლება მთის ფერდობებზე იყო შეფენილი. დასახლებას შემოვლებული ჰქონდა თავდასაცავი კედლები, ხშირად კი — თავდასაცავი კოშკები. თავდასაცავი კოშკების დიდი რაოდენობა, აგრეთვე „ციხე-სახლები“ XIX საუკუნის 40-50-იან წლებში კავკასიური ომების დროს დაანგრიეს.

დიდოელებს თითქმის ისეთივე ტიპის ტანსაცმელი ჰქონდათ, როგორც დაღესტნის სხვა ხალხებს: მამაკაცთა ქამარი ვერცხლით იყო მორთული. იცვამდნენ შალისგან მოქსოვილ ჩექმებს.

დიდოელებს საუკუნეების განმავლობაში გაცხოველებული სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდათ საქართველოსთან. გასაყიდად ჩამოჰქონდათ მატყელი, მაუდი, ტყავი, გამომშრალი ხორცი, ცხიმი, ერბო, ყველი. აქ კი იძენდნენ პურს, ქსოვილს, ტანსაცმელს, ხილს, ხელოსნობის ნაწარმს და სხვ. „და კახეთის მზრისანი ჰყმობენ კახთა მეპატრონეთა და აძლევენ ხარკთა და არა ლაშკართა, რათა ვიდოდნენ სავაჭროდ კახეთს, ვინაითგან ზიდვენ კახეთიდან საზრდელსა, საშიშლოსა და სახმარსა თუისსა“.

დიდოელები სუნიტი მუსლიმები არიან. დიდოეთში თავის დროზე საქართველოდან ქრისტიანობაც ვრცელდებოდა და ბევრი პატარა ქრისტიანული ეკლესიაც აუგიათ. მიუხედავად ამისა, ქრისტიანობა დიდოელთა ცხოვრებაში ღრმად ვერ შეიჭრა. მუსლიმობაც დიდოებში გვიან გაავრცელდა, ვიდრე დაღესტნის სხვა ხალხებში. შემორჩენილია წარმართული რელიგიური რწმენა-წარმოდგენები: მიწის, მთვარის, მზის, ცის, ცეცხლის, მთის, მდინარის კულტი, ანიმისტური, ტოტემისტური და მაგიური ელემენტები. განსაკუთრებით აღსანიშნავია დიდოელთა რწმენა თეთრი ქვის კულტის შესახებ, კალენდარული დღესასწაულებიდან — პირველი ხნულის გავლება. დიდოელთა ფოლკლორი ორენოვანია (ცეზური და ხუმიური). დიდოელი მკურნალები ცნობილი იყვნენ დაღესტნის სხვა სოფლებშიც. ვახუშტი ბაგრატიონი დიდოელთა სარწმუნოებისა და თვითშეგნების შესახებ საკმაოდ კრიტიკულად წერდა: „ენა აქუსთ თუისი საკუთარი, სარწმუნოებით არიან კერპნი და უმეტეს ეშმაკის მორჩილნი... არა უწყიან სრულიად ღმერთი, არცა ნათესავი და ნათესაობა“.

რულანდ თოფჩიშვილი

# ყვანა ძველი ნეოლითური მშენებელი

ბარსელონის უნივერსიტეტის ოფიციალური საიტის ცნობით, ესპანეთში ნეოლითის ხანის მშვილდი აღმოაჩინეს. ბარსელონის მახლობლად ნეოლითური ადგილსამყოფლის გათხრისას არქეოლოგებმა იპოვეს მშვილდი, რომლის ასაკი 7500 წელია. დღეისთვის ეს აღნიშნული პერიოდის ერთ-ერთი უძველესი იარაღია.

„ლა დრაგა“, სადაც აღნიშნული არტეფაქტი აღმოაჩინეს, ტბა ბანიოლასის სანაპიროზე მდებარეობს და იბერიის ნახევარკუნძულის ერთ-ერთი უძველესი ნეოლითური ადგილსამყოფელია. იგი ნაწილობრივ დაფარულია ფსკერის დანალექით, რის გამოც აქაური არტეფაქტები, როგორც წესი, კარგადაა შენახული.

მეცნიერთა ეს მონაპოვარიც სრულიად დაუზიანებელია. ისევე როგორც ნეოლითის ეპოქის სხვა მშვილდები, იგი ურთხელის მერქნისგანაა დამზადებული. მისი სიგრძე 108 სანტიმეტრია, განივკვეთში კი ნახევრად წრიული ფორმა აქვს. დამზადების სავარაუდო თარიღი ძვ.წ. 5400-5200 წელია.



მეცნიერთა ეს მონაპოვარი სრულიად დაუზიანებელია

საერთოდ, უძველეს ნიმუშებად მიიჩნევა დანიაში, ჰოლმგარდთან ნაპოვნი მშვილდები. კიდევ უფრო ძველია ქვისგან დამზადებული ისრის ბუნიკები, თუმცა ყველა ეს არტეფაქტი უკვე პალეოლითის პერიოდს განეკუთვნება. ამრიგად, ბარსელონასთან ნაპოვნი მშვილდი ყველაზე ძველად უნდა ჩაითვალოს იმით შორის, რომლებიც ვეროპელ მიწათმოქმედებს ეკუთვნოდათ.

*ScienceNOW-ის მასალების მიხედვით*

## ცვილის უძველესი კბილის ბუნე 6 500 წლისაა!

ას წელიწადს ილო მუზეუმში უძველესი დაბუნელი კბილი, რომელიც იტალიელ და ავსტრალიელ მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფმა სრულიად შემთხვევით ხელმოკრულ „აღმოაჩინა“. კლაუდიო ტუნციის თქმით, კბილი ბუნის კვალით გაქვეავებულ ყბის ძვალზე იპოვეს, რომელიც თანამედროვე სლოვენის ტერიტორიაზე ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აღმოაჩინეს. მას შემდეგ 24-30 წლის მამაკაცის ქვედა ყბის ძვალი იტალიის ქალაქ ტრიესტის მუზეუმში ინახებოდა.

ტუნციმა და მისმა კოლეგებმა ყბის ძვალი მუზეუმიდან რენტგენის ახალი აპარატის ტესტირებისთვის აიღეს, ტესტის მიმდინარეობისას კი ერთ-ერთ ემზზე უცხო მასალის კვალი აღმოაჩინეს.

ამის შემდეგ მკვლევრებმა კბილის მადალი ხარისხის სამგანზომილებიანი გამოსახ-



ულება მიიღეს. მათ დააფიქსირეს ვერტიკალური ბზარი და დიდი ღრუ, ეს უკანასკნელი უცხო მასალის იყო ამოვსებული, რომელიც ბზარის ზედა ნაწილსაც ფარავდა.

ინფრაწითელი სპექტროსკოპიით კი დადგინდა, რომ კბილის ღრუ ფუტკრის ცვილით იყო ამოვსებული. რადიაქტიური მეთოდით ასაკის დადგენისას კი აღმოჩნდა, რომ გაქვეავებული მასა „სულ რაღაც“ 6500 წლისაა.

*მომზადებულია LiveScience-ის მასალების მიხედვით*

# რობერტ შეიქენა კალათბურთი

**სასაღისო თამაში  
მოსაწყენი  
ტანვარჯიშის  
ბაკვეთილის  
ნაცვლად**

*თამაშები, რომლებიც შეიძლება თანამედროვე კალათბურთის „წინაპრებად“ მივიჩნიოთ, ძველი ნორმანებისა და კოლუმბამდელი ამერიკის კულტურებში გვხვდება.*



ჯეიმს ნეისმიტი

ჯერ კიდევ ძვ.წ. X საუკუნეში მაიას ტომს ჰქონდა კალათბურთის მსგავსი თამაში, რომელსაც პოკ-ტა-პოკი ერქვა. თუმცა ინდიელებისთვის ის მხოლოდ გართობისა და შეჯიბრის საშუალება არ ყოფილა და რელიგიური რიტუალების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენდა.

ამ ასპარეზობის მიზანი დაახლოებით ოთხკილოგრამიანი კაუჩუკის ბურთის მოხვედრება იყო კედელზე ვერტიკალურად დამაგრებულ ქვის რგოლში. ნიშანდობლივია, რომ მოთამაშეებს მძიმე ბურთთან შეხება შეეძლოთ ტერფით, მუხლით, მხრით, ბეჭით... ოღონდ, არამც და არამც ხელით.

*კალათბურთის მსგავსი თამაში, ჯერ კიდევ ძვ.წ. X საუკუნეში ჰქონდა მაიას ტომებს, რომელსაც პოკ-ტა-პოკი ერქვა*



ამბობენ, რომ ასპარეზობაში გამარჯვებულ გუნდის ლიდერს არცთუ იშვიათად განსაკუთრებულ პატივს მიაგებდნენ — ღმერთებს სწირავდნენ(!).

გარკვეულწილად, კალათბურთთან შეგვიძლია დაგაკავშიროთ ინდიელთა კიდევ ერთი თამაში — ულლამალიტცილი, რომელიც მექსიკაში XVI საუკუნეში ყოფილა გავრცელებული. მოთამაშეები აქაც ბურთის დიდ სიმაღლეზე დამაგრებულ რგოლში გაძვრუნას ცდილობდნენ.

საინტერესოა, რომ მოთამაშეს, რომელიც მიზანში ბურთს ყველაზე უკეთ ისროდა, უფლება ჰქონდა, ჯილდოს სახით ნებისმიერი მყურებლის სამოსსა თუ საშვეინის დაუფლებოდა.

### კალათბურთის მოგზონი

ზემოთ ნახსენებ ინდიელთა უძველეს თამაშებს მიმდევრები დღემდე ჰყავს. მაგალითად, პოკ-ტა-პოკს მექსიკის ჩრდილოეთ შტატებში ახლაც თამაშობენ. თუმცა ისეთი ლამაზი და საინტერესო სპორტის სახეობა, როგორც კალათბურთია, დიდი ალბათობით, არ იარსებებდა, 121 წლის წინ მასაჩუსეტსის შტატში, სპრინგფილდის ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის კოლეჯის მასწავლებელს, ჯეიმს ნეისმიტის მოწაფეებისთვის ფიზკულტურის მოსაწყენი გაკვეთილების გამარავალფეროვნების სურვილი რომ არ გასჩენოდა.

ყველაფერი კი 1891 წლის ზამთარში, დე-

*უძველეს პოკ-ტა-პოკს მექსიკის ჩრდილოეთ შტატებში ახლაც თამაშობენ*



კემბრის ერთ ჩვეულებრივ დღეს დაიწყო.

მოქუფრული ცა, სიცივე და მოწყენილობა... კოლეჯის მოსწავლეებს, რომლებიც სპორტდარბაზისკენ უხალისოდ მიემართებოდნენ, ისევ ნაძალადევად უნდა გადაეგორებინათ ტანვარჯიშის მომქანცველი გაკვეთილი.

ჯეიმს ნეისმიტის მოსწავლეების მდგომარეობა ადარდებდა და გულისხმიერმა მასწავლებელმაც გადაწყვიტა, მათთვის რამე ახალი, ხალისის შემოძტანი გასართობი შეეთავაზებინა...

ამბობენ, რომ ნეისმიტის ახალი თამაშის იდეა ჯერ კიდევ სკოლის პერიოდში გაუჩნდა, როცა თანატოლებთან ერთად მამაკაპისეული თამაშით, დაკ-ონ-ე-როკით (ინგლ. იხვი კლდეზე) ერთობოდა. ერთ დროს პოპულარული გასართობი ითვალისწინებდა მოძვრო ქვის დიდი ქვისთვის მორტყმას, რომელიც განსაზღვრულ სიმაღლეზე იდებოდა.

...მაგრამ თამაში დაკ-ონ-ე-როკ, თუნდაც სახეცვლილი, ახლა ვეღარ გამოდგებოდა ახალგაზრდების ასაყოლიებლად. ჯერ ერთი, კოლეჯის კედლებში ქვების სროლისა და ფანჯრების მსხვრევის ნებას არავის მისცემდნენ, მეორეც — თამაში გუნდური, უფრო აქტიური და მრავალფეროვანი უნდა ყოფილიყო.

გუნდური და აქტიური თამაში იმხანად ამერიკული ფეხბურთი იყო და მოსწავლეებშიც დიდი პოპულარული გახლდათ, თუმცა საკმაოდ უხეში და კონტაქტური სახეობა იყო და ტრავმების გამო მოსწავლეები ხშირად და დიდი ხნით წყდებოდნენ სასწავლო პროცესს.

რა თქმა უნდა, ახალ თამაშზე ჩაფიქრებული მასწავლებელი, რომელიც კოლეჯის დერეფანში სცემდა ბოლთას, წინასწარ ვერ განჭვრეტდა მაიკლ ჯორდანისა და დომინიკ უილინსის საჰაერო დუელსა თუ ათასობით გულშემატკივრით გადაჭედული დარბაზების ენერგიით დამუხტულ ატმოსფეროს. მასწავლებელს ზომ უბრალო თამაშის მოფიქრება მართებდა, რომელიც მის შევირდებს გრძელ ზამთარს ხალისიანად გადაატანინებდა და თანაც მათგან არა უხეში ძალის, არამედ სისხარტისა და სიზუსტის გამოვლენას მოითხოვდა.

იდეა დაიბადა და აი, ერთ მშვენიერ დღეს სასწავლებლის სპორტდარბაზში შეკრებილი 18 მოსწავლე ნეისმიტმა ორ გუნდად დაყო. იქამდე კი მასწავლებელს მხარში კოლეჯის დარაჯი, ვინმე მისტერ სტებინსი ამოუდგა, რომელმაც საწყობიდან ფორთოხლის ორი კა-





*კალათბურთის დაბადების ადგილი: სპრინგფილდის ახალგაზრდა ქრისტიანთა ასოციაციის კოლეჯის სპორტული დარბაზი*

ლათი ამოუტანა და სპორტდარბაზის აივნებზე, 3 მეტრსა და 5 სანტიმეტრზე დაჰკიდა (ეს სტანდარტი დღემდე უცვლელია). ამოცანა მარტივი იყო – მოსწავლეებს ბურთი ტყორცნით კალათში უნდა მოეთავსებინათ.

ასე დაიბადა ახალი თამაში, რომელმაც ამერიკა მალევე დაიპყრო და კოლეჯში, სა-

დაც ნეისმითი ასწავლიდა, თამაშის წესების გაცნობის თხოვნით წერილები ნიაღვარივით მოედინებოდა.

**მეპარე — კალათისთვის**

კალათბურთის დაბადების დღედ ოფიციალურად 1892 წლის 15 იანვარი მიიჩნევა. სწორედ ამ დღეს ნეისმითმა კოლეჯის გაზეთში ახალი თამაშის — კალათბურთის (ინგლ. ბასკეტ — კალათი, ბოლ — ბურთი), წესები გამოაქვეყნა, რომელიც 13 პუნქტისგან შედგებოდა.

ნეისმითის წესებით, მატჩი ორი 15-წუთიანი ტაიმისგან შედგებოდა. პირველყოფილ კალათბურთში ბურთის ტარება არ შეიძლებოდა. მოთამაშეს გადაადგილება მხოლოდ უბურთოდ შეეძლო, ბურთის მიღების შემთხვევაში კი ან უნდა გაჩერებულიყო, ან პასი გაეკეთებინა, ან კალათში ესროლა.

თავიდან კალათბურთის ფეხბურთის ბურთით თამაშობდნენ, ერთი ხანობა კი კალათს, რაოდენ ღიმილის მომგვრელიც უნდა იყოს, მეკარეც იცავდა.

თავდაპირველად თამაშის მონაწილეთა რაოდენობა შეუზღუდავი იყო. მართალია, მეტწილად ცხრა-ცხრაზე თამაშობდნენ, მაგრამ ისეც მომხდარა, რომ მოედანზე მყოფი თითო გუნდი ორმოც კალათბურთელს ითვლიდა.

ასე გრძელდებოდა კარგა ხანს და მხოლოდ XX საუკუნის დასაწყისში შეჯერდნენ, რომ მოედანზე მყოფ მოთამაშეთა რაოდენობა ხუთეულეამდე დაეყვანათ.



*ჯეიმს ნეისმითის შექმნილ თამაშში თავიდან ჩვეულებრივ ხილის კალათებს იყენებდნენ*

დროთა განმავლობაში იცვლებოდა საკალათბურთო დარბაზების აღჭურვილობა. თუ პირველ ხანებში თამაშში ხილისთვის განკუთვნილ კალათებს წარმატებით იყენებდნენ, მერე და მერე სულ უფრო დაიხვეწა სროლის სიზუსტე და თამაშის განმავლობაში ბურთიც გაცილებით ხშირად აღწევდა მიზანს. შესაბამისად, სულ უფრო მომამბეზრებელი ხდებოდა კალათთან კიბით ასვლა და იქიდან ბურთის ამოღება.

ერთ დღესაც მაკან ჰეკიანს (სავარაუდოდ, ეს ჯეიმს ნეისმიტის თანამემსუვე, ზემოთ ნახსენები კოლეჯის დარბაზი უნდა ყოფილიყო, რომელსაც კალათში ჩაყრილი ბურთების ამოღება ევალებოდა) თავში აზრად მოუვიდა, კალათისთვის ფსკერი მოეცალათ და იმ დღიდან მოყოლებული, ჩაგდებული ბურთიც უკვე ავტომატურად უბრუნდებოდა მოთამაშეებს.

მოგვიანებით ხილის კალათა ბადიანმა ლითონის რგოლმა შეცვალა, რომელსაც ხის ფარზე ამაგრებდნენ. თავის მხრივ, ფარი ზედმეტად აზარტული მაყურებლებისგან თამაშში ხელის ფათურის თავიდან ასაცილებლად შექმნეს — იქამდე არცთუ იშვიათად, ზედ კალათთან დადარაჯებული ერთი გუნდის ქომადგინი ნატყორცნ ბურთს იჭერდნენ და რგოლისკენ უსწორებდნენ გეზს, მეორენი კი პირიქით — ბურთის კალათისთვის არიდებას ლამობდნენ.

ამასთან, ფარმა კალათბურთელებს საშუალება მისცა, კალათში ბურთის მოთავსების ტექნიკა უფრო გაემრავალფეროვნებინათ და თან, გაეადვილებინათ.

ალსანიშნავია, რომ დროთა განმავლობაში მოთამაშეებსა და მაყურებლებს ლითონის ბადე ჰყოფდათ, რომელიც დარბაზის მთელ პერიმეტრზე იყო გაჭიმული. მიზეზი კი ის იყო, რომ თამაშის დროს ტრიბუნებსა და მოედანზე არცთუ იშვიათი იყო შეხლა-შემოხლა და მუშტი-კრივი.

გამყოფი ბადეები მხოლოდ გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში გააუქმეს, რადგან მოთამაშეები ამ ბადეებთან შეჯახებით ხშირად იღებდნენ ტრავმებს. იმდროინდელი კალათბურთი, ჯეიმს ნეისმიტის თავდაპირველი ჩანაფიქრის მიუხედავად, მაინც საკმაოდ უხეში იყო.

მეტოქეები ერთმანეთს წამდაუწუმ კრავდნენ ხელს, იჭერდნენ, ფეხს უდებდნენ. შედეგად, კალათბურთელები ბარიერს, აუტში ბურთის ლამის ყოველი გადასვლისას, მთელი ძა-




შეკანიანთა გუნდი „ნიუ-იორკ რენსელსი“, 1925 წ. ორი წლის შემდეგ „ბოლტონ სელტიკსთან“ თამაშით მათ დაამტკიცეს, რომ კალათბურთი მხოლოდ თეთრების საქმე არ არის



„ბოლტონ სელტიკსი“ 1927 წელს



1892 წლის 15 იანვარს ნეისმიტმა კოლეჯის გაზეთში ახალი თამაშის — კალათბურთის წესები გამოაქვეყნა, რომელიც 13 პუნქტისგან შედგებოდა



1929 წელს 25 ივნისს გ. ლ. პირსმა საკალათბურთო ბურთის პატენტი მიიღო. შესაბამისად, სწორედ 25 ივნისი შეიძლება მივიჩნიოთ კალათბურთის ბურთის დაბადების დღედ

ლით ასკდებოდნენ. ამიტომაც, ნუ გაგიკვირდებათ, თუკი XX საუკუნის დასაწყისში გადაღებულ ფოტოსურათებზე გამოსახულ კალათბურთელებზე სამუხლებს შენიშნავთ.

### შაკვანინათა შვიოსვლა

კალათბურთის სპორტის ოფიციალურ სახეობად აღიარება მას შემდეგ გახდა რეალური, რაც 1898 წელს, აშშ-ში პირველ პროფესიონალურ ლიგას, ნაციონალურ საკალათბურთო ლიგას ჩაეყარა საფუძველი.

ლიგის არსებობა ხანმოკლე გამოდგა — ხუთი სათამაშო სეზონის შემდეგ იგი დაიშალა, მის ნაცვლად კი რამდენიმე პატარა ლიგა შეიქმნა.

სპორტის ეს სახეობა სრულიად ახალ სიმაღლეზე უკვე XX საუკუნის 20-იანი წლებიდან ავიდა. იმ პერიოდში ერთიმეორის მიყოლებით იქმნებოდა ნაციონალური ფედერაციები, რასაც შედეგად პირველი საერთაშორისო ტურნირების გამართვა და საერთაშორისო საკალათბურთო ლიგის ჩამოყალიბებაც მოჰყვა, რომელშიც რვა ქვეყანა გაერთიანდა.

როგორც ყველაფერში, ემანსიპაციამ კალათბურთშიც შეაღწია და უკვე 1923 წელს ქალ კალათბურთელთა შორის პირველი ტურ-



*მასწავლებელი ჯეიმს ნეისმიითი კოლეჯის მოსწავლეებთან*

ნირი მოეწყო. 1936 წელს კი სახეობა უკვე ოლიმპიურ თამაშებში ჩართეს.

სხვათა შორის, 20-იანი წლების აშშ-ში შავკანიან ამერიკელებს თეთრების საკალათბურთო გუნდებში ან მათ წინააღმდეგ თამაშს უკრძალავდნენ. არადა, იმ პერიოდში სამოყვარულო კალათბურთის ნამდვილი კულტი ნიუ-იორკის „შავ“ ჰარლემსა და ქვეყნის სხვა მსხვილ ქალაქებში არსებულ შავკანიანთა გეტოებში სუფევდა. პროფესიონალური გუნდების მენეჯერები კი დიდი ხნის განმავლობაში არ აქცევდნენ ყურადღებას შავკანიან გიგანტ მოთამაშეებს, რომლებიც ბუნებისგან ბოძებული მოქნილობისა და ძალის წყალობით, არაჩვეულებრივ ტექნიკას აჩვენებდნენ.

1922 წელს ჰარლემში, მხოლოდ შავკანიანი მოთამაშეებისგან შემდგარი პირველი პროფესიონალური გუნდი, „ნიუ-იორკ რენესანსი“ შეიქმნა. და 1927 წელს გაიმართა ისტორიული შეხვედრა „რენესანსსა“ და „ბოლტონ სელტიკსს“ შორის. შვიდმატრიან სერიაში გუნდებმა სამ-სამჯერ გაიმარჯვეს და ერთი ცფრედ დაასრულეს, რის შემდეგაც აშშ-ში აღარაყის მოსვლია თავში აზრად, ემტკიცებინა, რომ კალათბურთი — მხოლოდ „თეთრების“ სპორტია.

## თავაზის ეპოლუცია

საკალათბურთო წესები პირველი დღიდან მოყოლებული იცვლებოდა და იხვეწებოდა, რომელთა გავლენით, თამაში სულ უფრო ნაკლებად კონტაქტური ხდებოდა. თავის დროზე სწორედ ამ მიზნით შემოიღეს წესის დამრღვევთა პერსონალურებით დასჯა, რომლის რაოდენობრივი ზღვრის გადამეტების შემთხვევაში, მოთამაშეს მოედნიდან აძევებენ.

წესებში ცვლილებების შეტანისას განსაკუთრებული ყურადღება შედეგაიანობის გაზრდას ეთმობოდა, რაც მაყურებლის ინტერესის გათვალისწინებით იყო განპირობებული. მატჩის შედეგაიანობის ასამაღლებლად ჯერ ბურთის ფლობის დრო შეიზღუდა, შემდეგ კი სამქულიანის ხაზიც დაწესდა.

ცნობისთვის, ისტორიაში პირველი წარმატებული სამქულიანი ტყორცნა 1979 წლის 12 ოქტომბერს, „ბოსტონის“ მოთამაშე კრის ფორდმა „ჰიუსტონის“ წინააღმდეგ თამაშში შეასრულა.

აღსანიშნავია, რომ კალათბურთის წესების დახვეწა დღემდე მიმდინარეობს. ამჟამად FIBA-სა (კალათბურთის საერთაშორისო ფედერაცია) და NBA-ს (ნაციონალური საკალათბურთო ასოციაცია) წესებში განსხვავება უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც არსებობს.

**გელა უზარიაძე**

# საქართველოს 25-საუკუნოვანი სამონეტო ისტორიის მემატიანე

**გიორგი დუნდუას სახელს  
ქართული ნუმისმატიკური  
მეცნიერების ახალი მტაკი  
უკავშირდება**

*ქართული ნუმისმატიკური მეცნიერების  
ახალი ეტაპი დიდწილად უკავშირდება  
ცნობილ ქართველ მეცნიერს, ისტორიის  
მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ  
გიორგი დუნდუას. ახლახან ბატონ  
გიორგის 80 წელი შეუსრულდა,  
ჟურნალი „ისტორიანი“  
მრავალრიცხოვან მკითხველთან ერთად  
ულოცავს ღვაწლმოსილ მეცნიერს  
საიუბილეო თარიღს.*



გიორგი დუნდუა

იუბილარი თბილისში დაიბადა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და ისტორიის ფაკულტეტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ მუშაობა აკადემიკოს სიმონ ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ნუმისმატიკის განყოფილებაში დაიწყო. ერთხანს ისტორიის ინსტიტუტშიც მუშაობდა. 1986 წლიდან კი აკადემიკოს ოთარ ლორთქიფანიძის სახელობის არქეოლოგიური კვლევის ცენტრშია ჯერ მთავარ მეცნიერთანამშრომლად, შემდეგ იბერიის არქეოლოგიის სექტორის გამგე იყო, ამჟამადაც აქვეა კონსულტანტად და თავის მრავალმხრივ გამოცდილებას უზიარებს უმცროს კოლეგებს.

ბატონი გიორგის სამეცნიერო შემოქმედება (და შესაბამისად, საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები) მთლიანად უკავშირდება ნუმისმატიკას. მისი პირველივე ნაშრომებით ცხადი გახდა, რომ ქართულ ნუმისმატიკურ მეცნიერებაში მოვიდა თავისებურად მოაზროვნე, პრინციპული მკვლევარი, რომელიც გაბედულად ცდილობდა დაერღვია მიღებული სტერეოტიპები.

მასშტაბური ხასიათის კვლევა-ძიებამ მეცნიერის წინაშე იმთავითვე წამოჭრა მეთოდოლოგიის პრინციპი, რომელიც აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის ფუძემდებლური მითითების საფუძველზე ასე ჩამოაყალიბა: თითოეული ნუმისმატიკური ნაშრომი უნდა შედგებოდეს სამი ნაწილისგან: 1. თეორიული, რომელშიც თავი მოყვება წერილობით ცნობებს ამა თუ იმ პერიოდის საქართველოში სამონეტო საქმისა და სამონეტო მიმოქცევის შესახებ; 2. აღწერილობითი, რომელშიც მეცნიერულად აღიწერება შესაბამის პერიოდში საქართველოში მოჭრილი და აქვე სამონეტო ცირკულაციაში ჩართული უცხოური მონეტები და 3. შედარებითი, რომელშიც მონდება პირველი და მეორე ნაწილის კვლევის შედეგების ურთიერთშეჯერება.

გიორგი დუნდუა ყოველთვის ცდილობს, მონეტები აქციოს პირველხარისხოვან ისტორიულ წყაროდ, მათი საშუალებითვე შეიტანოს კორექტივები წერილობითი წყაროების ცნობებში ან იმ ფაქტებით შეავსოს ისტორიული მეცნიერება, რომელთა შესახებ წერილობით მკვლევარში არავითარი ინფორმაცია არ

# სამხედრო ჟურნალი, „არსენალი“!

ინფორმაცია, რომლის  
მიწიანში ხვდება!

გამოდის თვეში ორჯერ!  
იკითხეთ პრესის გამავრცელებლებთან!

წიგნები აღვიღა მიტანით-elva.ge;  
ტელ: 238 26 73; 238 26 74; 238 26 76



გიორგი დუნდუა.  
„ქართული  
ნემიზმატიკა“

არის დაცული. მონეტებზე დაყრდნობით, იგი ყოველთვის ცდილობს გააშუქოს საქართველოს ისტორიის, პალეოეკონომიკის, კულტურისა და რელიგიის ისტორიის კარდინალური საკითხები. ამ პრინციპითაა დაწერილი ყველა მისი ნაშრომი, რომელთა რიცხვმა დიდი ხანია ასეულს გადააჭარბა და გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. მეცნიერი მრავალგზის მონაწილეობდა რესპუბლიკურ, ყოფილ საკავშირო და საერთაშორისო სიმპოზიუმებსა და სამეცნიერო კონფერენციების მუშაობაში.

აღსანიშნავია მეცნიერის დამსახურება ანტიკური ხანის კოლხეთისა და იბერიის ნემიზმატიკისა და ისტორიის შესწავლაში. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს მისი შრომები, რომლებიც ეძღვნება კოლხური თეთრის გენეზისის პრობლემას. ათეული წელიწადი დასჭირდა მკვლევარს, რათა დამაჯერებელი გაეხადა ჰიპოთეზა კოლხური თეთრის ქალაქ ფაზისში ემისიის შესახებ. დღეს ამ საკითხზე მას ოპონენტი აღარ ჰყავს.

გიორგი დუნდუამ პირველმა შეისწავლა მონოგრაფიულად საქართველოში აღმოჩენილი ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სახელით მოჭრილი სტატერები, შეადგინა მათი ქართული იმიტაციების სრული მეცნიერული კატალოგი, შეიმუშავა მათი აბსოლუტური და შედარებითი ქრონოლოგია, პირველმა ზუსტად დაათარიდა ე.წ. აკის სტატერი.

გიორგი დუნდუამ სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანა ბიჭვინთისა და ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის უაღრესად მნიშვნელოვანი ნემიზმატიკური მასალა. მონოგრაფიულად შეისწავლა ქალაქ ტრაპეზუნტის II-III საუკუნეების სპილენძის საქალაქო მონეტები. მათზე გამოსახული სიუჟეტებისა და ანტიკური ხანის წყაროების ცნობების ანალიზის საფუძველზე გააშუქა ქალაქის რელიგიის ისტორიის კარდინალური საკითხები და წამოაყენა პრინციპულად ახალი დებულება, რომ ტრაპეზუნტის სპილენძის საქალაქო მონეტები ქართველური სამყაროს მატერიალური კულტურის განუყოფელი ნაწილია. მასვე ეკუთვნის ორიგინალური ჰიპოთეზა ვანში ძვ.წ. I საუკუნეში მონეტების ემისიის შესაძლებლობის შესახებ. აგრეთვე მოსაზრება, რომ მითრიდატე ევპატორის მიერ კოლხეთის, როგორც სანაპირო ზოლის, ასევე ცენტრალური რაიონების დაპყრობა მოხდა ძვ.წ. 105-90-იან წლებში, რომ სამხედრო ექსპედიცია კოლხეთში განხორციელდა დიოფანტეს ლაშქრობის შემდეგ ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში და სწორედ ჩრდილოეთის მარშრუტით და არა სამხრეთიდან.

გიორგი დუნდუამ მეცნიერულად განსაზღვრა ნასტაკისში, ალაიანსა და ერწო-თიანეთში აღმოჩენილი ნემიზმატიკური მასალა. მონოგრაფიულად შეისწავლა „დიდი მცხეთის“ ტერიტორიაზე მიკვლეული მრავალრიცხოვანი მონეტები, მაგრამ ეს ვრცელი გამოკვლევა, სამწუხაროდ, დღემდე გამოუქვეყნებელია. 1987 წელს იუბილარმა გააოსცა პირველი ნაწილი შემაჯამებელი ნაშრომისა „Нумизматика античной Грузии“, რომელიც სამაგიდო წიგნია მთელი კოლხეთისა და იბერიის ისტორიის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტებისთვის.

გიორგი დუნდუამ ქართულ-სასანურ დრამების ატრიბუციის პრობლემა გააშუქა ირან-ბიზანტია-აღმოსავლეთ საქართველოს VI საუკუნის ისტორიის ფონზე და მჭიდროდ

დაუკავშირა ქართული ხუროთმოძღვრების სიამაყის – მცხეთის ჯვრის ტაძრის მშენებლობის საკითხს.

იუბილარის მეცნიერული მემკვიდრეობის ადეკვატური შეფასება ამ მოკლე მიმოხილვაში, რა თქმა უნდა, შეუძლებელია, მაგრამ ორ მნიშვნელოვან ფაქტს გვერდს ვერ ავუვლით. მისი ინიციატივით და მის მიერ შედგენილი გვემის თანახმად გამოვიდა „ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი“ (თანაავტორი ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ირაკლი ჯალაღანიანი), რომელიც, შეიძლება ითქვას, „ცარიელ ადგილზე“ შეიქმნა, მას პრეცედენტი არ გააჩნია ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლექსიკოგრაფიაში. იუბილარმა 2006 და 2011 წელს გამოაქვეყნა ახალი სახელმძღვანელო: „ქართული ნუმიზმატიკა“ (თანაავტორი პროფესორი თედო დუნდუა). გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ვრცელი ნაშრომი სრულიად ახალი სიტყვაა ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ისტორიაში. საქართველოში მოჭრილი მონეტების პარალელურად, ავტორებმა განიხილეს ჩვენი ქვეყნის სამონეტო ცირკულაციაში 25 საუკუნის განმავლობაში აქტიურად მბრუნავი უცხოური ფულიც. ავტორთა განცხადებით, ეს უკანასკნელი საქართველოს ისტორიისა და პალეოკონომიკის ისეთივე ორგანული ნაწი-

ლია, როგორც ქართული. პირველად ქართული ნუმიზმატიკური მეცნიერების ისტორიაში ავტორებმა მეცნიერულად გაიაზრეს ეს უზარმაზარი მასალა, გააანალიზეს და გამოიტანეს ზოგადი დასკვნები. საქართველოს ოცდახუთსაუკუნოვანი ნუმიზმატიკური მასალა ამ მეთოდით პირველად განზოგადდა. ავტორებმა ახალი კუთხით გააშუქეს საქართველოს სამონეტო საქმის, სამონეტო მიმოქცევისა და საქართველოს ისტორიის მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემა, კორექტივები შეიტანეს ძველი სამონეტო ჯგუფების ატრიბუციისა და გენეზისის საკითხში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ეს ნაშრომი სამაგიდო წიგნია საქართველოს ისტორიისა და პალეოკონომიკის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისთვის.

ბატონი გიორგი, დეაქლმოსილი მეცნიერი, პედაგოგი, შესანიშნავი ოჯახის მამა და ბაბუა 80 წლის ასაკშიც ენერგიული და უღალატოა, როგორც არჩეული საქმის სამსახურში, ასევე მეგობარ-ახლობელთათვის.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ბატონ გიორგის საიუბილეო თარიღს, ჯანმრთელობასა და შემდგომ წარმატებებს ვუსურვებთ. მისგან ხომ ქართული ნუმიზმატიკის ასპარეზზე კვლავ ახალ წარმატებებს ველოდებით.

ნინო ჯაფარიძე







## ოთახი ხანიშვილი

### ჩემი დასაპრავი უკვე დავუპარი...

— ამოსულ მზეს მიჰყვებოდა და ჩამავალ მზეს მოჰყვებოდა უკან, — ამბობდა მისი მეუღლე.

— თანაც ნასვამი! — ამატებდა მეტი სიზუსტისთვის და სვედიანად ელიძებოდა. ლაპარაკი არ უყვარდა, არ გამოსდიოდა, ან რად უნდოდა ოთარ რამიშვილს, რომ ელაპარაკა, როცა ყველაფერი იძლეოდა და სათქმელიც ამით თქვა.

ჩვეულებრივი კაცი არასოდეს ყოფილა.

ზომ ვამბობთ, რომ ხალხმა უკეთ იცის, ვინ ვინ არის! ჰოდა, ხალხს უყვარს ოთარი, მისი სიმღერები. ამას ვერც იყიდი და ვერც ჩააწყო.

რაც დრო გადის, უფრო თვალსაჩინო ხდება, რომ ოთარ რამიშვილის შემოქმედება დაუიწყებას არ მიეცემა... სწორედ ამიტომ გვანტერესებს მისი ცხოვრების გზაც, რომლის შესახებაც ნაწვევტ-ნაწვევტ, ხან სიტყვაძუნწად, ხანაც იუმორით გვიამბობდა...

— ძალიან კარგი ბავშვი ვიყავი, ყველას უყვარდი.

ბაღში დავდიოდი, მაგრამ ბუნდოვნად მახსოვს... მეცხრე საჯადმყოფოს წინ იყო ის ბაღი... ბაღის დროინდელი მეგობრები თუ მყავს? მე ვაკის პარკის დროინდელი მეგობრები მყავს! ვაკის პარკში მიყვარდა ყოფნა ძალიან.

რვა წლისამ მოვახერხე და პირველი სიგა-

რეტი მოვწიე. ბიჭები ეწეოდნენ და მეც ტოლი არ დაუდებ ვითომ. მას მერე ვწეოდი და ვწეოდი. ხან დღეში ოთხი პაჩკა „პრიმა“ მჭირდებოდა, ჩიბუხით ვწეოდი. ბოლო თხუთმეტი წელია, თავი დავანებე (ეს ინტერვიუ ბატონი ოთარის გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე ჩაიწერა. — ლ.ჯ.).

მშობლებს ვუმაღავდი, სიგარეტს რომ ვე-

წელი და ძირითადად სოფელში, გურიაში ვახერხებდი ცუდლუტობას.

ჩოხატაურის რაიონში, სოფელ ზემო ბარცხანაში მყავდა ბებია და ბაბუა. ცელქი ვიყავი ძალიან და ბაბუაჩემი ათანასე ყველას ეუბნებოდა, ნახეთ თქვენ, აგი რა კაცი დადგესო! მაგარი კაცი იყო ბაბუა. ახალგაზრდობისას თურქეთში წასულა, იქ მოუყვანია ცოლი, მაგრამ დაქვრივებულია და ჩამოსულა საქართველოში. აუშენებია წაბლის ხის სახლი და იქორწინა თურმე ბებიაზე. ის სახლი დღესაც დგას, ჩავდივართ ხოლმე...

ბებიას რომ გავაბრაზებდი, დამიძახებდა, ხელისგულს მაჩვენებდა: აი, შენაო. მივიღოდი, დაეხედავდი. დამიჭერდა და სახრეს გადმომიჭერდა ხოლმე. აბა, რა ექნა! გამიშვებდა ძროხების მოსამწყემსად და მე სულ სხვაგან მივიღოდი... არაფერს ვუჯერებდი.

ერთი ამბავი მახსენდება მხიარულად: სოფლებში კოლმეურნეობები რომ იყო, შრომადღეები უნდა გამოგემუშავენინა და ჩაგეწერა. ერთხელაც, ბებია და ბაბუა შეუძლოდ იყვნენ და მათ ნაცვლად მე წავედი სამუშაოდ. რისი მომუშავე ვიყავი. მივედი. კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო ბიძინა ცინცაძე, ჩემი ახლო მეგობრის მამა. მომცა ვედრით სასუქი და გამიშვა: წადი, ყველა ხის ძირში დაყარეო... რა ათრეგდა იმხელა ვედროს. ავდექი, მოვეფარე თვალს და ერთი ხის ძირში დავცალე მთელი ვედრო. რომ გამოვედი: რაფერი კაი ბაღანეა აი ბაღანეო, — კი თქვეს, მაგრამ, თავმჯდომარემ რომ ნახა ჩემი ნამუშევარი, გაგიჟდა, ყური ამიწია, გამიწყრა. წამოვედი ნაწყენი და მივაძახე: მე აფერი მიჭირს, ქე გამივლის აი შენი დარტყმული, მარა მაი ხე რო გახმება, ეს ქე ვიცი-მეთქი.

მშობლებს თუ ვჭმარებოდი? რით უნდა დაეხმარებოდი? ლექსებს ვწერდი და ვუკრავდი! ქალი ზომ არ ვიყავი, რამე დამელაგებინა.

ჩემი გაფუჭებული თუ მახსოვს რამე? კი ბატონო: ტელეფონი, შტეტფსელი, რა ვიცი, რა აღარ!

გაკეთებული საქმე რა მახსოვს? ხეები დამირგავს, მიწისთვის მომივლია... ვბარავდი, ვთონხნიდი. მიწა ძალიან მიყვარდა, ახლა შემძულდა... მალე უნდა წავიდე მიწაში და იმიტომ.

ათი წლიდან ვუკრავ გიტარაზე. საერთოდ, ჩემი ოჯახი მუსიკალური იყო, მამა შვიდსიმანიან გიტარაზე უკრავდა... დედაჩემი და ჩემი და მღეროდნენ. მაგრამ ჩემს გატაცებას მაინც ერთ ფაქტს ვუკავშირებ...

ერთხელ არტოს ბაღში ძაგნიძისა და ჩხიკავაძის კონცერტი ეწყობოდა. მე და ჩემს მეგობრებს ბილეთის ფული არ გვქონდა, ღობიდან გადავძვერით და ისე მოვკალათდით მოსასმენად. იმ საღამოს მერე, მარტო მე კი არა, მთელი უბნის ბიჭებს ერთი ინტერესი გაგვიჩნდა — გიტარაზე დაკვრა. ვსწავლობდით, როგორც შეგვეძლო, მერე ერთმანეთს ვასწავლიდით...

უკრავდი შინ და გარეთ და იმდენ ხანს, რომ მშობლები მეხვეწებოდნენ, დაგვასვენეო. სკოლაში სულ ორიანები და ზუთიანები მყავდა... სწავლით დიდად თავს არ ვიწუნებდი... ისე, ამბობენ, ნიჭიერი კი იყავიო და თუ რამეს წაკითხავდი, ავდილად იმანსოვრებდიო. აბა, რა ვიცი...

ის კი ფაქტია, რომ თერთმეტი კლასი აბრეშუმის ფაბრიკის ღამის სკოლაში დავამთავრე.

თან მუშად ვმუშაობდი აბრეშუმის ფაბრიკაში, ვახარისხებდით და სპირტში ვყრიდით აბრეშუმის პარკებს. იმ სპირტს წყლითაც ვაზავებდით და ვსვამდით ბიჭები. მაგარი იყო!

პირველი ხელფასი აბრეშუმის ფაბრიკაში ავიღე, პირწმინდად ჩავუთვალე მამაჩემს. არ გჯერათ? რა ექნა, ასე კი იყო და!

IV მუსიკალური ტექნიკუმი მაქვს დამთავრებული, კონტრაბასზე ვსწავლობდი. ეს იცი, როგორ მოხდა? საესტრადო სასწავლებელში ვაბარებდი, სმენაში ორიანი დამიწერეს. გავბრაზდი, დაგებეთქე სუყველა. გამოვკარდი ქუჩაში, დადექი და ფფიქრობ ჩემთვის, როგორ შეიძლებაოდა, ჩემთვის ეთქვათ, სმენა არ გაქვსო! უცნობმა ქალმა გამოიარა, რა დაგემართაო, — მკითხა. მეც ვუთხარი. ჩემთან მოდი და მიგიღებ მუსიკალურ ტექნიკუმშიო. ეს იყო ქალბატონი ქსენია ჯიქია. მივედი და მართლა მიმიღო. თუკი დღემდე რამეს წარმოვადგენ, მისი მადლიერი ვარ. ისე დავამთავრე კონტრა-



სევასტოპოლში, საზღვაო ძალებში სამსახურისას



თევზაობის შემდეგ

ბასის კლასი, გიტარაზე ვუკრავედი მხოლოდ. დამითმეს, დამამთავრებინეს.

17 წლისა გამოვედი კონკურსზე ფილარმონიაში. გოგი ცაბაძე იყო კომისიის თავმჯდომარე. პირველ ადგილზე გავედი. მამაჩემმა ხელკავი გამიყარა და მითხრა: ოღონდ აქედან ახლა შენს ამხანაგებს არ გაჰყვე საქეიფოდ, შინ წამოდი და პალტოს გიყიდიო. გაყვევი. მიყვლით, დავდე გიტარა და გავიპარე. რა მოხდა მერე, მეგობრებთან გავიპარე, ზოგი, საერთოდ, ძილში იპარება! ისე, არც ის პალტო მიყიდეს, რომ იცოდეთ.

*ისრაელში და საბერძნეთში ვარ ნამყოფი. ისრაელიდან არ მიშვებდნენ, დარჩი აქ, ძალიან კარგად იცხოვრებო. არ დაურჩი... საქმე მქონდა თბილისში, ვაკის პარკში ვიყავი ვასასველელი...*

*ჩემი კარი არასოდეს დაკეტილა, წასაღები რა მქონდა, რომ დამეკეტა?! რაც ჩემთვის ძვირფასია, იმას ვერაფერს მოიპარავს...*

უმაღლესში ვსწავლობდი, მაგრამ სამი კურსის მერე თავი დაავანებე. უცხო ენების ფაკულტეტზე ვიყავი. აბა, მე გერმანულს რას ვისწავლიდი, ჯერ ქართული უნდა მესწავლა! საერთოდ როგორ მოვეწყვე? — მომაწყვეს! ჩვენთან დაუკარო, მთხოვეს... მეც ვუკრავედი. არც ერთ გამოცდაზე არ გავესულვარ.

როდის შემიყვარდა? მაგისტრის არ მეცალა. დღე და ღამე ვუკრავედი და ვქეიფობდი!

ჯარში ვიყავი სეკსტოპოლში. საზღვაო ძალებში ვმსახურობდი. იმ დროიდან მახსოვს, რომ ფეხბურთის ვთამაშობდი კარგად, მეთერთმეტე ნომერი ვიყავი და ვუკრავედი... კიდევ ერთი ამბავი უნდა გითხრათ ჯარის დროინდელი: გაფრთხილებული ვართ, ჩიტი არ გადაფრინდესო! მთვრალეები ვართ მაგარი. თვითმფრინავი ჯდებოდა, დაეინახეთ და ვესროლეთ! ისე, რომ იცოდეთ, მე არ მისვრია, ჩემთან ერთად ბალტიისპირელები იყვნენ და აზერბაიჯანელები, იმათი ნასროლი იყო. მე დამაბრალეს. ჩამსვეს სამი წლით. ციმბირში ვიხდიდი სასჯელს. ციხეში როგორ ვიყავი? — კარგად! ხეს ჭრიდნენ, ცხენებით მოგვქონდა. შრომა შემეძლო, მაგრამ არ მიწევდა, მე ვუკრავედი და ვჭამდი. ვუკრავედი რუსულ სიმღერებს, ორასზე მეტი რუსული სიმღერა ვიცოდი. რომ გამათავისუფლეს, მთელი ბანაკი გოსოსებზე იყო მომდგარი.

მოვედი თბილისში, საკუთარ სახლში, ვიძახი გარედან: მიშა! მიშა! — მამაჩემს ერქვა. ვინ გინდათო... ვინ მინდა და შვილი ვარ თქვენ-მეთქი...

ჩემი შუადღეა ყოველთვის 2-დან 4 საათამდე...

სხვა შუადღე არ ვიცი მე!

რაც თბილისში გოგოები იყვნენ, ყველა მიყვარდა, მაგრამ შეყვარებული არ მყოლია. ცოლად მოვიყვანე ერთი, მერე მეორე და გულნაზი მესამეა! 41 წელია ერთად ვართ. 34 წლისა ვიყავი, გულნაზი რომ მოვიყვანე. სამტრედიამი ვიყავი სტუმრად, ამათ მეზობლად ვქეიფობდი. მაშინ მომეწონა. ხელი ვთხოვე. ასეთი ქალი დედამიწაზე არ არსებობს, რას გაუძლო, რომ იცოდეთ. გადაყოლილია ჩემზე.

აბა ჰკითხეთ: ჩემზე ამბობს, ეს დილით ნიაუს მიჰყვებოდა და ღამით ნიაუს მოჰყვებოდაო. ერთ დღესაც არ გამიშვა გარეთ. ვიწვევ და არ მიშვებს. მითხრა: გადი აივანზე, ნახე, რა კარგი ამინდია, გაგრილდები და გამოხვალ პახ-მელიაზეო. ამ დროს ცივა, შუა ზამთარია. გამიშვა ძალით და მომიკეტა კარი შიგნიდან. ვი-

ყურებოდი ეზოში, თუთის ხე იდგა. მომივიდა მუზა და დავწერე: „თუთის ხესთან დაგინახე“. ის თუთა დღემდე დგას.

„ფუტკარი“ როგორ დავწერე? გულნაზიმ მაჩვენა შოთა ნიშნაინიძის წიგნში ვე ლექსი, ნახე, რა კარგაო. მე მქონდა ამ მელოდიაზე სხვა ლექსი, უცებ მოვხსენი ჩემს ლექსს და ამ ლექსს დავადე მუსიკა...

„მარტის თევა“ დავწერე მარტში. 8 მარტს ვიქიფე, მოვედი და გულნაზიმ მისაყვედურა, ერთი დღეა ქალების და არ შეიძლება, მეც წაგვეყვანო? მთელი თვე თქვენი არ არის-მეთქი? — ვუთხარი და დავწერე ეს სიმღერა.

თბილისზე სკოლიდან მთხოვეს, ჩემმა შვილმა მომიტანა ამბავი, მასწავლებელმა გთხოვა, იოსებ გრიშაშვილის საღამოსთვის სიმღერა დაგვიწერო... მაგაზე გაწვევინებ, მამა-მეთქი?..

ამდენი დრო გავიდა და ახლაც მახსენდება, როგორც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი — გალაკტიონთან შეხვედრა. ვერის ბაზართან, არკაში შევხვდით. მე ნიაზ დიასამიძეს ველოდებოდი. გალაკტიონმა მითხრა, რა დავლით, ძამიკო. სხვათა შორის, ჩემი დაკვრაც მოისმინა იმ დღეს...

რამდენჯერმე კინოში გადაღებაც შემომთავაზეს. ჯერ დიმა ბათიაშვილი მთხოვდა რომელიღაც ფილმში გადაღებას... ვერ წავედი... მერე გია დანელიამ რამდენჯერმე ჩამომაკითხა მოსკოვიდან, „პასპორტში“ უნდოდა გადავედე. სიმღერა კი მივეცი, მაგრამ მე არ წავედი გადასაღებად. რატომ? რა მინდოდა კინოში, ისედაც კინო არ არის ეს ცხოვრება? მე სიყვარულის, სიკეთისა და გიტარის გარდა არაფერი მაინტერესებდა...

1971 წელს გავიგე, რომ ლენინგრადში ვიღაც საკონცერტო გიტარებს აკეთებდა. მაგრამ ფული არ მქონდა, რომ შემეკვეთა. რა მქონდა გასაყიდი? — არაფერი: ერთი ძალი მყავდა პატარა, ძალიან მიყვარდა და ვუვლიდი, ნადირობა და თევზაობა მიყვარს და საიმისოდ ვზრდიდი. არ მემეტებოდა, მაგრამ რა მექნა, ისევ იმას შეველიე. ცოტა კიდევ დავატე ფული და გავატანე მფრინავს ლენინგრადში. ასე შეგროვილი ფული ვის ვანდე? სულ არ ვიცნობდი იმ კაცს, მაგრამ კაცი იყო, ადამიანი და უნდობლობა რა საკადრისია! წავიდა და ჩამომიტანა გიტარა, ახლაც მაგაზე ვუკრავ კონცერტებზე.

ცოტა დავბერდი. ისევ ვუკრავ და ვმღერი, მაგრამ მაინც... წელიწადი და ხუთი თვეა,

*1971 წელს გავიგე, რომ ლენინგრადში ვიღაც საკონცერტო გიტარებს აკეთებდა. მაგრამ ფული არ მქონდა, რომ შემეკვეთა. რა მქონდა გასაყიდი?*

*— არაფერი: ერთი ძალი მყავდა პატარა, ძალიან მიყვარდა და ვუვლიდი, ნადირობა და თევზაობა მიყვარს და საიმისოდ ვზრდიდი. არ მემეტებოდა, მაგრამ რა მექნა, ისევ იმას შეველიე.*

*ცოტა კიდევ დავატე ფული და გავატანე მფრინავს ლენინგრადში. წავიდა და ჩამომიტანა გიტარა, ახლაც მაგაზე ვუკრავ კონცერტებზე.*

აღარ ვსვამ. ექიმმა ამიკრძალა. ყოველ დღით 7 საათზე ვდგები და ვუკრავ, ვმეცადინებო. ისე, ახლა სულ რომ აღარ დავუკრა, არც არაფერი დაშავდება, ჩემი დასაკრავი დაუუკარი უკვე.

ისრაელში და საბერძნეთში ვარ ნამყოფი. ისრაელიდან არ მიშვებდნენ, დარჩი აქ, ძალიან კარგად იცხოვრებო. არ დავრჩი... საქმე მქონდა თბილისში, ვაკის პარკში ვიყავი გასასვლელი...

*„34 წლის ვიყავი, გულნაზიმ რომ მოვიყვანე. ასეთი ქალი დედაშიწზე არ არსებობს“*





შვილიშვილებთან

ჩემი კარი არასოდეს დაკეტილა, წასადები რა მქონდა, რომ დამეკეტა?! რაც ჩემთვის ძვირფასია, იმას ვერავინ მოიპარავს...

რამდენი წლის ვარ და ახლა უფრო ხშირად ვფიქრობ დედაზე, 59 წლისა იყო, რომ გარდამეცვალა სიმსოვნით. ექვს თვეში მამაც მიჰყვა... რაც ძალიან მტკივნეულად, იმაზე ლაპარაკი არ შემიძლია. დედა რომ გარდამეცვალა, მოვილოდი შინ ჩუმად, შევილოდი საძინებელ-

ში, ჩავაქრობდი სინათლეს, ჩავრთავდი ხმადაბალ მუსიკას, ავიღებდი დედის ფოტოს და ვტიროდი. ამას ჩემი მეუღლის მეტი ვერავინ ნახავდა. ახლაც არ ვიტყვოდი, მაგრამ მეუღლემ გამახსენა...

ისე, როდემდე უნდა ვისაუბროთ ნეტა? რაღა დამრჩა სათქმელი...

რაც სიკეთე გამიკეთებია, ალალი იყოს ყველაზე, სიკეთის სიკეთით დაბრუნებას არასოდეს ველოდი. არც მიბრუნდებოდა. ადამიანს ყური რომ მოაჭრა, სარკეში რამდენჯერაც ჩაიხედავს, გაახსენდება; სიკეთეს რომ გაუკეთებ — ავიწყდება! ასეთია ჩვენი ბუნება.

არც არაფერს ვითხოვ, რომ იცოდეთ. ერთხელ მე და ჩემი მეუღლე ლიფტში შევედით და ერთი თანამდებობის პირი დაგვემგზავრა, საკურორტო საქმე ეხებოდა თურმე. რომ დამინახა, გაუხარდა. მთხოვე, რაც გინდა, მინდა პატივი გცეო. სად გინდა დასვენება, რამდენადგილიანი საგზური გინდა, მითხარო. მეც ავდექი და ვუთხარი: თუ შეიძლება მუხათგვერდში ორკაციანი-მეთქი. გადაიარა კინადამ! რამ მათქმევინა? — ჩემმა ენამ, სხვამ არაფერმა!

და რომ მკითხო, რა არის ყველაზე ძვირფასი, გეტყვი — სიცოცხლე-მეთქი.

ლელა ჯიყაშვილი

2009 წლის 25 ოქტომბერი, თბილისის საპატიო მოქალაქედ დასახელებისას



# ეკა ანდრონიკაშვილი:

## საიდუმლოდ დარჩენილი წარსულიდან ბევრი რამ მაინტერესებს...

*ისტორიულ ლიტერატურას ყოველთვის ინტერესით ეცნობა. ამბობს, რომ წარსულის ცოდნის გარეშე მომავალს ვერ განსაზღვრავ. „ერუნიტი“ სტუმარი სტუდია-სააგენტო „ჯე არტის“ ხელმძღვანელი, მსახიობი მკა ანდრონიკაშვილი გახლავთ. მისი აზრით, როგორც ჩვენს ქვეყნის, ასევე მსოფლიოს წარსულიდან, ბევრი რამ არ ვიცით. „როგორი იყო პრეისტორიული ადამიანი? ვფიქრობ, ჩვენამდე მოღწეული არაერთი უძველესი ქვაზე ან კლდეში ნახატის ავტორი მთლად ველური არ უნდა ყოფილიყო... ეს ფენომენი ზომ ბოლომდე შესწავლილი არ არის“.*

— ყველაზე მეტად რა გაინტერესებთ ამ ბოლომდე შეუსწავლელი წარსულიდან?

— ბევრი რამ მაინტერესებს. პირამიდების საიდუმლო დღემდე ამოუხსნელია. ბურუსითაა მოცული მაიას ტომებისა და აცტეკების ისტორია. არ შეიძლება არ გაგაოცოს უძველესმა ცივილიზაციებმა. თუნდაც ის, რომ კანალიზაციის სისტემა და აბანოები ჰქონდათ...

— ჩინგიზ ყაენი მასზე ამბობდა, რომ ის ძლიერია იმდენად, რამდენადაც ძლიერია ხალხი, რომელიც მას იცავს. დაასახელეთ, რის შესახებ ამბობდა ასე?

— უნდა დაფიქრდე.

— მიგანიშნებთ. ერთ-ერთ ნაგებობაზეა ლაპარაკი.

— ნაგებობაზე? დამაბნევ.

— ამბობენ, ეს ნაგებობა კოსმოსიდან ჩანსო, მაგრამ მეცნიერთა ნაწილი ამ მოსაზრებას უარყოფს.

— ჩინეთის დიდი კედელი, არა?

— დიახ. რა ჰქვია კათოლიკური დედათა მონასტრის წინამძღვარს?



— აბატიანა.  
— რა ეწოდება ნაკურთხ წყალს ქრისტიანულ რელიგიამში?

— აიაზმა.

— ერთხელ ჩერჩილს ჰკითხეს, რით განსხვავდება სტალინი ჰიტლერისგანო. მისი პასუხი ერთსიტყვიანი იყო.

— ერთსიტყვიანი? როგორ გამოვიცნო?



— ეს სიტყვა შეიძლება ასოსგან შედგება და მათ გარეგნობას უკავშირდება.

— (ფიქრობს) უღვაშით?..

— გამოიცანით. „სტალინში თავმოყრილი იყო იულიუს კეისრის ჭკუა და მარკუს ოქტავიუსის ეშმაკობა, ალექსანდრე მაკედონელის მხედართმთავრული გენია, ციცერონის მჭევრმეტყველება და აზრის გადმოცემის სისხარტე, იგი ყველა მათგანზე მაღლა დგას, ბევრად უფრო მაღალია“, — რომელი ცნობილი მხატვარია ამ სიტყვების ავტორი?

— ქართველია?

— არა.

— ვერ გიპასუხებთ.

— მიგანიშნებთ, ის წარმოშობით ესპანელია. ამბობენ, მან სტალინს 70 წლის იუბილზე მისალოცი ბარათი საკუთარი ხელით დაუხატაო.

— პირველად მესმის.

— ეს მხატვარი პაბლო პიკასო გახლდათ რომელმაც სახელმწიფომ აღიარა სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი დამოუკიდებელ სახელ-

მწიფოებად რუსეთის შემდეგ?

— ნიკარაგუამ და ნაურუმ. ამ უკანასკნელის არსებობა სწორედ მაშინ გაიგე.

— დავით აღმაშენებლის მეფობის დროს, რომელი თანამდებობა აერთიანებდა უმაღლეს საერო და სასულიერო ხელისუფლებას?

— ჭყონდიდელ-მწიგნობართუხუცესი.

— თურქეთში მდებარე რომელი ქართული ტაძარია მდინარე თორთუმისწყლის ნაპირზე?

— ოშკი.

— რა სიტყვები ეწერა დელფოს ორაკულის, პითიას ტაძარზე, რომელსაც ზშირად არასწორად მიაწერენ ზოლმე სოკრატეს, „შეიცან...“

— „...თავი შენი“.

— რა ერქვა ჟურნალს, რომელიც ზვიად გამსახურდიამ 1976 წელს გამოსცა?

— ვერ გიპასუხებთ.

— „საქართველოს მოამბე“. ვინ იყო საქართველოს კათოლიკოს პატრიარქი ილია II-მდე?

- ვერ ვიხსენებ.
- დავით V (დევდარიანი). დაასახელეთ აშშ-ის მე-40 პრეზიდენტი (1981-1989), პროფესიით მსახიობი. მისი სახელი დაკავშირებულია ბერლინის კედლის დარღვევასთან. ვისზეა ლაპარაკი?
- რონალდ რეიგანზე.
- რომელი პარტიის წარმომადგენელი იყო იგი?
- რესპუბლიკელი, არა?
- დიახ. ამ ქალაქის ერთ-ერთი მთავარი მოედანი თბილისის მოედანია. თბილისშიც არსებობს იმ ქალაქის სახელობის მოედანი. დაასახელეთ, რომელ მოედანზეა ლაპარაკი?
- ზაარბრიუკენის მოედანი იქნება.
- ნამდვილად ასეა. „მე თითქმის ყველაფერი ვნახე თბილისში – ქართულ სამთხეში. მთელი ცხოვრება ისე ნაყოფიერად არსად მიმუშავია, როგორც თბილისში“. რომელი ფრანგი მწერალია ამ სიტყვების ავტორი?
- ალექსანდრე დიუმა.
- დაასახელეთ თარიღი ავსტრია-უნგრეთის იმპერიის ერცჰერცოგ ფრანც ფერდინანდის სარაევოში მკვლელობისა, რომელიც I მსოფლიო ომის დაწყების საბაბად იქცა.
- 1914 წელი.
- დიახ, 28 ივნისი. პირველად ეს ნუგბარი არქეოლოგებმა გეგვატის ფარაონების სამარხებში აღმოაჩინეს. რაზეა ლაპარაკი?
- მაშინ ტკბილეული ნაკლებად არსებობდა, თუ არ ჩავთვლით თაფლს და იმ ნუგბარს, რასაც ამ პროდუქტისგან ამზადებდნენ. ჩემი პასუხია თაფლი.
- რომელი ცნობილი დამპყრობელი გარდაიცვალა იმ წელს, რომელშიც გიორგი სააკაძე?
- ეს რომელ წელს მოხდა?
- 1629 წელს.
- შაკ-აბასი.
- ვინ იყო ფრანგი მწერალი, რომელიც II მსოფლიო ომის დროს სამხედრო მფრინავი იყო და სადაზვერუო ფრენისას დაიღუპა.
- ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი.
- ამ ზის რტო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დროაზეა გამოსახული.
- ზეთისხილი.
- „ქვეყნის სიყვარულს საყველპუროდ და საარშიყოდ ნუ გაიხდით, სამშობლო როსკიპი ქალი არაა, მოვრალს რომ მოგენატრება და მაშინ გაიხსენებ. სამშობლო ტამარია სალოცავი, მუხლზე დაჩოქილი უნდა იდგე მის სა-

- კურთხეველთან“. რომელი ცნობილი ქართველი მწერალია ამ სიტყვების ავტორი?
- ნოდარ დუმბაძე.
- 1829 წელს, ადრიანოპოლის ზავის შედეგ, სამცხე-ჯავახეთიდან თურქეთში 75 000-მდე ქართველი მაჰმადიანი გადასახლდა. რა ქოდა ამ პროცესს?
- მუჰაჯირობა.
- რომელი მეფის შვილი იყო კარტოგრაფი, გეოგრაფი და ისტორიკოსი ვახუშტი ბატონიშვილი?
- ვახტანგ VI-ის.
- რომელი ქართველი პოეტი მონაწილეობდა რუსეთის დაპყრობით ომებში ჩრდილოეთ კავკასიაში?
- გრიგოლ ორბელიანი.
- როგორ აღამიანს უწოდებენ დილეთანტს?
- ზერელედ მცოდნეს.
- ყოფილი საბჭოთა კავშირის დროს ცეკას ერთ-ერთი გენერალური მდივნის დადგენილებით, საშენი მასალების ეკონომიის მიზნით საცხოვრებელ სახლებს ჭურის სიმაღლე შეუშრიეს. ვინ იყო ამ დადგენილების ავტორი?
- ხრუშჩოვი.
- რა ქოდება სახელმწიფოს ერთპიროვნულ მმართველს, რომელიც აღჭურვილია შეუზღუდავი ძალაუფლებით?
- დიქტატორი, ტირანი...
- რა ქოდება საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე გამაღალ ხიდს?
- წითელი ხიდი.
- ვისი მეფობის დროს არის ის აგებული?
- ვერ ვიხსენებ.
- მეფე როსტომის დროს. პეტრე, ანდრია პირველწოდებული, იაკობი, იოანე, მათე, ფილიპე, ბართლომე, თომა, იაკობ ალფესის ძე, თადეოსი, იუდა ისკარიოთელი, სვიმონ კანანელი. ვინ იყვნენ ისინი?
- იესო ქრისტეს მოწაფეები.
- რა თანამდებობა ჰქონდათ ძველ შიიარაღებულ ძალებში მათ, ვისაც მკერდზე თუთიყუში ჰქონდათ ტატუირებული?
- (ფიქრობს) თუთიყუში ანუ რაღაცას იმეორებდნენ? თარჯიმნები ხომ არა?
- გამოიცანით. დაასრულეთ ოსკარ უაილდის ცნობილი გამონათქვამი: „უმარტივესი გემოვნება მაქვს, მხოლოდ საუკეთესო....
- ალბათ, „მინდა“....
- „...მაკმაყოფილებს“.



# გარეულ ცხოველებთან ბრძოლა

286

პირველი ბრძოლა გარეულ ცხოველებთან სამხედრო გამარჯვების აღსანიშნავად გაიმართა. ძვ. წ. 164 წელს რომმა ძღვევამოსილი ქალაქი კართაგენი დაამარცხა. გამარჯვებულ გენერალ პუბლიუს კორნელიუს სციპიონს მეტსახელად „აფრიკელი“ უწოდეს. მან რომში ასობით აფრიკული სპილო, ნიანგი და ლომი ჩაიყვანა და ქუჩებში ჩაატარა. გარეულ ცხოველთა აღლუმის შემდეგ ისინი გლადიატორთა ბრძოლებში ჩართეს.



▲ ამ ძველ მოზაიკაზე გარეული ცხოველების — ლომებისა და ქურციკების შეპყრობის სცენაა ასახული. ისინი ზომალდებით ჩაიყვანეს რომში, რათა არენაზე საბრძოლველად გაეშვათ.

287

ერთ სპილოსთან შეტაკება ცუდად დამთავრდა. ძვ. წ. 79 წელს გენერალმა გნეუს პომპეუსმა ერთი გარეული სპილო ოც მოშინაურებულს რომში შეარკინა დროებით არენაზე. მაყურებლის დასაცავად არენის ირგვლივ რკინის ღობე აღმართეს, მაგრამ ორი „სპილოგლადიატორი“ ღობეს ეცა და ერთიანად დაღუწა. სპილოები მაშინვე დახოცეს მონადირეებმა, მაგრამ რამდენიმე კაცი მაინც დაშავდა.

288

ცხოველთა შერკინების დროს მაყურებელი უფრო უსაფრთხოდ რომ ყოფილიყო, არენა გადააკეთეს. ის მიწის დონიდან სამი მეტრის სიღრმეზე დასწიეს და გარშემო გლუვი ქვის შეუღები კედლებით გაამაგრეს. ვერც ერთი ცხოველი ვერ შეძლებდა ახტომასა და კედლის ჩამონგრევას. ასე რომ, მაყურებელი დაცული იყო ცხოველთა თავდასხმისგან.

**289** ზოგიერთი სანახაობა, რომელშიც ცხოველები მონაწილეობდნენ, ფანტასტიკური და უჩვეულო გახლდათ. რომაელებს უყვარდათ ერთმანეთთან მებრძოლ ცხოველთა ცქერა. ხშირად ცხოველებს გვერდიგვერდ ჯაჭვით აბამდნენ და ერთმანეთზე აქეზებდნენ. ზოგჯერ ლომებისა და მგლების ხროვას ზებრებსა და ირმებს მიუსევდნენ, ანდა მტაცებლებს დაატაკებდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ კი უჩვეულო წყვილებს არჩევდნენ — გველს ლომს მიუსვამდნენ, მგელს სელაპს მიუგდებდნენ, ხოლო ხარს — დათვთან შეარკინებდნენ.

**290** ლომებს ვეფხვებთან აბრძოლებდნენ. ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სანახაობას წარმოადგენდა ლომისა და ვეფხვის ბრძოლა. რომში იმდენი ლომი და ვეფხვი იღუპებოდა, რომ ჩრდილოეთ აფრიკისა და ახლო აღმოსავლეთის რამდენიმე მხარეში თითქმის მთლიანად გადაშენდნენ.

**დაუჯერებელია!**

რომაელებს მოსწონდათ გაწვრთნილ ცხოველთა ყურება. ცხოველების ერთმა მომთვინიერებელმა არენაზე გამოიყვანა ადამიანის მსგავსი მაიმუნი, რომელიც აქლეტებშებმულ ეტლს მართავდა.



▼ სურათზე ნაჩვენებია, როგორ ესხმის თავს ვეფხვი გლადიატორს ფილმში „გლადიატორი“, რომელიც 2000 წელს არის გადაღებული. გარეული ცხოველები ხშირად გამოჰყავდათ არენაზე გამართულ წარმოდგენებში.



# არა მარტო რომში

**291** ბევრი გლადიატორი სამხრეთ იტალიაში უფრო ხშირად იბრძოდა, ვიდრე რომში. გლადიატორთა ბრძოლის იდეა პროვინცია კამპანიიდან იღებს სათავეს, რომლის მთავარი ქალაქი ნეაპოლია. ასწლეულების განმავლობაში კამპანიის გლადიატორთა სკოლებში გლადიატორებს საუკეთესოდ წვრთნიდნენ, თანაც ყველაზე მეტს, ვიდრე სადმე სხვაგან იმპერიაში. ერთ-ერთ სკოლაში გლადიატორთა რაოდენობა 5 ათასს აღწევდა.

**292** ქალაქ ლონდონში გლადიატორთა ბრძოლებისა და სხვა თამაშებისთვის მცირე არენა ჰქონდათ. ის ქალაქის კედლებს შიგნით იყო მოქცეული, სამხედრო სიმაგრის გვერდით, სადაც ამჟამად წმინდა პაულეს საკათედრო ტაძარი დგას. 30 მეტრის სიგრძის ამფითეატრი ქვითა და ხით იყო ნაგები და მხოლოდ 4 ათასს მაყურებელს იტევდა. ამფითეატრები იყო ასევე სენტ-ოლბანსში, ჩესტერსა და კერლიენშიც.

▼ პომპეის არენა. ყველა არენა ოვალური იყო და როგორც წესი, ოდნავ დაფერდებული დასაჯდომი ადგილები და ორი გასასვლელი ჰქონდა.





► იმპერატორის ქანდაკება. ასეთი ქანდაკება იდგა თითქმის ყველა არენაზე და სხვა საჯარო შენობებში.

**294** გლადიატორთა ყველა წარმოდგენა იმპერატორის პატივსაცემად იმართებოდა. დაახლოებით ახ. წ. 50 წელს პოლიტიკური ძალაუფლება იმპერატორს ეპყრა ხელთ. ის წყვეტდა, ვის შეეძლო არჩევნებში მონაწილეობა და გამარჯვება. ყოველი წარმოდგენის წინ ედიტორი მაყურებელს საზეიმოდ ამცნობდა, რომ წარმოდგენა იმპერატორს ეძღვნებოდა.

**295** საუკეთესო გლადიატორებს რომში აგზავნიდნენ. ის გლადიატორები, რომლებიც პროვინციებში — ესპანეთსა და დიდ ბრიტანეთში გამართულ ბრძოლებში მონაწილეობდნენ, ლანისტების საკუთრებას წარმოადგენდნენ. ლანისტები ქალაქიდან ქალაქში დადიოდნენ წარმოდგენათა მოსაწყობად. რომაელი აგენტები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ბრძოლებს და რომელი გლადიატორიც მოეწონებოდათ, რომში მიჰყავდათ, რათა კოლიზეუმში საასპარეზოდ გამოეყვანათ.

▼ გლადიატორთა ბრძოლა დასასრულს უახლოვდება. ნაწყვეტი ფილმიდან „სპარტაკი“.

**293** ზოგიერთ ქალაქში გლადიატორთა ბრძოლები იკრძალებოდა. ყველას როდი სიამოვნებდა სისხლიანი წარმოდგენის ყურება. ბევრი რომაელი ბრძოლებს არც ესწრებოდა. ზოგიერთ ქალაქში, განსაკუთრებით საბერძნეთსა და აღმოსავლეთ პროვინციებში, ამფითეატრი არ ჰქონდათ და ამიტომაც არც გლადიატორთა ბრძოლები ეწყობოდა. ზოგიერთს არ სურდა უსარგებლო ბრძოლებში საუკეთესო მონების დაკარგვა.



# უკანასკნელი გლადიატორები



**296** გლადიატორთა ბრძოლები თანდათან პოპულარობას კარგავდა. უდიდესი მოაზროვნე სენეკა წერდა, რომ გლადიატორთა ბრძოლებმა რომაელები უფრო ბოროტი და გულგრილი გახადა, ვიდრე ადრე იყვნენ. მწერალ არტემიდორუს დალდისელის აზრით, ეს იყო სამარცხვინო, უღმობელი და უხნეო სანახაობა. სამაგიეროდ, რომაელთა უმრავლესობას ძალიან სიამოვნებდა ამ სანახაობათა ცქერა.

◀ სცენა ფილმიდან „გლადიატორი“. გლადიატორთა სისხლიანი ბრძოლები ზოგ რომაელს ზიზღს ჰგვირდა.


**297** ახ. წ. 324 წელს ქრისტიანი ეპისკოპოსები გლადიატორთა ბრძოლების აკრძალვას შეეცადნენ. ახ. წ. 250 წლის შემდეგ რომის იმპერიაში ფეხს თანდათან იკიდებდა ქრისტიანობა. ქრისტიანებს ბრძოლები ცოდვად მიაჩნდათ და იმპერატორ კონსტანტინე I-ს სთხოვეს, აეკრძალა. მან კერძო სანახაობები აკრძალა, მაგრამ ნებადართული იყო სახელმწიფოს მიერ გამართული ბრძოლები.

## უკანასკნელი კითხვები

1. რომელ ფილოსოფოსს მიაჩნდა, რომ გლადიატორთა ბრძოლები ხალხს აბოროტებდა?
2. რომელმა იმპერატორმა დახურა რომში გლადიატორთა სკოლები?
3. რომელმა იმპერატორმა აკრძალა გლადიატორთა კერძო ბრძოლების გამართვა?

აღ-1 წეიწეწეწეწეწე  
 წეწეწეწეწეწეწეწეწეწეწე  
 წეწეწეწეწეწეწეწეწეწეწე  
 წეწეწეწეწეწეწეწეწეწეწე  
 სტეწეწეწეწეწეწეწეწეწეწე

**298** ახ. წ. 366 წელს პაპმა დამასუსმა გლადიატორები მუდამოხე ეკლესიის მსახურების დასახოცად გამოიყენა. როცა პაპი ლიბერიუსი გარდაიცვალა, რომის კარდინალები მის შემცვლელზე ვერ შეთანხმდნენ. ურსინუსის მომხრეები (137 კაცი), რომლებსაც დამასუსის პაპობა არ სურდათ, სანტა მარია ტრასტვერეს ეკლესიაში დამასუსის დაქირავებულმა გლადიატორებმა ამოხოცეს.



▲ გლადიატორთა ჯგუფს ზოგჯერ პოლიტიკოსები და ეკლესიის მსახურნი ქირაობდნენ მეტოქეთა დასახოცად.

**299** ქრისტიანი ბერი ტელემაქუსი პირველი იყო, რომელიც გლადიატორთა ბრძოლას შეეწინააღმდეგა. ახ. წ. 404 წელს, როცა კოლიზეუმში წარმოდგენა მიმდინარეობდა, ქრისტიანი ბერი ტელემაქუსი გლადიატორთა შუაში ჩადგა. ბერი ყველას ემუდარებოდა, ბრძოლა შეესვენებინათ, მაგრამ განრისხებულმა მაყურებელმა იგი მოკლა. ამის შემდეგ იმპერატორმა ჰონორიუსმა რომში გლადიატორთა სკოლები დახურა.





**300** გლადიატორთა ბოლო ბრძოლა ახ. წ. 445 წელს გაიმართა. ახ. წ. 410 წელს რომი ბარბაროსთა ტომებმა დაიპყრეს. ძლევამოსილი რომის იმპერია დაინგრა. ხალხი ცდილობდა, შემოჭრილთაგან თავი დაეხსნა, ანდა თავის გასატანად ფული ეშოვა გლადიატორთა ბრძოლების მოწყობით.

◀ ბერმა ტელემაქუსმა გლადიატორთა ბრძოლა შეაჩერა, მაგრამ ეს სიცოცხლის ფასად დაუჯდა.

# რა არის მუშია?

**301** მუშია არის გარდაცვლილის გაუზრუნველი სხეული. არსებობს ბუნებრივად მუში-ფიცირებული მუშიები: ყინულის, უდაბნოს, ჭაობის მუშიები, ხელოვნურად კი მუშიებს გამიზნულად ამზადებდნენ, რისთვისაც სხვადასხვა ხერხს მიმართავდნენ. ყველაზე სახელგანთქმული პირველი ხელოვნური მუშიები ეგვიპტეშია დამზადებული. დიდი ხნის წინ სპარსი მოგზაურები ფიქრობდნენ, რომ შავი წებოვანი ნივთიერება, რომელსაც ფისს (ბიტუმი) უწოდებდნენ, მუშიების დასამზადებლად გამოიყენებოდა. სპარსულად ფისს „მუშია“ ეწოდებოდა და სწორედ აქედან წარმოდგება მუშიის თანამედროვე სახელწოდებაც.





▲ ჰოვარდ კარტერმა 1922 წელს აღმოაჩინა 3300 წლის წინანდელი ვევიპტის ფარაონის, ტუტანხამონის მუმია. იგი ხელოვნური მუმის საუკეთესო ნიმუშია.





მონაკოს მთავარი				1	2
				ლიტვატორ ჩაუშესკუს ვაჟი	დროუბიი შუფე
		3		4	5
		ვიფინ --		ცნობილი წინასწარმეტყველი	კატუსის არაფი
		6	7		
		სასულიწო კენჭულ კალიმანტანზე	ლენინის მუუღლე		
8	9				
ს ვიტამინს უკმარისობა:	ნორვეგიული გუსბედიების ისტორიული გემი				
	10	11	12		
	პლაცდარმი, მიწინავე პოზიცია	„მაუგლის“ პერსონაჟი	100-ლოლარიანის პრეზიდენტი		
					13
					მდინარე ამერეოში
	14				
	ერთ-ერთი დასლერი				
		15			16
		ფიროსმანის სიფელი			მასობრივი ინფორმაციის საშუალება
	17	18	19		
	მთავარი არტერია	თანამედროვე მუსიკალური მიმდინარეობა	კოტეს სიმამრი		
				20	
				წერილობითი თხოვნა, პეტრცია	
	21		22	23	
	კულტურის დაქვეითება, დაცვა		პეტროლის ქალაქი	ჭრისტეს გამფიდველი	
					24
					იაპონელი მწერალი ჟენმაბურო ...
			25		
			ერთ-ერთი ებრაული ენა		

წინა ნომერში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:  
 1. რეჟიმი; 2. ფვანია; 3. იაჟა; 4. ზუჯი; 5. კიი; 6. ჩაჟესი; 7. ორბელაინი; 8 დინასტია; 9. ლუი; 10 შტურმი; 11 ნაციზმი; 12. რომანოვი; 13. პაი; 14. ხარება; 15. ჩილე; 16. აიდაპო; 17. კინტი; 18. ჩაუშესკუ; 19. ირა; 20. კანონი; 21. ნოე; 22. ლატვია; 23. სინოი; 24. ომი; 25. მექა. სურათზე: რუხველტი.